ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ინა ბარათაშვილი

ფონიქს-გრაფონიქსის მეთოდების ინტეგრირებული გამოყენების ეფექტიანობა ინგლისურის, როგორც უცხოური ენის, სწავლების დაწყებით საფეხურზე

განათლების მეცნიერებათა დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი იზაბელა პეტრიაშვილი

უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი

2014

ა ნ ო ტ ა ც ი ა

ნაშრომში განხილულია ინგლისური ენის სწავლების დაწყებით საფეხურზე ინგლისურის, როგორც უცხოური ენის შესწავლის ორი ურთიერთშემავსებელი მეთოდის მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენების საკითხები. კერძოდ, ვგულისხმობთ ხანგრძლივი ისტორიის მქონე, დასავლეთში ძალზე პოპულარულ, თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, აზრთა სხვადასხვაობის გამომწვევ ფონიქსისა და ჩვენ მიერ მოდიფიცირებული მისი ვარიანტის - გრაფონიქსის - მეთოდებს.

წინამდებარე ნაშრომი მცდელობაა. პასუხი გასცეს უმნიშვნელოვანეს კითხვას - **როგორ მოვახერხოთ, ქართულენოვანი მოსწავლეები, განსაკუთრებით მცირე ასაკობრივი ჯგუფის წარმომადგენლები (6-9 წელი), რაც შეიძლება ნაკლები დაძაბვისა და სტრესის გარეშე დაეუფლონ მათთვის უცხო, ინგლისურ ენაზე წერა-კითხვასა და საუბარს.** ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოში, ქვეყნის საგანმანათლებლო სივრცეში, კერძოდ კი, მოსწავლეთათვის უცხოური ენების სწავლების სფეროში შექმნილი ახალი რეალობის პირობებში. დღეს საქრთველოში უცხოური ენების, კონკრეტულად კი, ინგლისური ენის შესწავლას, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა. ეს გამოწვეულია თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესებით. აქედან გამომდინარე, თუ გვსურს, ქართულმა სახელმწიფომ ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს საერთაშორისო ასპარეზზე, ამის უმნიშვნელოვანეს პირობა ჩვენი ახალგაზრდობის საფუძვლიანი და მრავალმხრივი განათლებაა, რაც დღეისთვის შეუძლებელია უცხოური ენების და, განსაკუთრებით, საერთაშორისო სტატუსის, ფაქტობრივად, ლინგვა ფრანკას მნიშვნელობის მქონე - ინგლისური ენის ცოდნის გარეშე.

კვლევის მიზანია, დაადგინოს, რამდენად ეხმარება ან უმსუბუქებს მოსწავლეებს ინგლისური ენის შესწავლას ფონიქს-გრაფონიქსის ინტეგრირებული მეთოდით სწავლების დაწყება. შევეცადეთ, ეს საკითხი ჩვენი ავტორობით შექმნილი, ფონიქს-გრაფონიქსის მეთოდზე დაფუძნებული სახელმძღვანელოების გამოყენების ეფექტიანობის განსაზღვრით შეგვესწავლა. ჩვენმა

სახელმძღვანელოებმა წარმატებით გაიარა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დაწესებული გრიფირების პროცედურა (2008-2009 წწ.). შესაბამისად, საქართველოს მთელ რიგ სასწავლო დაწესებულებებში დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები ინგლისურ ენაზე წერა-კითხვას აღნიშნული სასწავლო წიგნებით (*Phonics Starter; Phonics Elementary; Graphonics* დამხმარე სახელმძღვანელოს სტატუსით) ეუფლებოდნენ. ამან საშუალება მოგვცა, საქართველოს სკოლებში ჩაგვეტარებინა კვლევა, რათა გამოგვევლინა აღნიშნული მეთოდიკის გამოყენებით სწავლების პროდუქტიულობის ხარისხი.

კვლევის მეთოდებად გამოყენებულია, როგორც რაოდენობრივი (კითხვარები), ისე თვისობრივი (ჩაღრმავებული ინტერვიუ) კვლევა. აგრეთვე, დესკრიპტული კვლევის შედეგად მოპოვებულია ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია, ხსენებული მეთოდების გამოყენებასთან მიმართებით, არსებული საერთაშორისო გამოცდილებისა და კვლევის შედეგების შესახებ.

კვლევის საგანი დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის ინგლისურ ენაზე წერა-კითხვის უნარების განვითარების საწყის ეტაპზე ფონიქს-გრაფონიქსის ინტეგრირებული მეთოდით სწავლების ეფექტიანობის დადგენაა.

კვლევის სამიზნე აუდიტორიაა 6-9 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეები და დარგის სპეციალისტები: ინგლისური ენის პედაგოგები, მეთოდისტები და მოსწავლეების მშობლები.

განხორციელებული კვლევის შედეგები ნაშრომში წარმოდგენილ დასკვნებსა და რეკომენდაციებში აისახა.

A n n o t a t i o n

The paper discusses the issues of efficient application of two complementary methods of teaching English as a foreign language at the beginner/starter level. In particular, we mean ***Phonics*** – the method with a long history, which despite some controversies is presently extremely popular in the West and ***Graphonics*** – a modified version of phonics developed by us.

The present paper attempts to address the issue of a paramount importance, namely, ***how to help young Georgian learners (6-9 age group) to acquire reading and writing skills in English without much stress and strain.*** This problem is of special significance in Georgia nowadays in view of new developments both in the country generally and in the sphere of education, particularly in the field of teaching foreign languages to young learners. Thus, the issue of studying foreign languages, in particular English, has become a matter of national importance. The ongoing universal process of globalization and integration prompts the trend. Thereby, if Georgia wishes to establish itself a reputation of worthy member of modern civilized world cherishing humanistic and democratic values, our young people should be granted opportunities to get fundamental education complying with contemporary standards. And that is impossible without thorough knowledge of foreign languages, especially of English language, which nowadays actually enjoys the status of lingua franca.

The goal of the research is to determine to what extent application of Phonics-Graphonics method at a starter level of English language acquisition makes learning process for beginner pupils smooth and painless. We endeavored to investigate the indicated issue by looking into the efficiency of application of Phonics-Graphonics method-based textbooks (*Phonics Starter; Phonics Elementary; Graphonics* – as supplementary textbook) created by us. Due to the fact that our textbooks were granted official license envisaged by regulations adopted by the Ministry of Science and Education of Georgia (2008-2009), the textbooks were used in the whole range of educational institutions (both state and private schools, various language schools)

all over Georgia where pupils acquired reading and writing skills in English at a beginner level. Thereby, we had a perfect opportunity to carry out our investigation regarding the efficiency of application of Phonics-Graphonics method.

We used both quantitative (questionnaires) and qualitative (in-depth interviews) research methods. Also, we heavily relied on significant material obtained as a result of descriptive research related to international experience and studies on application of the mentioned methods.

Research subject is determining efficiency of application of Phonics-Graphonics method while teaching English (writing and reading skills) as a forign langauge to young learners at a starter level.

Research target group are 6-9 year old pupils as well as field specialists, EFL methodology experts, English language teachers, and pupils' parents.

Research outcomes are reflected in conclusions and recommendations presented in the thesis.

შინაარსი

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომის მიზანი ..... გვ. 9

საკითხის აქტუალურობა ..... გვ. 11

სადისერტაციო ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა და პრაქტიკული გამოყენება

ა) თეორიული მნიშვნელობა ..... გვ. 13

ბ) პრაქტიკული გამოყენება ..... გვ. 14

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა ..... გვ. 14

თავი1. ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლების მეთოდოლოგიური საფუძვლების ჩამოყალიბების პროცესი - ისტორიული ექსკურსი

1.1 ინგლისური ენის, როგორც უცხოური ენის სწავლების სათავეებთან (XVI - XVIII საუკუნეები) ..... გვ. 15

1.2 როჯერ აშემის "ორმაგი თარგმანის" მეთოდი და ვების უცხოური ენების სწავლების "პირდაპირი მეთოდი" ..... გვ. 20

1.3 ორთოგრაფიული რეფორმა

1.3.1 ჯონ ჰარტი - "ფონიკური კითხვა" ..... გვ. 26

1.3.2 რიჩარდ მალკასტერის ხედვა ორთოგრაფიულ საკითხებთან დაკავშირებით ..... გვ. 31

1.4 უდიდესი განმანათლებლის, იან ამოს კომენიუსის როლი უცხოური ენების სწავლების პრაქტიკის განვითარებაში

1.4.1 კომენიუსი - განმანათლებელი და პედაგოგი ..... გვ. 33

1.4.2 "გრძნობადი სამყარო სურათებში" (*Orbis Sensualium Pictus*) ..... გვ. 39

1.5 გაი მეჟეს "ინგლისურის შესწავლის ახალი მეთოდი" და ჯონ მილერის "მასწავლებელი" ..... გვ. 44

1.6 პარალელები მეთოდოლოგიური საფუძვლების ჩამოყალიბების საწყის საფეხურზე აღმოცენებულ მეთოდებსა და ინგლისურის, როგორც უცხოური ენის, სწავლების თანამედროვე პრაქტიკასთან გვ. 47

თავი 2. ფონიქსის მეთოდის გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში

2.1 ფონიქსის მეთოდი - განსაზღვრება ..... გვ. 53

2.1.1 ანალიზური და სინთეზური ფონიქსი ..... გვ. 55

2.2 მარი ფეიველი - ინგლისური ენის ფონიქსის მეთოდით სწავლების ერთ-ერთი პირველი სისტემატიზებული სახელმძღვანელოს შემქმნელი ..... გვ. 58

2.3 ფონიქსი და ინგლისური ენის სწავლებისადმი ჰოლისტური მიდგომა ..... გვ. 73

2.4 ფონიქსის მეთოდის ხელახალი აღმოჩენა - რუდოლფ ფლეში, "რატომ ვერ კითხულობს ჯონი" ..... გვ. 77

2.5 დასავლეთში ფონიქსის მეთოდის გამოყენების ზოგადი ტენდენციები; ფონიქსი - აზრთა სხვადასხვაობა ..... გვ. 82

თავი 3. ფონიქსის მეთოდის მოდიფიკაცია - გრაფონიქსი - ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში

3.1 გრაფონიქსის მეთოდი

3.1.1 გრაფონიქსის მეთოდის განსაზღვრება ..... გვ. 85

3.1.2 მეთოდის შემუშავებისა და მასზე დაფუძნებული სახელმძღვანელოების შექმნის წინაპირობები ..... გვ. 93

3.2 გრაფონიქსის და ფონიქსის მეთოდებზე დაფუძნებული ქართული სახელმძღვანელობის მიმოხილვა

3.2.1 სახელმძღვანელო "გრაფონიქსი", 2005..... გვ. 98

3.2.2 სახელმძღვანელო "ფონიქსი დამწყებთათვის", 2008 ..... გვ. 105

3.2.3 სახელმძღვანელო "ფონიქს ელემენტარული", 2009 ..... გვ. 109

3.3 გრაფონიქსისა და ფონიქსის მეთოდებით ინტეგრირებული სწავლების უპირატესობანი ..... გვ. 111

თავი. 4 ექსპერიმენტული ნაწილი

კვლევის წარმოების მეთოდოლოგია ..... გვ. 116

დასავლელი ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევები და მათი შედეგები ..... გვ. 117

ფონიქს-გრაფონიქსის მეთოდზე დაფუძნებული ქართველი ავტორების მიერ შექმნილი სახელმძღვანელოების პილოტირებისა და სკოლებში გამოყენების შედეგების ანალიზი

ა) "გრაფონიქსის" სახელმძღვანელოს პილოტირების შედეგები გვ. 130

ბ) დაწყებითი საფეხურის ინგლისური ენის პედაგოგებსა და მოსწავლეების მშობლებთან ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი ..... გვ. 131

გ) დარგის სპეციალისტებთან ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი ..... გვ. 138

დ) ფონიქს-გრაფონიქსის მეთოდზე დაფუძნებული სახელმძღვანელოების გავრცელების ტენდენციები და არეალი . გვ. 142

დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნები ..... გვ. 146

რეკომენდაციები ..... გვ. 148

გამოყენებული ლიტერატურა ..... გვ. 152

დანართი 1 საილუსტრაციო გვერდები "გრაფონიქსიდან" გვ. 158

დანართი 2 საილუსტრაციო გვერდები "გრაფონიქსიდან" გვ. 164

დანართი 3 საილუსტრაციო გვერდები "ფონიქსიდან" (დ2) გვ. 166

დანართი 4 საილუსტრაციო გვერდები "ფონიქსიდან" (დ2) გვ. 169

დანართი 5 საილუსტრაციო გვერდები "ფონიქსიდან" (დ1) გვ. 175

დანართი 6 ტესტების ნიმუშები ("გრაფონიქსი") გვ. 180

დანართი 7 კითხვარის ნიმუში გვ. 184

დანართი 8 სახელმძღვანელოების გაყიდვების გრაფიკული ნიმუში გვ. 186

დანართი 9 ჩაღრმავებული ინტერვიუებისთვის განკუთვნილი კითხვების ნიმუშები ..... გვ. 187

დანართი 10 "How the Alphabet was Made" (ნაწყვეტი) გვ. 189

დანართი 11 ინტერვიუების ტრანსკრიპტები გვ. 191

შესავალი

სადისერტაციო ნაშრომის მიზანი

ნაშრომის მიზანია განიხილოს ქართველი ავტორების მიერ (ინა ბარათაშვილი, თამარ ჯაფარიძე, ეკა გოგილაშვილი) შემუშავებული ინგლისურის, როგორც უცხოური ენის, სწავლების ინოვაციური მეთოდი, სახელწოდებით გრაფონიქსი და ამ ახალ მეთოდზე დაყრდნობით შექმნილი ინგლისური ენის სასწავლო სახელმძღვანელოები (*Phonics Starter; Phonics Elementary; Graphonics*); გაანალიზოს გრაფონიქსის, მისი წინამორბედი მეთოდის - ფონიქსისა და ამ მეთოდების ინტეგრირებული გამოყენების საფუძველზე შექმნილი სახელმძღვანელოების თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა და ეფექტიანობა. ნაშრომში მიმოხილულია გრაფონიქსის მეთოდის შექმნის წინაპირობები: რამ გამოიწვია ქართველი ავტორების ინტერესი ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლების ახალი მეთოდის შემუშავებისადმი, და რამ უბიძგა მათ, შეექმნათ ამ მეთოდზე დაფუძნებული ინგლისური ენის სახელმძღვანელოები იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ უკვე გავრცელებული იყო ინგლისური ენის სწავლების საკმაოდ სანდო და პოპულარული მეთოდები, ასევე, არსებობდა ინგლისური ენის სახელმძღვანელოების ფართო არჩევანი.

კვლევის ჰიპოთეზა: დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლების საწყის საფეხურზე წერა-კითხვის უნარების განვითარების პროცესში უაღრესად ეფექტიანი და პროდუქტიულია ფონიქს-გრაფონიქსის მეთოდების ინტეგრირებული გამოყენება.

ნაშრომის სიახლე: ნაშრომის პირველ თავში წარმოდგენილი საკმაოდ ვრცელი და დეტალური ისტორიული ექსკურსის საშუალებით გვსურს, დავასაბუთოთ გრაფონიქსის შექმნის ლოგიკური აუცილებლობა. ინგლისური ენის, როგორც უცხოური ენის სწავლების, მეთოდოლოგიური საფუძვლების საწყისებისა და განვითრების ისტორიულ ჭრილში განხილვა ასაბუთებს გრაფონიქსის, ინგლისური ენის ერთ-ერთი ძალზე ეფექტიანი მეთოდის, დამკვიდრების

აუცილებლობას ენის სწავლების სხვა პოპულარულ, აპრობირებულ მეთოდთა შორის. სადისერტაციო ნაშრომის მიზანი, ერთი მხრივ, ინგლისური ენის სწავლების პროცესში გრაფონიქსის მეთოდის მნიშვნელობის წარმოჩენა, მეორე მხრივ კი, გრაფონიქსის მეთოდის კომპლექსური განხილვა და ანალიზია, სხვა მეთოდებთან და მიდგომებთან მიმართებით. პირველ ყოვლისა, ვგულისხმობთ ფონიქსის მეთოდს. ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან დასავლეთში, როგორც ინგლისურენოვან, ისე არაინგლისურენოვან სახელმწიფოებში, გრაფონიქსი ინგლისური ენის სწავლების (L1/L2) ფართოდ გავრცელებული, უაღრესად პოპულარული მეთოდის - ფონიქსის მოდიფიცირებულ ვარიანტს წარმოადგენს.

ნაშრომი მიზნად ისახავს, განხორციელებული კვლევის საფუძველზე წარმოაჩინოს და დაასაბუთოს ინოვაციური მეთოდის - გრაფონიქსისა და უკვე დამკვიდრებული მეთოდის - ფონიქსის ინტეგრირებული გამოყენების ეფექტიანობა ქართულენოვანი მოსწავლეებისათვის ინგლისური ენის სწავლების საწყის საფეხურზე, კონკრეტულად კი, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით საფეხურზე, 1-4 კლასებში, (6-9 წწ. ასაკობრივ ჯგუფებში). ასევე, ნაშრომის მიზანია ხსენებულ მეთოდებზე დაფუძნებული სახელმძღვანელოების გამოყენების პოზიტიური შედეგების წარმოჩენა: მოსწავლეთა მოტივაციისა და ინტერესის ზრდა, ინგლისურ ენასთან მიმართებით; ამ სახელმძღვანელოების გამოყენების შედეგად სასწავლო მასალის ათვისების გაადვილება და, იმავდროულად, სწავლების პროდუქტიულობის ზრდის მაქსიმალური ხელშეწყობა, რაც საბოლოოდ ეხმარება მოსწავლეებს დასახული მიზნის (წერა-კითხვის უნარის განვითრება) წარმატებით მიღწევაში.

საკითხის აქტუალურობა

მსოფლიო თანამეგობრობამ აღიარა ის ფაქტი, რომ ინგლისურმა ენამ საერთაშორისო ენის, ფაქტობრივად, ლინგვა ფრანკას სტატუსი მიიღო. ინგლისური ენის უდიდესი პოპულარობა განაპირობა გლობალიზაციის შეუქცევადმა პროცესმა და ინტერნეტის უალტერნატივო მოხმარებამ. ინგლისურის ცოდნა განსაკუთრებუით აქტუალურია ისეთი სახელმწიფოებში, რომლებმაც აირჩიეს განვითრების დასავლური, ევროპული მოდელი და რომლებიც სრულად იზიარებენ დემოკრატიული განვითარებისა და ჰუმანურობის პრინციპებს. იმ ქვეყნებს, რომელთა ბუნებრივი განვითარების პროცესს ხელი შეუშალა რთულმა ისტორიულ-პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პრობლემებმა, სხვა დანარჩენ, პროგრესულ, მაღალგანვითარებულ სახელმწიფოებთან გასათანაბრებლად, სჭირდება ახალი ყაიდის განათლებული თაობა. მხოლოდ პროგრესულად მოაზროვნე სპეციალისტები, მოწინავე საერთაშორისო გამოცდილებასა და კაცობრიობის განვითარების პროცესში დაგროვილ ცოდნაზე დაყრდნობით, შეძლებენ საკუთარი ქვეყნის დახმარებას: სწრაფად დაეწიონ და გაუთანაბრდნენ მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებს.

საქართველოც სწორედ ასეთი ქვეყნების რიგშია. მას სჭირდება ისეთი კადრები, რომელთა განათლება და კვალიფიკაცია შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. ამ მიზნის მისაღწევად ახალ თაობას: სტუდენტებს, მომავალ სპეციალისტებსა და პროფესიონალებს აუცილებლად სჭირდებათ უცხოური ენების, ჩვენი რეალობის გათვალისწინებით კი, პირველ ყოვლისა, ინგლისური ენის ცონდა. ეს დაეხმარება მათ, მუდამ ინფორმირებულნი იყვნენ და თვალს ადევნებდნენ თანამედროვე სამყაროში მიმდინარე ცვლილებებსა და მოვლენებს, მეტიც, თავადაც აქტიურად ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ თანამედროვე მსოფლიო პროცესებში.

სწორედ ინგლისური ენის მაქსიმალურად უმტკივნეულოდ და, რაც შეიძლება, მარტივად შესწავლას უზრუნვრლყოფს გრაფონიქსის მეთოდი და ამ მეთოდის საფუძველზე შექმნილი სახელმძღვანელოები. მისი მთავარი უპირატესობა ისაა, რომ სწორედ გრაფონიქსის მეთოდის გამოყენებითაა შესაძლებელი ინგლისური

ენის სწავლების ყველაზე მნიშვნელოვან, კერძოდ კი, სწავლების დაწყებით საფეხურზე, ინგლისური ენისთვის დამახასიათებელი მთავარი სირთულის გადალახვა. ამ ტიპის პრობლემები აწუხებთ არა მხოლოდ არაინგლისურენოვან, არამედ ინგლისურენოვან მოსწავლეებსაც. ეს გახლავთ ინგლისური ენის ორთოგრაფიასა და წარმოთქმასთან დაკავშირებული სირთულეები, ანუ ინგლისური ბგერების ფონეტიკური ვარიანტების წარმოთქმასა და მათ გრაფიკულ გამოსახულებათა შორის არსებული შეუსაბამობა. განსაკუთრებით, ამ სირთულეს აწყდებიან ის მოსწავლეები, რომელთა მშობლიური ენის ანბანში ბგერათა ფონეტიკური და გრაფიკული ვარიანტები ერთმანეთს ემთხვევა.

ნაშრომის თეორიული მნიშვნელობა და პრაქტიკული გამოყენება

ა) თეორიული მნიშვნელობა

ნაშრომში წარმოდგენილია ინგლისური ენის, როგორც უცხოური ენის სწავლების ახალი, ინოვაციური მეთოდი - გრაფონიქსი და გაანალზებულია მისი მნიშვნელობა დამწყებ მოსწავლეთათვის ინგლისური ენის, როგორც მეორე/ უცხოური ენის, შესწავლის პროცესის მაქსიმალურად პროდუქტიულად წარმართვისათვის. ამასთან, დეტალურადაა განხილული ფონიქსის მეთოდი, რომლის მოდიფიცირებულ ვარიანტია გრაფონიქსი. დასაბუთებულია, რატომ არის ეფექტიანი ამ ორი მეთოდის ინტეგრირებული გამოყენება. ნაშრომში, ასევე, ვრცლადაა გაანალიზებული ინგლისურ ენის სწავლების დღემდე არსებული თითქმის ყველა, მეტ-ნაკლებად გავრცელებული და ცნობილი მეთოდი. საინტერესოა, რომ ნაშრომში ეს მეთოდები ინდივიდუალურად კი - არა, ერთი სისტემის სხვადასხვა ელემენტად განიხილება. ეს ელემენტები, ჩვეულებისამებრ, ერთმანეთს კი არ უნდა უპირისპირდებოდეს, არამედ - ავსებდეს და, სწავლებისა და სწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, კომბინირებულად გამოიყენებოდეს.

თეორიული თვალსაზრისით, ძალზე მნიშვნელოვანია, წარმოვაჩინოთ ინგლისური ენის, როგორც უცხოური ენის სწავლების მეთოდოლოგიური საფუძვლების ჩამოყალიბებისა და პრაქტიკის განვითარების ევოლუციის პროცესი. ეს ცხადყოფს, რომ დღევანდელი მოწონებული თუ დაწუნებული მეთოდები, ფაქტობრივად, პარალელურად ვითარდებოდა და მათი პოპულარობა და უგულებელყოფა დროებითი მოვლენა იყო: იცვლებოდა ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში არსებული მოთხოვნებისა და საჭიროებების მიხედვით. შესაბამისად, მათ აქტუალურობას განაპირობებდა იმ ეპოქის გამოწვევები, რომელშიც ენის შემსწავლელთ უწევდათ ცხოვრება.

ბ) პრაქტიკული გამოყენება

ნაშრომში წარმოდგენილია მასწავლებლებისათვის განკუთვნილი რეკომენდაციები; განმარტებულია, როგორ შეიძლება, გრაფონიქსისა და ფონიქსის მეთოდების ინტეგრირებული გამოყენებითა და მათი უცხოური ენის სწავლების სხვა მეთოდებთან შეჯერებით, მაქსიმალურად უმტკივნეულოდ და საფუძვლიანად ვასწავლოთ სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს (*Young Learners)* ინგლისურ ენაზე წერა-კითხვა, რაც ფუნდამენტური ცოდნის წინაპირობაა. საწყისი, პირველი ეტაპი უცხოური ენების დაუფლების პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია. თუ მოსწავლეებს თავიდანვე ეგონებათ, რომ ენის ათვისება უჭირთ, მაშინ ამ ენის შესწავლის სურვილი, მისდამი ინტერესი გაუქრებათ და შემდგომში ამ პრობლემის გამოსწორებაც საგრძნობლად გართულდება. გრაფონიქსის საშუალებით კი მასწავლებლებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს გაცილებით უადვილდებათ სწავლისა და სწავლების პროცესი. ეს, თავისთავად, გულისხმობს მასალის უკეთ, უფრო სწრაფად და საფუძვლიანად ათვისებას, შესაბამისად კი, მოსწავლეების მოტივაციის ზრდას, რაც შემდგომი წარმატების რეალური საწინდარია.

სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი 151 ნაბეჭდ გვერდს მოიცავს, შედგება შესავლისა და ოთხი თავისაგან. ნაშრომის დასკვნით ნაწილში მოცემულია განხორციელებული კვლევის ანალიზის შედეგები და შემუშავებული რეკომენდაციები. დისერტაციას ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და 11 დანართი.

თავი1. ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლების მეთოდოლოგიური საფუძვლების ჩამოყალიბების პროცესი - ისტორიული ექსკურსი

1.1 ინგლისური ენის, როგორც უცხოური ენის სწავლების სათავეებთან (XVI-XVIII საუკუნეები)

მეცნიერების ნებისმიერი დარგისათვის საკითხის ისტორიულ ჭრილში განხილვას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს. ისტორიული ფონის, საწყისების ცოდნის გარეშე შეუძლებელია, სრულფასოვნად გავერკვათ ჩვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხში. პედაგოგიური მეცნიერებაც, რასაკვირველია, ამ მხრივ, გამონაკლისს არ წარმოადგენს. პედაგოგიკა, რომელიც დიდწილად ეყრდნობა ფილოსოფიურ მეცნიერებას, ხანგრძლივი და უაღრესად საინტერესო ისტორიული წარსულის მქონეა. შეუძლებელი იქნებოდა, გვესაუბრა პედაგოგიკის თანამედროვე პრობლემებზე მისი ისტორიული ფესვების განხილვის გარეშე. ყველა ის საკითხი, რომლებიც დღეს აქტუალურია, სათავეს წარსულში იღებს და, შესაბამისად, მათ აუცილებლად აქვთ თავისი ისტორია.

ენების სწავლებას, კერძოდ კი, უცხოური ენების სწავლებას, საკმაოდ ხანგრძლივი, ძალზე საინტერესო და დღევანდელი პერიოდისათვის რელევანტური ისტორია აქვს. მიგვაჩნია, რომ საკითხის სრულფასოვნად შესწავლისათვის, პრობლემის სწორად დაყენებასა და გადაჭრისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია იმ გამოცდილების გაცნობა, რომელიც დაგროვდა უცხოური ენების, კონკრეტულად კი, ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე ეტაპამდე. ეს სასარგებლო პროცესია, იმდენად, რამდენადაც შესაძლებლობას მოგვცემს, პარალელი გავავლოთ დღევანდელ მიდგომებსა თუ მეთოდოლოგიებსა და მათ ისტორიულ ანალოგებსა თუ წინამორბედებს შორის. ინგლისური ენის, როგორც უცხოური ენის შესწავლის თითქმის ყველა თანამედროვე მიდგომა თუ მეთოდი დასაბამს იღებს გასული საუკუნეების განმანათლებელთა, პედაგოგთა და მოაზროვნეთა შრომებსა და მოღვაწეობაში. გამონაკლისი, ამ მხრივ, არც ჩვენი კვლევის საგანი - ფონიქს-გრაფონიქსის ინტეგრირებული მეთოდია. ინგლისური ენის, როგორც უცხოური

ენის სწავლების ფონიქსის და მისი მოდიფიცირებული ვარიანტის - გრაფონიქსის ისტორიული ანალოგები ძალზე საყურადღებო და მნიშვნელოვანია, აღნიშნული მეთოდიკის თანამედროვე კონტექსტით, დღევანდელ რეალობაში გამოყენების ეფექტიანობის დადგენისათვის.

ინგლისური ენის, როგორც უცხოური ენის სწავლების მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის ჩამოყალიბების პროცესი იწყება და აქტიურად ვითარდება XVI-XVIII საუკუნეებში. შეიძლება, თამამად ითქვას, რომ სწორად ამ ისტორიულ მონაკვეთში აღმოცენდა ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლების, თითქმის ყველა ის მეთოდი თუ მიდგომა, რომლებსაც თანამედროვე ეპოქაში, ხშირად, დიდი ენთუზიაზმით წარმოადგენენ უცხოური ენების სწავლების უახლეს მეთოდოლოგიებად.

აღნიშნულ ისტორიულ მონაკვეთში ინგლისში, პოლიტიკური და ეკონომიკური წინაპირობებით გამოწვეული, ლინგვისტური ცვლილებების პროცესი დაიწყო, როდესაც ორენოვანი ფეოდალური ქვეყანა, თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში მართული პლანტაგენეტების ანგლო-ფრანკული დინასტიის მიერ, თანდათანობით ტიუდორების მმართველობის ქვეშ მყოფ ერთენოვან ერად გარდაიქმნა. ეს პერიოდი გახლავთ ინგლისური ენის, როგორც ნაციონალური სახელმწიფო ენის, აღორძინების ხანა. თუ ამ დრომდე მთელი ყურადღება კლასიკური ენების სწავლებას ეთმობოდა, ახლა სულ უფრო მეტი ინტერესი ჩნდება ადგილობრივი მოსახლეობისა და უცხოელებისთვისაც ინგლისური ენის სწავლებისადმი. ბუნებრივია, ენის სწავლების მეთოდოლოგიისა და პრაქტიკის განვითრებისადმი გაჩენილმა ინტერესმა პრაქტიკული სახელმძღვანელოებისა და მეთოდოლოგიური ნაშრომების შექმნის აუცილებლობაც განაპირობა.

აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად, ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლების (EFL – English as a Foreign Language) პირველი მოწესრიგებული სახელმძღვანელოებისა და სისტემატიზებული მეთოდოლოგიების გამოჩენამდე, ფრანგი პედაგოგების ავტორობით შეიქმნა ძალზე საინტერესო თეორიული შრომები

და პრაქტიკული სახელმძღვანელოები. ეს პროცესი XVI საუკუნის მეორე ნახევარში, კერძოდ, 1570-1580 წლებში განვითარდა, როდესაც ინგლისს საფრანგეთიდან ლტოლვილ ჰუგენოტთა ნაკადი მოაწყდა. თუმცა, ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლებისადმი ინტერესი გაცილებით ადრე გაჩნდა. ინგლისური ენით ინტერესდებოდნენ მეზობელი, სრუტის გაღმა მდებარე სახელმწიფოების (მაგალითად, ფლანდრიის) სავაჭრო-კომეციული წრეები.

როგორც ზემოთ ითქვა, ჰუგენოტი ფრანგების, ასევე, ფლანდრიიდან, იტალიასა და ესპანეთიდან ლტოლვილი პროტესტანტების ურიცხვი რაოდენობა თავს აფარებდა ინგლისს. ისინი, ძირითადად, გაწაფული ხელოსნები და რეწვის ოსტატები იყვნენ. თუმცა, მათ შორის ბევრი იყო ინტელექტუალური "საშუალო ფენის" წარმომადგენელიც, კერძოდ, მასწავლებლები. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სამი ლტოლვილი მასწავლებლის მოღვაწეობა. ესენი არიან: ჟაკ ბელო (Jacques Bellot), რომელიც ინგლისურს - იმიგრანტ ფრანგებს, ხოლო მშობლიურ ფრანგულს ადგილობრივ მოსახლეობას ასწავლიდა; კლავდიუს ჰოლიბენდი (Claudius Holyband) და ჯონ ფლორიო (John Florio, 1553-1625). ეს უკანასკნელი ე.წ. ენების იმ კერძო მასწავლებელთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც ფრანგულს ასწავლიდნენ, ძირითადად, თავად-აზნაურებისა და დიდგვაროვან-არისტოკრატების ოჯახებს. ფლორიო, გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა და სახელმძღვანელოების შექმნისა, ლინგვისტურ-ლიტერატურული მიმართულებითაც მუშაობდა.

ლტოლვილ მასწავლებელთა მიდგომა უცხოური ენების სწავლებისადმი (იქნებოდა ეს მათი მშობლიური ფრანგული თუ მათთვის მეორე ენა - ინგლისური) გამოირჩეოდა გარკვეული თავისებურებებით. მაგალითად, თანამედროვე ეპოქის უცხოური ენების პედაგოგების ე.წ. ენის მატარებელი მასწავლებლებისაგან (*Native speaker teachers*) განსხვავებით, ლტოლვილ მასწავლებელთა მეთოდი საინტერესო მახასიათებლით გამოირჩეოდა: მიუხედავად იმისა, რომ სამივე ფრანგულენოვანი იყო, ფრანგულის სწავლებისას ისინი მონოლინგვურ მიდგომას კი არ იყენებდნენ, არამედ - ადრეული სახელმძღვანელოებისათვის (ლათინურ/ბერძნული) დამახასიათებელ ტრადიციულ, ორენოვან/ბილინგვურ მეთოდს. (35, 19)

ამ პერიოდის სახელმძღვანელოები იწერებოდა ორ ან მეტ სვეტად, დიალოგის ფორმით. მაგალითად, ჟაკ ბელოს სახელმძღვანელოში ერთი სვეტში წარმოდგენილი იყო ინგლისურენოვანი ფრაზები, მეორე სვეტში იგივე ტექსტი - ფრანგულად, მესამე სვეტში კი - აღნიშნული ტექსტების "ნახევრად ფონეტიკური" ("*semi-phonetic*") წარმოთქმის ვარიანტი. გრამატიკისა და წარმოთქმის წესები ან შესავალს უძღვოდა, ან სახელმძღვანელოს ბოლოში იყო განლაგებული. მაგალითად, თუ კვლავ ბელოს სახელმძღვანელოებს მივუბრუნდებით, ნამდვილად ღირს ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ ბელო საგანგებოდ გამოჰყოფს ე.წ. "რთულ სიტყვებს". კერძოდ, "He, (იგულისხმება ბელო), discusses homophones with different spellings like *hole/whole, bore/boar, horse/hoarse* or common ambiguities such as *right, straight,* and *hold.* He even includes everybody's favourite minimal pair: *David was a keeper of sheep/The Katharine of England is a fair ship.* Every teacher of English as a foreign language today would recognize Bellot's choice of problem words: *well, light, stay, and fast,* for instance, or contrasts such as *fill/feel* or *cost/coast/cast.* With examples, like these, Bellot's main aim appears to have been to help learners who had picked the language up "by ear" to distinguish easily confused words by seeing them in print". (35, 22)

მიუხედავად იმისა, რომ მეოცე საუკუნიდან მოყოლებული უცხოური ენების სწავლების მეთოდიკაში აშკარად ჭარბობდა სწავლების მონოლინგვური მიდგომის პრაქტიკა, ბოლო ხანებში ლინგვისტთა და პედაგოგთა გარკვეული ნაწილი, მათ შორის ბრიტანელი სპეციალისტები, სულ უფრო ამახვილებენ ყურადღებას ბილინგვური მიდგომის რიგ დადებით მხარეებზე. ამ საკითხს უფრო დეტალურად მაშინ განვიხილავთ, როდესაც მთარგმნელობითი მეთოდის შესახებ ვისაუბრებთ.

ყურადღებას იმსახურებს, ასევე, მეორე ფრანგი ლტოლვილი მასწავლებელის, კლავდიუს ჰოლიბენდის მიდგომა უცხოური ენის სწავლებისადმი და მისი სახელმძღვანელოები *("French Schoolmaster"*, 1573, *"The French Littleton",* 1576). ჰოლიბენდი დღეს აღიარებულია ე.წ. "ინდუქციური მეთოდის" მამად. ის ერთ-ერთი

პირველთაგანია, ვინც გრამატიკის სწავლებისას მიმართა ე.წ. ინდუქციურ მეთოდს. ეს გულისხმობს ჯერ ტექსტთან მუშაობას, შემდეგ კი, საჭიროების მიხედვით, გრამატიკული წესების გაცნობას, ანუ ენის გააზრებული დაუფლება სწავლის პროცესის მეორე ეტაპზე, სწორედ მას შემდეგ იწყება, რაც მოსწავლე ერთგვარად შეეთვისება და წარმოდგენას შეიქმნის შესასწავლ ენაზე.

1.2 როჯერ აშემის "ორმაგი თარგმანის" მეთოდი და ვების უცხოური ენების სწავლების "პირდაპირი მეთოდი"

როგორც ზემოთ აღინიშნა, არაერთი მეთოდი თუ მიდგომა, რომლებიც დღეს ინგლისურის, როგორც უხცო ენის სწავლების პროცესში ნოვაციად და წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევა, დასაბამს იღებს გასული საუკუნეების პედაგოგიურ პრაქტიკაში. ამის საუკეთესო მაგალითია ჰოლიბენდის მიერ გამოყენებული ინდუქციური მეთოდი. "ინდუქციური მეთოდი " დღეს ITTO-ს (Inernational Teacher Training Organinaztion) ვებ გვერდზე დახასიათებულია, როგორც "a more modern style of teaching where the new grammatical structures or rules are presented to the students in a real language context. The students learn the use of the structure through practice of the language in context, and later realize the rules from the practical examples…The advantages of the inductive approach are that students can focus on the use of the language without being held back by grammatical terminology and rules that can inhibit fluency. The inductive approach also promotes increased student participation and practice of the target language in the classroom, in meaningful contexts. The use of the inductive approach has been noted for its success in EFL/ESL classrooms world-wide" (60)

ასევე, ჰოლიბენდის სახელს უკავშირდება მეორე, საკმაოდ ცნობილი მეთოდის გამოყენების პრეისტორიაც. ეს "ორმაგი თარგმანის" მეთოდია, რომელიც უცხოურ ენაზე დაწერილი ტექსტის მშობლიურ ენაზე თარგმნას და თარგმნილი ვარიანტის კვლავ უცხოურ ენაზე გადათარგმნას გულისხმობს. გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდის მსგავსად, ორმაგი თარგმანის მეთოდის სათავეები კლასიკური ენების სწავლების ტრადიციაში უნდა ვეძიოთ.

მიუხედავად ჰოლიბენდისა და მისი მსგავსი ლტოლვილი მასწავლებლების გაბედული მცდელობებისა, დაერსებინათ ისეთი სკოლები, სადაც კლასიკური და ადგილობრივი (vernacular) ენები ერთად ისწავლებოდა, ადგილობრივი ენების სწავლება კვლავ რჩებოდა მეორეხარისხოვან საკითხად მთელი მეჩვიდმეტე

საუკუნის განმავლობაში. კლასიკური საშუალო სკოლების (Grammar school) ყურადღების საგანი კვლავ ლათინური და ბერძნული ენების სწავლება იყო. მეთვრამეტე საუკუნემდე, ვიდრე კერძო სკოლებმა და აკადემიებმა თანდათანობით დაიმკვიდრეს ადგილი, კლასიკური კურიკულუმი ხელშეუხებელი რჩებოდა. XVI-XVII საუკუნის რეფორმისტული მიდგომები ენების სწავლებისადმი ლათინური გრამატიკის წესების გაუაზრებელი დაზეპირების, მაგალითების უსასრულოდ გამეორებისა და გამოწერის ფონზე ვითარდებოდა. აღნიშნული მეთოდებისათვის დამახასიათებელი იყო ყურადღების გამახვილება საკუთრივ ტექსტების თარგმნასა და გაგებაზე და არა - წესების გაუაზრებელ დაზეპირებაზე.

ჰოლიბენდის მიერ გამოყენებული ორმაგი თარგმანის მეთოდის პრაქტიკა უკიდურესად დახვეწა კიდევ ერთმა გამორჩეულმა პედაგოგმა და ლინგვისტმა, როჯერ აშემმა (Roger Ascham, 1515-1568). აშემი ჰუმანისტური ტრადიციების მიმდევარი გახლდათ. მას ეკუთვნის თავისი დროის უაღრესად პოპულარული ნაშრომი "პედაგოგი", *("The Schoolmaster",* 1570), რომელმაც საგრძნობი გავლენა მოახდინა როგორც, ზოგადად, ჰუმანისტური პედაგოგიკის მიმართულების განვითარებაზე, ისე, კერძოდ, უცხოური ენების სწავლების მეთოდიკის ჩამოყალიბებაზე.

აშემის "პედაგოგი" შედგება ორი თანაბარი ზომის ნაწილისაგან. პირველი - "ბავშვის აღზრდა" მიმოიხილავს კეთილშობილი გვარის ყმაწვილთა განათლება-აღზრდის ზოგად მიზნებსა და ამოცანებს. ნაშრომის ამ ნაწილში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აღსაზრდელისთვის ძველი სამყაროს ლიტერატურის თვალსაჩინო ნიმუშების გაცნობას, ასევე, მჭევრმეტყველების უნარის ჩამოყალიბებასა და განვითარებას, რაც ენის ხმარების გაცილებით ფაქიზ და სიღრმისეულ კომპეტენციას გულისხმობს, ვიდრე ამას, თანამედროვე გაგებით, უბრალოდ საჯარო საუბრის ხელოვნების დაუფლება ითვალისწინებს. ამ მიზნის მიღწევა, აშემის თანახმად, შესაძლებელია კლასიკური ტექსტების, კერძოდ, ლათინელი და ბერძენი ავტორების ტექსტების შესწავლის საშუალებით.

“პედაგოგის” მეორე ნაწილი - “სწრაფი გზა ლათინური ენის შესწავლისაკენ” (“*The Ready Way to the Latin Tongue*”) პედაგოგიკური გეგმაა, რომელიც ნაშრომის პირველ ნაწილში დასახული საგანმანათლებლო მიზნების მიღწევის გზებს განსაზღვრავს. აქ აშემი გვთავაზობს ექვს სასწავლო მეთოდს (ტექნიკას), რომელთა გამოყენება მასწავლებელმა მაშინვე უნდა დაიწყოს, როგორც კი მოწაფე შეითვისებს/დაეუფლება მეტყველების ყველა ძირითად ნაწილს (Parts of Speech). ნაშრომში წარმოდგენილი სწავლის მეთოდებიდან ყველაზე პოპულარული და ცნობილი “ორმაგი თარგმანის” (“Double Translation”) მეთოდია. ის ასოცირდება აშემის სახელთან, მიუხედავად იმისა, რომ სხვა პედაგოგებიც გამოიყენებდნენ მას, კერძოდ კი, ჰოლიბენდი. ლინგვისტ-მეთოდისტი, დოქტორი ფრედა მიშანი, თავისი ნაშრომის “*Designing Authenticity into Language Learning Materials*” ერთ-ერთ (პირველ) თავში - “ავთენტურობა ენების სწავლებისას - ისტორიული ექსკურსი” წერს : “A more liberal application of authentic texts in language learning can be seen in the method devised by Roger Ascham in the mid-16th century. Ascham developed a “double translation” method, in which pupils translated the target language text into the mother tongue, and then re-translated their versions into the target language. Ascham used simple but authentic texts in this process – when applied to the teaching of Latin, for instance, he used texts by Cicero. Interestingly, this technique is currently being revived in the context of cultural awareness-raising, where double translation at discourse level (rather than simply word/sentence level) is seen as a means of raising consciousness of cultural implications of linguistic choices (Pulverness 1999a: 9)”. (44, 4)

აშემის მიხედვით, “ორმაგი თარგმანის” მეთოდის უპირატესობა ისაა, რომ გაწაფული მასწავლებელი უცხოურ ენაზე დაწერილ დასასწავლ ტექსტსა და მშობლიურ ენაზე ნათარგმნ მის ეკვივალენტს თანაბარ სტატუსს ანიჭებს. მეთოდი მიზნად ისახავს, მოსწავლეს უჩვენოს როგორც შესასწავლი (სამიზნე), ისე საკუთარი ენის სტრუქტურა და რესურსები. მას შემდეგ, რაც მოწაფე ინდუქციურად მიიღებს ლათინური გრამატიკის საბაზისო ცოდნას მარტივი, მაგრამ ორიგინალური ტექსტების (აშემის პროგრამის მიხედვით, ძირითადად,

გამოიყენებოდა ციცერონის ტექსტები) დასწავლის საშუალებით, ის მზად არის, გადავიდეს აშემის მეთოდის ძირითად შემადგენელ კომპონენტზე, რომელსაც "*Imitatio*" (მიმსგავსება/იმიტაცია) ეწოდება. "*Imitatio*" გულისხმობს თავად მოსწავლის მიერ, ძველი ავტორების ტექსტების ნიმუშებზე დაყრდნობით, საკუთარი ტექსტების შექმნას ლათინურ და ბერძნულ ენებზე. თარგმანისა (*Translatio*) და იმიტაციის (*Imitatio*) გარდა, აშემი წარმოადგენს კიდევ ოთხ მეთოდს (ტექნიკას), რომელთა გამოყენება ხელს უწყობს ენის დახვეწას სტილისტური თვალსაზრისით. ეს მეთოდებია: პარაფრაზი *(Paraphrasis)*, რეზიუმირება *(Epitome)*, მეტაფრაზი *(Metaphrasis)* - პოეტური ტექსტის პროზად გადაკეთება და პირიქით, ენის შესწავლის ყველაზე მაღალ საფეხურზე დეკლამაცია *(Declamatio)*, ანუ მჭევრმეტყველება.

ასევე, აღსანიშნავია, რომ აშემმა გრამატიკის გაძლიერებული სწავლების ტენდენცია საგრძნობლად შეასუსტა. მან ენის სწავლების პროცესში გრამატიკის სწავლება თითქმის მთლიანად ორიგინალური ტექსტების გარჩევა-განხილვასა და შესწავლას დაუქვემდებარა. მოსწავლე გრამატიკის წესებს, კანონზომიერებებსა თუ გამონაკლისებს ეცნობა და ითვსებს კონკრეტული კონტექსტით, ტექსტზე დაყრდნობით და არა განცალკევებულად, სქემატურად.

აშემის ამგვარი დამოკიდებულება გრამატიკის სწავლებისადმი, ანუ ენების სწავლების მეთოდოლოგიის ე.წ. ანტიგრამატიკული (anti-grammar) მიმართულება კიდევ უფრო რადიკალური გახადა ჯოზეფ ვებმა (Joseph Webbe, 1560-1633), რომელმაც, ფაქტობრივად, უარი თქვა გრამტიკის სწავლებაზე. ჰოვატ-ვიდოვსონის ფუნდამენტურ ნაშრომ "ინლისური ენის სწალების ისტორიაში", ("*A History of English Language Teaching*") ჰოვატმა პარალელი გაავლო XVI-XVII და XIX საუკუნეებში განვითრებულ ტენდენციებსა და მიდგომებთან, როდესაც აშემის ინდუქციური გრამატიკის მეთოდის ქომაგად - ჰენრი სვიტი, ხოლო ვების მიმდევრებად კი "პირდაპირი/უშუალო მეთოდის" (Direct Method) მასწავლებლები წარმოგვიდგინა. "It is very interesting to observe how this contrast between Ascham (inductive grammar) and Webbe (no grammar) repeated itself in virtually the same form in the late nineteenth century

with Henry Sweet playing, as it were, the role of Ascham and the Direct Method teachers that of Webbe", - წერდა ჰოვატი. (35, 39)

ჯოზეფ ვებს მიაჩნდა, რომ ენები უნდა ისწავლებოდეს არა გრამატიკული წესების დაზეპირებით, არამედ პრაქტიკული გამოყენებისა და დამკვიდრებული ჩვეულების მიხედვით ("use and custom"). საწყის ეტაპზე ვებისათვის ენის სწავლების საუკეთესო საშუალება საკომუნიკაციო უნარების გამოყენებით ვარჯიში იყო, რაც გულისხმობდა გრამატიკის შესწავლას გაუცნობიერებლად, ყოველგვარი დაძაბვის გარეშე, პრაქტიკული სავარჯიშოების საშუალებით.

"By exercise of reading, writing, and speaking after ancient Custom, we shall conceive three things which are of greatest moment in any languages: first, the true and certain declining and conjugating of words, and all things belonging to Grammar, will without labour, and whether we will or no, thrust themselves upon us.

Secondly, we shall taste of the manner of speaking used by the ancients, together with the elegancy, grace, pleasure, and delightfulness of the Latin.

Thirdly, we shall make the judgment of the ear, and retainteh same forever: which grammar cannot help us to; in that it is imperfect and beguileth us". (52, 38)

ციტატაში ვები ყურადღებას ამახვილებს სმენითი მახსოვრობის (auditory memory) მნიშვნელობაზე. შეიძლება ითქვას, რომ ვებისათვის სრულიად ბუნებრივია მოსწავლეთა განსხვავებული ტიპების (დღევანდელი visual, auditory learners) არსებობა, რასაც აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში სწავლების დროს. იმ ეპოქისთვის ვების მიდგომა უაღრესად პროგრესული იყო, ხოლო მის მიერ გავრცელებული "კომუნიკაციური მიდგომა" (Communicative approach) უცხოური ენის სწავლება-სწავლის პროცესში დღესაც, ენების სწავლების თანამედროვე ეტაპზეც, მეტად პოპულარულია. ვებმა შემოგვთავაზა ენის სწავლების "პირდაპირი მეთოდი", რომლის თანახმადაც, მთავარი აქცენტი დასმულია საუბარზე, გრამატიკული წესების დაზეპირების დამღლელი პროცესის გვერდის ავლით. ენის დაუფლება

უცხოურ ენაზე საკომუნიკაციო აქტივობების (კითხვა, წერა, საუბარი) გამოყენებით ხდება.

საკუთარი იდეების პრაქტიკაში განხორციელების მიზნით, ვებმა თავისი სახელმძღვანელოებისათვის სრულიად ახალი სტრუქტურა შექმნა, რომელიც 1623 წელს დააპატენტა. პარლამენტისათვის იმდენად უჩვეულო აღმოჩნდა ვების მიმართვა თავის მეთოდზე საავტორო უფლებების დაცვის თაობაზე, რომ მათ დაუყოვნებლივ გასცეს პატენტი 31 წლის ვადით. ამის შემდეგ ვები სახელმძღვანელოების სერიების შექმნას შეუდგა; სულ ოთხი სახელმძღვანელო დაწერა, მათ შორის, "ბავშვების ლაპარაკი" ("*Children's Talk*", 1627).

მისი თანამედროვე პედაგოგების მსგავსად, ვები ინარჩუნებდა ორენოვან/ბილინგვურ კომპარატივისტულ მიდგომას, მაგრამ ის კატეგორიულად უარყოფდა გავრცელებულ მოსაზრებას, რომ უცხოენოვანი ტექსტები, სიზუსტის მაქსიმალური დაცვის მიზნით, სიტყვასიტყვით უნდა ითარგმნოს. ვებს მიაჩნდა, რომ ეს შეუძლებელი იყო, რადგან ზუსტი თარგმანი მიიღწევა არა ცალკეული სიტყვის, არამედ მთლიანი წინადადებების ან, თუნდაც, წინადადებების შემადგენელი ნაწილების (clause) თარგმნისას.

მართლაც, ვებს ენების სწავლების მეთოდიკაში უაღრესად საინტერესო მიგნებები ჰქონდა. "Joseph Webbe . . . sought to develop new methods of teaching which almost anticipate the direct method and the communicative approach", - აღნიშნავს ჯერი ნოულსი ნაშრომში "ინგლისური ენის კულტურული ისტორია" (38, 101). თუმცა, ვებისათვის ამოსავალი ენის პრაქტიკული გამოყენება იყო და არა – ზოგადად, ლინგვისტური წესებისა და კანონზომიერების შესწავლა თუ კვლევა. ამის გამო იგი აქტიურად არ ჩაერთო განათლების ზოგადთეორიული, ფილოსოფიური საფუძვლების ჩამოყალიბების საერთო პროცესში.

1.3 ორთოგრაფიული რეფორმა

1.3.1 ჯონ ჰარტი - "ფონიკური კითხვა"

თავის ფუნდამენტურ ნაშრომში "ინგლისური ენის სწავლების ისტორია" ლინგვისტი ჰოვატი აჯამებს ინგლისური ენის სწავლების განვითარების ტენდენციებს თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში (1550 - 1800). მისი თქმით, ძალზე ბევრი პრობლემა იყო გადასაჭრელი ინგლისურის სტანდარტულ, გამართულ ენად ჩამოყალიბების პროცესში, რათა მასზე, როგორც მშობლიურ ენაზე, შექმნილიყო ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოებები თუ სამეცნიერო შრომები, სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში წარმართულიყო სასწავლო პროცესი, ასევე, ამ ნაწარმოებების შესწავლით უცხოელებიც დაინტერესებულიყვნენ.

ფრიად ქაოსური ორთოგრაფია საფუძვლიანად უნდა მოწესრიგებულიყო; შექმნილიყო ინგლისური ენის გრამატიკის სტანდარტული სახელმძღვანელო. ასევე, აუცილებელი იყო ლექსიკონის შედგენა. სტანდარტული ინგლისური ენის ჩამოყალიბებისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემად ინგლისური მართლწერის სისტემა რჩებოდა, რომელიც, სპეციალისტებისა და რეფორმატორების აზრით, მთავარ დაბრკოლებას ქმნიდა, როგორც თავად ინგლისში წერა-კითხვის გავრცელების, ისე უცხოელებისათვის ინგლისური ენის სწავლების საქმეში. ლათინურისგან მემკვიდრეობით მიღებული რომანული ანბანი არ შეესაბამებოდა ინგლისური ენის ბგერათა სისტემას. შესაბამისობის მისაღწევად საჭირო იყო უამრავი ისეთი სპეციალური ნიშნის გამოყენება, როგოებიცაა ხმოვნებისა და თანხმოვნების დიგრაფები, მუნჯი ასოები და ა.შ. ფაქტობრივად, არ არსებობდა საერთო სტანდარტი, რომელიც დაარეგულირებდა მართლწერისა და ორთოგრაფიის საკითხებს. სწორედ ამ მიმართულებით გაამახვილეს ყურადღება აღნიშნულ პერიოდში (1550 - 1700) მოღვაწე წამყვანმა ლინგვისტებმა. ისინი, როგორც წესი, სრულყოფილი ფონეტიკოსები და, ამასთანავე, უაღრესად გამოცდილი გრამატიკოსებიც იყვნენ. ამ მეცნიერებს სურდათ, რაც შეიძლება მეტად შეეწყოთ ხელი ინგლისურის, როგორც მშობლიური, ისე უცხოური ენის სწავლებისათვის,

ამიტომ პრიორიტეტულად მიიჩნიეს მართლწერის/ორთოგრაფიული რეფორმა. ამ პერიოდის ლინგვისტთაგან განსაკუთრებით გამოირჩევიან განმანათლებელი გრამატიკოსი ჯონ ჰარტი (John Hart, 1501 - 1575) და პედაგოგ - თეორეტიკოსი რიჩარდ მალკასტერი (Richard Mulcuster, 1530 – 1611). მე-16 საუკუნის მიწურულს ამ ორი პიროვნების მოღვაწეობა მართლწერის რეფორმისადმი ორ განსხვავებულ მიდგომას წარმოგვიდგენდა. ჰარტი ის ნოვატორი იყო, რომელსაც არსებული სისტემის საგანგებოდ შემუშავებული ალტერნატიული სისტემით შეეცვალა სურდა, ხოლო მალკასტერი კონსერვატორულ ფრთას წარმოადგენდა. მას სურდა, უფრო მეტად მოეწესროგებინა სისტემა, რადიკალური ცვლილებების გარეშე (22, 128-133).

ჰარტის სამივე ნაშრომს საერთო თემატიკა და მიზანი აერთიანებს. მისი სანუკვარი ოცნება იყო ინლისური ენის მართლწერის რეფორმის განხორციელება. ჰარტის "ორთოგრაფია" *("An Orthography containing the due order and reason, how to write or paint the image of man's voice, most like to the life or nature")* 1569 წელს გამოქვეყნდა. "ორთოგრაფიაში" ავტორი განმარტავს, რამ უბიძგა მას, ასეთ ამბიციურ პროექტს შეჭიდებოდა (იგულისხმება ორთოგრაფიული რეფორმა). ნაშრომში ჩამოთვლილია პრინციპები, რომელთაც ავტორი მუშაობის დროს ეყრდნობა და მოყვანილია, სავარაუდოდ, მისი ოპონენტების მიერ წამოჭრილი არგუმენტები. შემდეგ ჰარტი გულდასმით აღწერს ინგლისური ენის წარმოთქმის საკითხებს და აკრიტიკებს იმჟამინდელი ორთოგრაფიის უუნარობას, ადეკვატურად ასახოს ინგლისური ენის ფონეტიკური სისტემა. ჰარტი წარმოგვიდგენს ახალი ასოების მცირე ჯგუფს (ამ მხრივ მას მინიმალისტური პოზიცია უჭირავს) და დეტალურად მიმოიხილავს მას. ერთი წლის შემდეგ ჰარტმა დამწყებთათვის დაპირებული სახელმძღვანელო გამოსცა, საკამაოდ ვრცელი სათაურით "დამწყებთათვის სწავლების დაწყების მოსახერხებელი მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ისინი უმოკლეს დროში სიამოვნებით დაეუფლებიან ინგლისურად კითხვას" ("*A Method of comfortable beginning for all unlearned, whereby they may be taught to read English in a very short time, with pleasure*") (1570), რათა დაესაბუთებინა თავისი სისიტემის უპირატესობანი.

ჯერ კიდევ 1551 წელს თავისი პირველი ნაშრომის პროლოგში ჰარტი უკმაყოფილოდ აღნიშნავდა, რომ ნებისმიერი გამართული ანბანური დამწერლობის მქონე სისტემისათვის ფუნდამენტური პრინციპი: ერთი ბგერა - ერთი ასო (ამოსავალი პრინციპი გრაფონიქსის მეთოდისა) ინგლისურ ორთოგრაფიაში დარღვეულია. “I have undertaken this treatise of our English writing: wherein you may plainly see how far we are from the perfect order of writing, and painting of the Image unto the just proportion and liveliness of our pronunciation… seeing then that letters are the Images of man’s voice, ye are forced to grant that the writing should have so many Letters as the pronunciation needth of voices, and no more, or less”- წერდა ჰარტი. (21, 117-118)

გრამატიკოსი გამოყოფდა ინგლისური ორთოგრაფიის ოთხ მთავარ ხარვეზს: პირველი ე.წ. *Diminution - შეკვეცაა,* რაც გულისხმობს ორთოგრაფიაში იმ ასოთა არარსებობას, რომლებიც გამოსახავენ მჟღერ და ყრუ ბგერათა მნიშვნელოვან კონტრასტულ შეთანხმებებს. ეს შეთანხმებები გრაფიკულად გამოიხატებოდა ასოების th საშუალებით, მაგ., *this/thin.* მეორე *Superfluity* – სიჭარბეა, რომელიც, თავის მხრივ, ორად იყოფა - *derivations* - დერივაცია (ნასესხები სიტყვებისათვის მათი გრაფიკული გამოსახულების შენარჩუნება, მაგრამ მათი წარმოთქმის “გაინგლისურება”, ინგლისური ენის ფონეტიკური სისტემისათვის მორგება), მაგალითად, *b* - ს შენარჩუნება სიტყვაში *doubt* და - *differences* - სხვაობა, ის შემთხვევებია, როდესაც ორი ასო ერთი და იმავე ბგერის გამოსახატავად იხმარება, მაგ., *u* და *o სიტყვებში sun/son*. მესამე *Usurpation* - უზურპაციაა, როდესაც ერთი ასო “უზურპაციას” უკეთებს ორის ფუნქციას. მაგ., როგორც ასო *g* -ს ორგვარი წარმოთქმა სიტყვებში *gem/gun*, ან ასო *c* სიტყვებში *cup/circle. და მეოთხე Misplacing* - არასწორი მდებარეობაა, რომლის საილუსტრაციოდ ჰარტი ასახელებს ასო *e* - ს პოზიციას სიტყვებში *fable* და *circle*. ჰარტს მიაჩნდა, რომ *e* კი არ უნდა მოსდევდეს, არამედ უნდა უსწრებდეს ასო *l* - ს ზემოთ აღნიშნულ სიტყვებში.

ჰარტი ყურადღებას იმსახურებს არა მხოლოდ თავისი რეფორმატორული იდეებისათვის ინგლისური ორთოგრაფიის დახვეწის საქმეში, არამედ ინგლისური ენის სწავლების მისეული, ნოვატორული მეთოდის შემუშავებისთვისაც. ჰარტი ცალსახად უარყოფდა თავისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში კითხვის სწავლებისას ასოების დასახელებების გამოყენების მყარად დამკვიდრებულ პრაქტიკას. სანაცვლოდ, მან შეიმუშავა კითხვის სწავლების ზედმიწევნით ორგანიზებული, მრავალსაფუხურიანი სისტემა, დღეისთვის "ფონიკური კითხვის" (Phonic reading) - (ასო-ბგერითი კითხვა) სახელით ცნობილი. თანამედროვეებისაგან განსხვავებით, ასო-ბგერებისა და, შესაბამისად, კითხვის შემდგომი ეტაპების სწავლებისას ჰარტი სიტყვებს განალაგებდა არა ანბანური პრინციპით, და არც ჯგუფებად მარცვალთა რაოდენობის მიხედვით, არამედ მოსწავლეებს ახალ ასოებს აცნობდა სტრუქტურირებული ცხრილების საშუალებით, რომლებსაც თანდათანობით ართულებდა. მაგალითად, საწყის ეტაპზე შედარებით მარტივ ცხრილში ორ რიგად ჰქონდა განთავსებული ხუთი ძირითადი ხმოვანი (a, e, i, o, u) და ხუთი "შედარებით მარტივი" თანხმოვანი (l, m, n, r, h). თვითოეულ ასოს ახლდა თანმდევი სიტყვა (a – apple, l - lion) და შესაბამისი ნახატი - "portraiture "- როგორც თავად ჰარტი უწოდებდა ამ თანმდევ ნახატებს. ჰარტის ინსტრუქციის თანახმად: "you may not name the l, m, n, nor r, as you have been taught, calling them el, em, en, er: but give them the same sounds you do find in their portraitures, whithout sounding of any vowel before them, as may be thus: L-yon; M-oul; N-idl; R-ing". (21, 240) ასევე, საგულისხმოა ის, რომ ჰარტმა უარი სთქვა ასოების მთავრული ვარიანტების გამოყენებაზე. იგი, უბრალოდ, ზომაში გაზრდილი პატარა ასოების ფორმას იყენებდა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენს ეპოქაში ჰარტის მეთოდს "Phonic reading"-ს უწოდებდნენ . მაგალითად, დღეს, 21-ე საუკუნეში, ინგლისური ენის სწავლების ერთ-ერთ ვებ-გვერდზე http://www.starfall.com/ ფონიქსის მეთოდით კითხვის სწავლების პროგრამა დამწყები მოსწავლეებისათვის, ფაქტობრივად, ჰარტის მეთოდს იმეორებს, რაც ასოების არა მხოლოდ ანბანური სახელწოდებებით, არამედ მათი სიტყვებში წარმოთქმის მიხედვით სწავლებასაც გულისხმობს. ამ შემთხვევაში, ჩვენ,

ფაქტიურად, ფონიქსიდან გრაფონიქსზე გადავდივართ. ანბანის ასოების გამოჩენას თან ახლავს მათი როგორც ანბანური დასახელებების წარმოთქმა, ისე სიტყვებში მათი შესაბამისი ბგერები. მაგ., ასო *c*-ს გამოჩენისთანავე ეკრანიდან ხმა წარმოთქვამს /si/-ს და, ასევე, /k/-საც. ასოებს თან ახლავს შესაბამისი სიტყვები და ნახატები (მაგ. ასო *c* -ს დასასწავლად, ნიმუშის სახით, ახლავს სიტყვა cat/კატა შესაბამისი ნახატით და წარმოთქმით). სწავლების დაწყებით საფეხურზე ასო ბგერების სწავლებისას იმავე მეთოდს მიმართავენ ავტორიტეტული საერთაშორისო გამომცემლობა მაკმილანის ექვსსაფეხურიანი სასწავლო კურსის "English World" ავტორები, რის შესახებაც ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ.

ჰარტი თავის მეთოდზე დაფუძნებულ სახელმძღვანელოში მასალას რვა მოკლე საფეხურად წარმოადგენს, თანაც, არაჩვეულებრივად მოწესრიგებული ფორმით, თანმხლები ზედმიწევნითი ინსტრუქციებით, რათა სწავლის პროცესი მაქსიმალურად ეფექტიანად წარიმართოს. პირველ ყოვლისა, პედაგოგი წარმოადგენს ხუთ ხმოვანს (a, e, i, o, u) და ხუთ, საგანგებოდ შერჩეულ, წარმოსათქმელად ადვილ თანხმოვანს (l, m, n, r, h). მეორე საფეხურზე ჰარტს შემოაქვს დანარჩენი თხუთმეტი თანხმოვანი. თითოეულს თან ერთვის ნახატი და ნახატის აღმნიშვნელი შესაბამისი სიტყვა. მესამე საფეხურზე მოცემულია ორი სავარჯიშო ცხრილი, რომლებშიც გამოიყენება პირველ ორ საფეხურზე დამუშავებულ ასო-ბგერებზე სავარჯიშოდ. მეოთხე საფეხურზე ჰარტი წარმოადგენს ხმოვანთა დიგრაფებს. მეხუთე საფეხური კვლავ ეთმობა პრაქტიკულ სავარჯიშოებს. შემდეგ საფეხურებზე ის მარცვლების, მოკლე და გრძელი ხმოვნებზე ვარჯიშსა და ყრუ და მჟღერ ბგერებს შორის განსხვავებების სწავლებას იწყებს. წიგნის ბოლოს კი მოცემულია ე.წ. "ფონიკური" სავარჯიშოები, რომლებიც მიზნად ისახავს ბგერების სხვადასხვა პოზიციაზე - სიტყვის თავში, შუასა ან ბოლოში - წარმოთქმაში ვარჯიშს. (მაგ., d-rum, dad, a-dd-er, did, la-dd-er, da-vid). ჰარტი აქტიურად იყენებდა თავის სახელმძღვანელოს და, შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, მტკიცედ სწამდა თავისი მეთოდის

ეფექტიანობა და მართებულობა: “I have of late experimented and proved the certainty and profit in the case and readiness of the said new manner of teaching… and so the same is most profitable for such as cannot read, and are otherwise out of all hope ever to be able to attain to read”. (21, 232)

1.3.2. რიჩარდ მალკასტერის ხედვა ორთოგრაფიულ საკითხებთან დაკავშირებით

ჰარტის მიერ რეფორმირებული ორთოგრაფიული სისტემა არ დამკვიდრდა, ისე, როგორც მისი სხვა, თუნდაც კონკურენტი განმანათლებლებისა თუ ლინგვისტ პედაგოგთა სისტემები. უპირატესობა მაინც მიენიჭა ტრადიციული ორთგრაფიის უაღრესად ზომიერ, არარადიკალურ მოდიფიკაციას. სწორედ, ამ მეორე ფრთის წარმომადგენელი გახლდათ მისი დროის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი პედაგოგი, რიჩარდ მალკასტერი. ფრიად საყურადღებოა მალკასტერის მიერ შემუშავებული დაწყებითი საფეხურის განათლების ხუთმიმართულებიანი სისტემა, რომელიც მოიცავს კითხვას, წერას, ხატვას, სიმღერას და თამაშს. თავის შრომაში “Elementarie” (1582წ.) მალკასტერი დაბეჯითებით აღნიშნავს, რომ განათლების გადაცემისა და მიღების პროცესში ენას თავისი დანიშნულების სრულფასოვანად შესრულებისთვის სამი პირობა სჭირდება: კარგად ორგანიზებული, სისტემატიზებული გრამატიკა, ლექსიკონის არსებობა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თანამიმდევრული, გამართული ორთოგრაფია. ჰარტის მსგავსად, მალკასტერიც ჩიოდა, რომ “foreigners and strangers do wonder at us both for the uncertainty in our writing and the inconstancy in our letters”. (45, 87)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ინგლისური ენის დახვეწისა და შემდგომი განვითარების საქმეში მალკასტერისათვის ფრიად მნიშვნელოვანი იყო ავტორიტეტული ინგლისურენოვანი ლექსიკონის არსებობა, რომელიც მისი მოღვაწეობიდან მხოლოდ ორასი წლის შემდეგ შეიქმნა დოქტორ სემუელ ჯონსონის მიერ. თუმცა, უნდა ითქვას, რომ მალკასტერმა არ დაიშურა ძალისხმევა და შეადგინა სიტყვათა ვრცელი ნუსხა, რომელსაც უწოდა "ზოგადი ცხრილი" (General table). მალკასტერის ეს ნაშრომი არ შეიცავდა სიტყვათა განმარტებებს. მისი ძირითადი დანიშნულება იყო, მიეწოდებინა დაინტერესებულ პირთათვის მართლწერის სტანდარტული ნიმუშები, დაფუძნებული უკვე ჩამოყალიბებული წესებისა და ტრადიციების მქონე მის მიერვე შექმნილ სისტემაზე. ფაქტობრივად, ეს ცხრილი და ის პრინციპები, რომლებსაც ეყრდნობოდა მალკასტერი მისი შედგენისას, პედაგოგის მთავარი დამსახურებაა პრაქტიკული ინგლისურის ენის სწავლების საქმეში. მალკსატერის მიზანი არ იყო ფონეტიკურ-ორთოგრაფიული თვალსაზრისით სრულიად ახალი თანამიმდევრული სისტემის შექმნა, არამედ მას სურდა, სტანდარტული სახე მიეცა უკვე არსებული, ტრადიციული სისტემისათვის, რომელიც არ დაეფუძნებოდა ჯონ ჰარტის ამოსავალ პრინციპს: "ერთი სიმბოლო, ერთი ბგერა" (one symbol, one sound). ამ ეტაპზე ენის შემსწავლელეთა ინტერესების გარდა, გასათვალისწინებელი იყო მაშინდელი სტამბების იმ მეპატრონეთა ინტერესებიც, რომელთაც სურდათ ბეჭდვით გამოცემებში ყველა მომხმარებლისთვის სტანდარტული ორთოგრაფიული სისტემის დამკვიდრება. განსხვავებულ ვარიანტთა სიმრავლე აზიანებდა მათ ბიზნესს.

1.4 უდიდესი განმანათლებლის, იან ამოს კომენიუსის როლი უცხოური ენების სწავლების პრაქტიკის განვითარებაში

1.4.1 კომენიუსი - განმანათლებელი და პედაგოგი

ზოგადად ენებისა და კერძოდ კი, უცხოური ენების სწავლების ისტორიაში სრულიად გამორჩეული ადგილი უჭირავს, თანამედროვე პედაგოგიკური მეცნიერების ფუძემდებლად აღიარებულ, გენიალურ ჩეხ განმანათლებელსა და პედაგოგს, იან ამოს კომენიუსს (Jan Amos Comenius, 1590-1670). კომენიუსი მრავალრიცხოვანი პედაგოგიური ხასიათის ნაშრომის ავტორია. მათგან უმნიშვნელოვანესია "დიდი დიდაქტიკა" (Great Didactic, 1657), რომელიც, კომენიუსის განმარტებით, შეიცავს "ყველასათვის ყველაფრის სწავლების უნივერსალურ ხელოვნებას" (3, 1), და ლათინური ენის სახელმძღვანელო "ენათა ღია კარი" (*Janua Linguarum Reserata,* 1631). მაგრამ კომენიუსის მემკვიდრეობიდან, ენების სწავლების მხრივ, ალბათ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს უაღრესად ორიგინალური სახელმძღვანელო "გრძნობადი სამყარო სურათებში" (*Orbis Sensualium Pictus, 1658)*, რომელიც პირველი გამოცემიდან ერთი წლის შემდეგ ინგლისურად თარგმნა ჩარლზ ჰულმა (Charles Hoole), მისი დროის ერთ-ერთმა ცნობილმა პედაგოგმა. ჰულმა თავადაც დაწერა წიგნი, რომელიც სკოლაში სწავლების პრობლემებს ეხებოდა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, "დიდ დიდაქტიკაში" კომენიუსმა განათლების უნივერსალური სისტემა შემოგვთავაზა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა: "to seek and find a method of instruction by which teachers may teach less, but learners learn more; by which schools may be the scene of less noise, aversion and useless labour, but of more leisure, enjoyment and solid progress; and through which the Christian community may have less darkness, perplexity and dissension, but on the other hand, more light, orderliness, peace and rest". (37, 4)

დიდი დიდაქტიკის ოცდამეერთე თავი, სახელწოდებით "ენების მეთოდი" (The Method of Languages), მთლიანად ენების შესწავლის პრობლემატიკას ეძღვნება.

კომენიუსს მიაჩნია, რომ ენები უნდა ისწავლებოდეს “not as formig in themselves a part of erudition or wisdom, but as being the means by which we may acquire knowledge and may impart it to others.’ (37, 203). ზოგადად, მისი მსოფლმხედველობის ძირითადი ამოსავალი გახლავთ ის, რომ “შემეცნების დასაწყისი ყოველთვის და უპირობოდ შეგრძნებებიდან გამომდინარეობს (რადგან გონებაში არაფერია ისეთი, რაც პირველად შეგრძნებებში არ იყო). ამიტომ, სწავლება უნდა იწყებოდეს არა საგნების სიტყვიერი განმარტებით, არამედ თვით საგნებზე რეალური დაკვირვებით. მხოლოდ საგნის გაცნობის შემდეგ შეიძლება მის შესახებ ლაპარაკი, რათა უფრო ფართოდ ავხსნათ ის”. (3, 219-220). შესაბამისად, ენების შესწავლასთან მიმართებით, კომენიუსს მტკიცედ სჯერა, რომ “The study of languages, especially in youth, should be joined to that of objects, that our acquantance with the objective world and with language, that is to say, our knowledge of facts and our power to express them, may progress side by side. For it is men that we are forming and not parrots… From this it follows, firstly, that words should not be learned apart from the objects to which they refer; since the objects do not exist separately and cannot be apprehended without words, but both exist and perform their functions together.” (37, 204). სწორედ, ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით შექმნა კომენიუსმა ენის შესასწავლი სახელმძღვანელო *Januae Linguarum,* რომელშიც, მისივე თქმით, სიტყვები “arranged in sentences, explain the nature of objects”. (37, 204).

კომენიუსის თანახმად, ბავშვი ეზიარება სიბრძნეს და შეიცნობს ღმერთს ობიექტური სამყაროს შეგრძნებით, სენსუალური (გრძნობებზე, შეგრძნებებზე დამყარებული) შემეცნების შედეგად. სიბრძნესთან ზიარებას განმანათლებელი ტაძრის მეტაფორით წარმოადგენს: ყმაწვილი ჯერ დგას ტაძრის შესასვლელში/პორტიკი (*Vestibulum).* შესაბამისი მომზადების შემდეგ მას ტაძარში შესვლის ნება ეძლევა, ანუ გაივლის შესასვლელ კარიბჭეს (*Januae*). ტაძრის შუაგულში ის დიდ დარბაზში *(Palatium)* აღმოჩნდება და, საბოლოოდ, მიაღწევს ტაძრის საკურთხეველს/საგანძურს (*Thesaurus*). ეს ოთხსაფეხურიანი სვლა სიბრძნის შეცნობისაკენ ყოველგვარი ცოდნის შეძენის მოდელად შეიძლება მივიჩნიოთ, მათ

შორის, ენების დაუფლების შემთხვევაშიც. ენების შესწავლისას ოთხ საფეხურს შეესაბამება, ასევე, ასაკობრივი განვითარების ეტაპები. პირველი - ბავშვობის ასაკია, როდესაც მეტყველება გაუმართავია, მეორე - სიყრმის პერიოდია, როდესაც გამართული მეტყველბა ყალიბდება, მესამე კი - სიყმაწვილის ეტაპია, როდესაც ე.წ. სიმწიფის ასაკში მეტყველება კიდევ უფრო იხვეწება. მეოთხე და ბოლო - მოწიფულობის ეტაპია, შესაბამისად, ამ დროს მეტყველებაც მაქსიმალურ დამაჯერებლობასა და ძალას იძენს.

თითოეული საფეხურისათვის კომენიუსი ორ-ორ წიგნს ითვალისწინებდა - ძირითად სახელმძღვანელოს (school book) მოსწავლეთათვის და მასწავლებლისთვის განკუთვნილ დამხმარე წიგნს (teacher's hand-book). ალბათ, თავისუფლად შეგვიძლია პარალელის გავლება დღეს არსებულ ენების შესასწავლი სახელმძღვანელოების კომლექტებში შემავალ მოსწავლისა და მასწავლებლის წიგნებთან.

ენების სწავლების კომენიუსის სქემაში Vestibulum-ს უნდა მოეცვა წინადადებებად დალაგებული რამდენიმე ასეული სიტყვა, რომლებიც საკმარისი იქნებოდა ყოველდღიურ თემატიკაზე მარტივი საუბრის წარმართვისათვის. აქვე მოცემული უნდა ყოფილიყო არსებითი სახელების ბრუნება და ზმნების უღლებაც. *Vestibulum* - ს თანდართული უნდა ჰქონოდა მცირე ზომის ორენოვანი ლექსიკონი (მშობლიურსა და ლათინურ ენებზე და პირიქით). *Januae* უნდა ყოფილიყო ძირითადი სასკოლო სახელმძღვანელო, რომელიც შეასწავლიდა მოსწავლეებს ენაში ყველაზე გავრცელებულ, დაახლოებით, 8000 სიტყვას. ამ სიტყვების საშუალებით შედგენილი წინადადებები, როგორც ზემოთ აღინიშნა, თავის მხრივ, შექმნიდა მოკლე ტექსტებს სხვადასხვა საგნის დასახასიათებლად. აქვე, მოკლედ და გასაგებად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი მართლწერის, წარმოთქმისა და სიტყვათა წარმოება-გამოყენების წესები. როგორც *Vestibulum* – ს, *Januae* - საც თანდართული ექნებოდა შესაბამისი ეტიმოლოგიური ლექსიკონი, რომელშიც მოცემული იქნებოდა მარტივი ნაწარმოები და შედგენილი სიტყვები. *Palatium* – ში, ძირითადად, წარმოდგენილი იქნებოდა სხვადასხვა თემაზე დაწერილი მრავალფეროვანი, სტილისტურად დახვეწილი ტექსტები. ძირითადი ყურადღება ამ

ნაწილში უნდა გამახვილებულიყო წინადადებების პერიფრაზირების სხვადასხვა შესაძლო ვარიანტზე. *Palatium* - ისათვის კომენიუსი საჭიროდ მიიჩნევდა ფრაზეოლოგიური ლექსიკონის დართვასაც.

რაც შეეხება დასკვნით *Thesaurus* -ს, ამ საფეხურს უნდა მოეცვა სხვადასხვა ნაწყვეტის თარგმანი კლასიკოსი ავტორების თვალსაჩინო ნაწარმოებებიდან. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დათმობოდა იდიომების ადეკვატურ თარგმანს. შესაბამისად, *Thesaurus* - ს უნდა ჰქონოდა სრული, ამომწურავი ორენოვანი ლექსიკონი მშობლიურ - ლათინურ და ლათინურ - ბერძნულ ენებზე. სამწუხაროდ, კომენიუსმა ვერ შეძლო თავისი ჩანაფიქრის სრულად განხორციელება. მან მხოლოდ *Januae (1631)* და *Vestibulum (*1633) *გამოსცა.*

კომენიუსის სახელმძღვანელოები მალევე პოპულარული გახდა ევროპის სკოლებში. *Vestibulum* (სრული სახელწოდება *Januae Reseratae Aureae Vestbulum*) შედგება, დაახლოებით, 40 გვერდისგან და ტექსტი პარალელურ სვეტებადაა განლაგებული. ლათინური ტექსტების გასწვრივ განლაგებულია ეკვივალენტი ტექსტები სხვადასხვა ენაზე (როგორც წესი, კომენიუსის ყველა სახელმძღვანელო შეიცავდა რამდენიმეენოვან ტექსტებს). *Vestibulum* -ის პირველ ნაწილში მოსწავლეები შეისწავლიან ფერების, გემოს, სუნისა და საგნების სხვა დამახასიათებელი ნიშნების სახელებს/სახელწოდებებს მოკლე წინადადებების - მაგალითად, *The grass is green, the mountains are high* - დასწავლის საშუალებით. ამ ნაწილშივე მოსწავლეები ეცნობიან ყოფნა ზმნა + ზედსართავი მარტივ გრამატიკულ სტრუქტურას (to be + adjective). მეორე ნაწილში, ძირითადად, ყურადღება გამახვილებულია ზმნების აწმყო მარტივ დროზე. მაგ., *The stars shine, The farmer ploughs, In spring he sows.* მესამე ნაწილში წარმოდგენილია ზმნიზედები და თანდებულიანი ფრაზები მოკლე დიალოგებში. მაგ., *Where have you been? "Where are you returning from? – From the town."* ბოლო ოთხ თავში ისაწვლება ლექსიკა დაკავშირებული სკოლასთან, სახლთან, ქალაქის ცხოვრებასთან და მორალურ ღირებულებებთან. ტექსტებში წარმოდგენილი ყველა სიტყვა თავმოყრილია წიგნის

ბოლოს, "*Index Verborum*" -ში. აქვე მოცემულია გრამატიკული შენიშვნების მოკლე დანართი.

მრავალი თვალსაზრისით, *Vestibulum* შეიძლება განვიხილოთ, როგორც პირველი მონახაზი, ვერსია მოგვიანებით შექმნილი, უფრო ამბიციური ნაშრომის "გრძნობადი სამყარო სურათებში" "*Orbis Sensualium Pictus*". *Vestibulum* -ში არ არის მეორე ნაშრომისათვის დამახასიათებელი გადაბმული ტექსტები და ნახატები/სურათები. თუმცა, უდავოდ, *Vestibulum* -ის საყურადღებო დადებითი მხარეა იმ პერიოდისათვის ნოვატორული მიდგომა, რომელიც გულისხმობს, ლათინური წინადადებების სტრუქტურის უკეთ შესწავლის მიზნით, სახელმძღვანელოში მასალის სირთულის მიხედვით საფეხურებად დაყოფილი (graded), მოწესრიგებული სახით შემოტანას. თუმცა, კომენიუსი გრამატიკულ საკითხებზე ყურადღებას არასდროს ამახვილებდა უფრო ფართო ზოგადსაგანმანათლებლო პრინციპების გაბუნდოვნების ხარჯზე - იმ პრინციპებისა, რომლებსაც სახელმძღვანელო ეფუძნებოდა.

Januae შედგება თემატურ ჯგუფად დაყოფილი ასი ტექსტისაგან. კომენიუსს მიაჩნდა, რომ შედარებით მოზრდილი მოსწავლეებისათვის ენების შესწავლის პროცესი ინტეგრირებული უნდა ყოფილიყო სხვა საგნების, თუ მორალური და ეთიკური საკითხების შესწავლასთან. სწორედ ტექსტების თემატურად დალაგების პრინციპს ეფუძნება *Januae* -ს.

როგორც ზემოთ მოყვანილი ციტატა ცხადყოფს, გარე სამყაროს უკეთ შეცნობის პროცესში ენის ღირებულება ავტორისათვის უმნიშვნელოვანესი იყო. ჰოლანდიელი მეცნიერი, პიტერ ლუნენი თავის სტატიაში კომენიუსის გავლენის შესახებ თანამედროვე ენების სწავლების პრაკტიკის განვითარებაზე კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩეხი პედაგოგისა და მეცნიერის უდიდეს დამსახურებას აღნიშნული სფეროს წინსვლის საქმეში. კომენიუსის სამ სახელმძღვანელოზე - *Januae, Vestibulum* და *Orbis Sensualium Pictus* საუბრისას ლუნენი წერს, რომ სამივე

წიგნში უმთავრესად ყურადღება გამახვილებულია ლექსიკური მარაგის გამდიდრებაზე. ეს არ არის გასაკვირი, რადგან ეს სახელმძღვანელოები გამიზნული ოყო იმ სკოლის მოსწავლეებისათვის, რომლებსაც ახალი დაწყებული ჰქონდათ ლათინური ენის შესწავლა. კომენიუსის ღრმა რწმენით, ყოველგვარი სწავლების საფუძველია 'the right-naming of things' (საგნების სწორად დასახელება). *Vestibulum*-ში სურათებს, როგორც დამხმარე ინსტრუმენტს სწავლების პროცესში, კომენიუსი შედარებით მწირად წარმოგვიდგენს, *Orbis*-ში კი უკვე სურათების მთელი სერიებია. ლუნენის თქმით, ნახატების ჩართვა სახელმძღვანელოებში "was based on the almost Baconian principle that nothing can be really grasped if it has not gone through one of the senses…". (40, 1) კომენიუსის სახელმძღვანელობი გაცილებით მეტს გვთავაზობს, ვიდრე უბრალოდ ცალკეულ სიტყვებს. "They provide, …., a portable encyclopaedia of the world by placing the vocabulary in a meaningful framework. This was achieved by presenting the words in context, a practice nowadays widely accepted by language teachers as useful and applied in many vocabulary books and learners' dictionaries. The context could be pictorial, or supplied through the nomenclator ordering, in short sentences…" (Ibid.) ლუნენი საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ "the novelty of these works sprang from their combination of context (pictorial or in sentences), word selection and explicit teaching advice." (Ibid.) მართალია, ავტორები სახელმძღვანელოებში ადრეც იყენებდნენ სურათბს, მაგრამ არასდროს ყოფილან ისე თანამიმდევრულნი, როგორც კომენიუსი. არც სიტყვათა "ნომენკლატურული" (სიტყვების შინაარსობრივად, კონტექსტის მიხედვით შერჩევა და არა ანბანურ პრინციპზე აგებული ლექსიკური ერთეულების ნუსხების წარმოდგენა) შემოტანის პრინციპი გახლდათ ახალი, მაგრამ ამჯერადაც კომენიუსის მიდგომა გამოირჩევა თანამიმდევრულობითა და მკაფიო სტრუქტურით. კომენიუსი ცდილობდა ისეთი სიტყვების შერჩევას, რომლებიც მაქსიმალურად გამოსაყენებელი და შესაფერისი იქნებოდა შესაბამისი ასაკის მოსწავლეთათვის. (Ibid.) მოსწავლის ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისი ლექსიკური ერთეულბის შერჩევის საკითხი, როგორც ეს ერთ-ერთ პედაგოგთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, დღესაც კი არ არის ყოველთვის მოგვარებული.

შეიძლება, თამამად ითქვას, რომ კომენიუსმა სრულიად ახლებურად, იმ დროისათვის უაღრესად პროგრესულად გაიაზრა მასწავლებლის როლი საკლასო ოთახში გაკვეთილის პროდუქტიულად წარმართვის პროცესში. მან უარი თქვა ტრადიციულ მიდგომაზე, რომლის თანახმადაც მასწავლებელი გვევლინებოდა ე.წ. ზედამხედველის (supervisor) როლში: მოსწავლეებს მხოლოდ ურიგებდა დამოუკიდებლად სასწავლ, მეტწილად, დასაზეპირებელ მასალას, რომელსაც შემდგომ მკაცრად გამოჰკითხავდ ხოლმე. კომენიუსი უპირატესობას ანიჭებდა ისეთ გაკვეთილს, რომლის მსვლელობისას მოსწავლეები მასწავლებლის გარშემო შეჯგუფდებოდნენ და ასე ეწაფებოდნენ ცოდნას. კომენიუსის გაკვეთილებზე მასწავლებელიცა და მოსწავლეებიც აქტიურად ერთვებოდნენ გაკვეთილის მსვლელობაში. კომენიუსისათვის მთავარი იყო, მოსწავლეებს კარგად გაეგოთ, გაეაზრებინათ და მხოლოდ ამის შემდეგ დაესწავლათ ტექსტებში მოცემული ახალი ენობრივი მასალა.

1.4.2 "გრძნობადი სამყარო სურათებში" (*Orbis Sensualium Pictus)*

მრავალი გაჭირვებისა და სირთულის გადატანის შემდეგ ორმოცდათექვსმეტი წლის კომენიუსი დათანხმდა შემოთავაზებას: უნგრეთის ერთ-ერთ პატარა ქალაქში პანსოფიური სკოლა დაეარსებინა. დანიშნულების ადგილზე ჩასვლისთანავე, კომენიუსმა ახალი სემესტრისათვის მზადება დაიწყო. თითქოს ყველაფერი რიგზე უნდა ყოფილიყო. სკოლა ნორამლურ შენობაში იყო განთავსებული, რექტორიც კეთილგანწყობილი გახლდათ კომენიუსის მიმართ, მაგრამ მასწავლებლების აკადემიურმა ჩამორჩენილობამ და არაპროფესიონალიზმმა კომენიუსი საგონებელში ჩააგდო. თუმცა, გამოცდილი ინტელექტუალი და განმანათლებელი არ დაიბნა, შექმნილ ვითარებას სწრაფადვე აუღო ალღო და თავად შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას. სწორედ, პრაქტიკული პრობლემების ეფექტიანად გადაჭრის სურვილმა უბიძგა კომენიუსს, გადაეხედა სწავლების დაწყებითი საფეხურის კურიკულუმისათვის პანსოფიური პრინციპების ჭრილში, რის შედეგადაც,

კომენიუსმა შექმნა უაღრესად ნოვატორული, სრულიად გენიალური ნაშრომი “გრძნობადი სამყარო სურათებში” (*Orbis Sensualium Pictus).*

სახელმძღვანელოს თითოეული გაკვეთილი იწყება ნახატებით/გრავიურებით, რომლებზეც გამოსახული საგნები დანომრილია თანამდევ ტექსტებში არსებული სიტყვების შესაბამისად.



(34, 14)

სურათების დანიშნულება არა მხოლოდ სიტყვების მნიშვნელობების პირდაპირი “ილუსტრირება”, არამედ მათი საშუალებით რეალური, შეგრძნებათა სამყაროს წარმოდგენაცაა, საიდანაც, კომენიუსის ფილოსოფიური

მსოფლმხედველობის შესაბამისად, წარმოიქმნება ყველა სახის ცოდნა. წიგნისათვის დართულ შესავალში ავტორი განმარტავს, რომ მასწავლებელმა გაკვეთილი სურათის შესახებ საუბრით უნდა დაიწყოს, და თუ ეს შესაძლებელია, კლასში რეალური საგნებიც მოიტანოს თვალსაჩინოებისათვის. ბავშვებმა უნდა გადმოსცენ თავიანთ შეხედულებები და შეგრძნებები, ღრმად ჩაუფიქრდნენ სურათზე წარმოდგენილი საგნების არსს და მხოლოდ შემდეგ განიხილონ ტექსტი. კომენიუსის აზრით, კარგი იქნებოდა, თუ მოსწავლეები თავადაც შეეცდებოდნენ საგნების დახატვას ან მათ გაფერადებას მაინც. როდესაც გამოცდილება სათანადოდაა შეთვისებული და რეალობა კი - აღქმული, მხოლოდ მაშინ შევძლებთ მის ასოცირებას ენასთან.

გასაოცარია, რომ 21-ე საუკუნეში პედაგოგიური/სასწავლო ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების წამყვანი გამომცემლობების გამოცემებში კომენიუსის მიდგომას ენის სწავლების საკითხისადმი ცენტრალური ადგილი უჭირავს. მაგალითად, მაკმილან ინგლისურის დაწებითი საფეხურის კურსის მე-6 წიგნის (მოსწავლის წიგნი) პირველ გაკვეთილში, რომელშიც საუბარია დედამიწის გეოლოგიური აგებულების შესახებ, მასწავლებელს (მასწავლებლის წიგნში) რჩევის სახით, ეძლევა ინსტრუქცია. ის სიტყვასიტყვით ასე ჟღერს: “ მოთელვა Warm-up (5 წუთი): უჩვენეთ კლასს ვაშლი ან სხვა მრგვალი ხილი. უთხარით, წარმოიდგინონ, რომ ეს მრგვალი ხილი დედამიწაა. აუხსენით, რომ დედამიწის გარე მხარე, ქერქი ცივია. შემდეგ შუაში გაჭერით ხილი. აუხსენით, რომ დედამიწას, ვაშლის მსაგავსად, აქვს ქერქი. ქერქის ქვეშ დედამიწა ცხელია. მიუთითეთ გულზე და განუმარტეთ, რომ გული უკიდურესად ცხელია. უთხარით კლასს, რომ გაკვეთილიდან ისინი კიდევ უფრო მეტს შეიტყობენ დედამიწის გულის შესახებ.” (32, 22)

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს “გრძნობადი სამყარო სურათებში” დასაწყისში წარმოდგენილი შესავალი კურსიც, რომელიც დღეს ინგლისური ენის დაწყებით საფეხურზე სწავლების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მეთოდის - “ფონიქსის” უშუალო წინამორბედად შეგვიძლია ვაღიაროთ. ანბანის სწავლებისას

კომენიუსი თითეული ასოს ჟღერადობას უკავშირებს სხვადასხვა ცხოველისა თუ ფრინველის (ყვავი, ბატკანი, ძაღლი) მიერ გამოცემულ სახასიათო ბგერებს.



B 2 *Felis*

(34, 3)

მკვლევარი ჰოვატი, ბედის ირონიად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ კომენიუსი პედაგოგიკის ისტორიაში შევიდა, როგორც ლათინური ენის შესასწავლი სახელმძღვანელოების ავტორი, მაშინ, როდესაც ჩეხი განმანათლებლისა და პედაგოგის მთავარი მიზანი ისეთი საგანმანათლებლო სისტემის შექმნა იყო, როდესაც მშობლიური ენა შეასრულებდა წამყვან როლს, უცხოური ენები კი

შეისწავლებოდა საჭიროებისამებრ, როგორც დამხმარე ინსტრუმენტი ცოდნის მისაღებად და გარე სამყაროს შესაცნობად. თუმცა, ის ფაქტი, რომ მისი სახელმძღვანელოები აქტიურად ითარგმნებოდა და გამოიყენებოდა სხვადასხვა ენის მატარებელ მოსწავლეთა სწავლებისათვის, ადასტურებს კომენიუსის, როგორც უნივერსალური მოღვაწის ავტორიტეტს, ზოგადად - პედაგოგიკის, კერძოდ, კი ენების სწავლების სფეროში.

1.5 გაი მეჟეს "ინგლისურის შესწავლის ახალი მეთოდი" და ჯონ მილერის "მასწავლებელი"

ინგლისში მეჩვიდმეტე საუკუნის შუა პერიოდიდან ფრანგულმა ენამ კვლავ დაიბრუნა პოპულარობა. ფრანგულს ლათინური უნდა ჩაენაცვლებინა, ფაქტობრივად, ეტვირთა *lingua franca*-ს როლი. რადგან სასამართლო მოხელეების, დიპლომატებისა და სხვა, იმ პერიოდში პრესტიჟული პროფესიების სამუშაო ენა ფრანგული იყო, ის დიდი პოპულარობით სარგებლობდა მოსახლეობის საშუალო და ზედა ფენებში. შესაბამისად, გაჩნდა მოთხოვნა ფრანგულენოვან მასწავლებლებზეც. ინგლისში ევროპიდან ლტოლვილი ჰუგენოტების ახალი ტალღის გამოჩენამ ფრანგულენოვან მასწავლებელთა გარკვეულ რაოდენობას გადააწყვეტინა, ესწავლებინათ ინგლისური ფრანგულ ენაზე მოლაპარაკეთათვის.

იმ ფრანგ მასწავლებელთა შორის, რომლებიც აქტიურად ასწავლიდნენ ინგლისურ ენას, განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს შვეიცარიელი გაი მეჟე (Guy Miege, 1644-1718). მეჟეს სახელმძღვანელომ "ინგლისურის შესწავლის ახალი მეთოდი" (*Nouvelle Method puor apprendre l'Anglois, 1685*), ინგლისური ენის, როგორც უცხოური ენის სწავლების გაცილებით კვალიფიციური, პროფესიონალური დონის გახადა. "ახალი მეთოდი" 270-გვერდიანი ნაშრომია, რომელიც გრამატიკას, მოკლე ლექსიკონსა და დიალოგის ფორმით დაწერილ სახელმძღვანელოს აერთიანებს. გრამატიკის ნაწილი ინგლისური ენის ორთოგრაფიისა და წარმოთქმის აღწერის, ასევე, ენის ძირითადი პარადიგმებისა და სიტყვათა ფორმების განხილვისაგან შედგება. თავისი თანამედროვეების მსგავსად, მეჟე ინგლისურს ადვილად შესასწავლ ენად მიიჩნევდა, იმ პირობით, თუ მოსწავლეები მოახერხებდნენ ასო-ბგერათა და მართლწერის სისტემების სირთულეების დაძლევას.

მეჟეს აზრით, ინგლისურის შესწავლის თანმდევი სამი მთავარი სირთულე მისი წიგნის დასაწყისშივეა ჩამოთვლილი. პირველ სირთულედ ავტორი მიიჩნევს პრობლემური ასო-ბგერების მცირე ჯგუფს (იგულისხმება თანხმოვანი ბგერები *th* სიტყვაში *think, ch* სიტყვაში *church* და რბილი *g* სიტყვებში *gingeer, jest* და *judge*).

მეორე პრობლემურ ჯგუფს ის ხმოვნებისა და დიფთონგების სისტემებს მიაკუთვნებს, ხოლო მესამე სირთულეს ცალკეულ სიტყვებში მახვილის სწორად დასმა წარმოადგენს. (41, 104-107)

მეთვრამეტე საუკუნეში, წინა ასწლეულთან შედარებით, ინგლისურთან, როგორც უცხოური ენის სწავლებასთან მიმართულებით რაიმე განსაკუთრებული აქტივობა არ შეიმჩნევა. თუმცა, საყურადღებოა ინტერესის გაძლირება მშობლიურ ენაზე (იგულისხმება ინგლისური ენა) დაწერილი გრამატიკის წიგნების მიმართ, რომელთაც უნდა დაეკმაყოფილებინათ ტრადიციული ლათინური სკოლების აშკარა კონკურენტის - ახალი, ინგლისურენოვანი სკოლების მოთხოვნა ინგლისურ ენაზე დაწერილ გრამატიკის სახელმძღვანელოებზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ ინგლისური ენისადმი ინტერესი თანდათან იზრდებოდა უცხოეთის ქვეყნებში, იქნებოდა ეს ბრიტანეთის უახლოესი მეზობელი სახელმწიფოები (საფრანგეთი, ნიდერლანდები, დანია და გერმანია – ამ ქვეყნებში იყო ინგლისური ენის გრამატიკის ადგილობრივი გამოცემები) თუ შედარებით შორეული ქვეყნები (ხმელთაშუა ზღვისა და ბალტიის ქვეყნები, მოგვიანებით, რუსეთი).

ცალკე აღნიშვნის ღირსია 1797 წელს ინდოეთში გამოცემული ჯონ მილერის (John Miller) წიგნი "მასწავლებელი" ("*The Tutor*"). ეს ნაშრომი, ალბათ, თამამდ შეიძლება, მივიჩნიოთ მესამე მსოფლიოს ქვეყნებში ინგლისური ენის სწავლების სახელმძღვანელოს ერთ-ერთ პირველ ნიმუშად. წიგნი, როგორც მოსალოდნელია, ინგლისური ანბანის შესწავლით იწყება, მაგრამ, სხვა სახელმძღვანელოებისაგან განსხვავებით, შეიცავს სპეციალურ დიგრაფებს ბგერების გარკვეულ შეთანხმებათა გამოსახატავად. დასაწყისშივე ისწავლება წარმოთქმა, ამიტომ ავტორი მიმართვას იმ პერიოდისათვის საკმაოდ უჩვეულო ხერხს, რომელიც, ასევე, თანამედროვე ფონიქსის წინამორბედად უნდა მივიჩნიოთ. საუბარია ბგერებზე ფონოლოგიური ვარჯიშისათვის მილერის მიერ წარმოდგენილ ფონეტიკურად მსგავსი ჯგუფების/წყვილების ვრცელ სიაზე. მაგ., *sip, rip, lip…* ასევე, სავარჯიშოებში

გვხვდება “მნიშვნელობის არმქონე მარცვლები” (“nonsense syllables”). (42, 11) ნათელია, მილერი, უმთავრესად, ფონეტიკური და არა ორთოგრაფიული მეთოდით სწავლების სტილით მუშაობდა, როგორც ეს იმ პერიოდისათვის იყო დამახასიათებლი.

1.6 პარალელები მეთოდოლოგიური საფუძვლების ჩამოყალიბების საწყის საფეხურზე აღმოცენებულ მეთოდებსა და ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლების თანამედროვე პრაქტიკასთან

ვფიქრობთ, ნაშრომის პირველ თავში ინგლისურის სწავლების მეთოდოლოგიური საწყისების განვითარებისა და ამ პროცესში თავისი დროის წამყვანი განმანათლებლებისა და პედაგოგების როლის საკმაოდ ვრცელი განხილვა სავსებით გამართლებულია, რადგან EFL- ის (English as a Foreign Langauge) სწავლების საწყისი პერიოდიდანვე გამოიკვეთა ის პრობლემები და საკითხები, რომლებიც დღესაც ლინგვისტთა, ფონეტიკოსთა, თეორეტიკოსთა, მეთოდისტთა და პედაგოგთა განსჯისა და კამათის საგანია. ზემოთ ჩამოთვლილ პროფესიონალთა და განმანათლებელ პედაგოგთა ყურადღება, ძირთადად, გამახვილებული იყო რამდენიმე საკითზე. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა გრამატიკის როლის განსაზღვრა ენის შესწავლისას, ანუ იმის დადგენა, რამდენად უნდა დომინირებდეს გრამატიკის სწავლება უცხოური ენის დაუფლების პროცესში. როგორც ითქვა, ამ მხრივ, უაღრესად პროგრესული პოზიცია დაიკავა ერთ-ერთმა პიონერმა პედაგოგმა, კლავდიუს ჰოლიბენდმა. მისი მიდგომა ენის სწავლებისადმი გულისხმობდა ჯერ ტექსტთან მუშაობას და მხოლოდ ამის შემდეგ, საჭიროებისამებრ, ლინგვისტურ/გრამატიკულ წესებთან გაცნობას. ჰოლიბენდისათვის გრამატიკა არ მოიაზრებოდა ცალკე მდგომ, განყენებულ კატეგორიად. პედაგოგი და იმ დროის ფრიად პოპულარული სახელმძღვანელოს ავტორი მიიჩნევდა, რომ გრამატიკის სწავლების მთავარი დანიშნულება ენის პრაქტიკული გამოყენების საგანგებო ხელშეწყობა უნდა ყოფილიყო. ჰოვატი სწორედ ჰოლიბენდს მიიჩნევს ე.წ. "ინდუქციური მეთოდის" ("Inductive approach"), დამამკვიდრებლად.

ჰოლიბანდის მსგავსად, თავისი დროის მეორე წამყვანმა პედაგოგმა და ლინგვისტმა, როჯერ ა'შემმა კიდევ უფრო შეასუსტა ყურადღება გრამატიკის სწავლებაზე. მისი მეთოდი გულისხმობდა, გრამატიკის სწავლება მაქსიმალურად დაექვემდებარებინა ორიგინალური ტექსტების სწავლებისა თუ შესწავლის საჭიროებებისათვის. თუმცა, ე.წ. ანტი-გრამატიკული მიდგომა უცხოური ენების

სწავლების პროცესში, რითაც ასე იწონებენ თავს დღევანდელი მეთოდისტები თუ პედაგოგები, ჯერ კიდევ მე-16 - მე-17 საუკუნეებში მაქსიმალური სიმძაფრით წარმოჩნდა ჯოზეფ ვების მიერ დამკვიდრებულ მიდგომაში/მეთოდოლოგიაში. ვებმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თითქმის უარყო გრამატიკის სწავლება, რის გამოც მას უცხოური ენების სწავლების პრაქტიკის თანამედროვე ეტაპზე ძალზე პოპულარული - "პირდაპირი მეთოდის" (direct method) ერთ-ერთ პიონერად და თავგამოდებულ ქომაგად მოიხსენიებენ.

აღსანიშნავია, რომ უცხოური ენების სწავლების დღეს გავრცელებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ გამოცდილებასა და წინა საუკუნეებში არსებულ მიდგომებს შორის მრავალი პარალელის გავლება შეიძლება. ხანგრძლივი ისტორიული პერიოდის განმავლობაში ინგლისში, ისევე, როგორც ევროპის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სრულ ჰეგემონიას ფლობდა კლასიკური - ძველბერძნული და, განსაკუთრებით, ლათინური ენები. ადგილობრივი მოსახელობისათვის აღნიშნული ენების სწავლების მეთოდები და მიდგომები არ გამოირჩეოდა დიდი მრავალფეროვნებით. კლასიკური ენების შესწავლის მთავარი მეთოდი გრამატიკულ-მთარგმნელობით ხასიათის (Grammar-translation Method) იყო. ამიტომ, როდესაც აქტუალური გახდა ინგლისურის, როგორც მეორე ენის სწავლების მეთოდოლოგიის შემუშავება და, შესაბამისად, სასწავლო სახელმძღვანელოების შექმნა, ლინგვისტ-გრამატიკოსებმა, პედაგოგებმა და განმანათლებლებმა, პირველ ყოვლისა, ტრადიციულ, ნაცად ტექნიკას მიმართეს. ინგლისური ენის პირველი სახელმძღვანელოები, სწორედ, ენის სწავლებისას თარგმანის მეთოდის გამოყენებას ეფუძნება. თავის თანამედროვე კოლეგებს შორის გამოირჩევა როჯერ აშემი, რომელმაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დახვეწა ჰოლიბენდის მიმერ გამოყენებული "ორმაგი თარგმანის" მეთოდი (Double Translation Method) - გულისხმობს უცხოურ ენაზე დაწერილი ტექსტის მშობლიურ ენასა და პირუკუ თარგმნას. როგორც გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი, ორმაგი თარგმანის მეთოდიც სათავეს კლასიკური ენების სწავლების ტრადიციიდან იღებს.

თუმცა, ენების სწავლების მეთოდოლოგიებისა თუ მეთოდების მთელი ამ მრავალფეროვანი სპექტრიდან ჩვენთვის, ალბათ, განსაკუთრებით საინტერესო ე.წ. ფონიქს/გრაფონიქსის მეთოდის შექმნის წინაპირობები/წინარეისტორიაა. ჯონ ჰარტის მოღვაწეობაზე საუბრისას უკვე აღვნიშნეთ, რომ ინგლისური ენის ორთოგრაფიის ქაოსური ხასიათი გახდა, როგორც ადგილობრივი, ინგლისელი განმანათლებლების, ლინგვისტებისა და პედაგოგების წუხილის მიზეზი, ისე უცხოელი მასწავლებლების საზრუნავიც მე-16 საუკუნის შუა პერიოდიდან. ამ ისტორიულ მონაკვეთში ინიცირებულ იქნა ინგლისური ენის ორთოგრაფიის აღწერისა და სტანდარტიზაციის პროცესი, რადგან, იმდრინდელი რეფორმატორი ლინგვისტი პედაგოგების აზრით, სწორედ წარმოთქმა-მართლწერას შორის არსებული შეუსაბამობანი იყო "the chief stumbling-block both to the spread of literacy in England and to the learning of English as a foreign language" (35, 77). ამ თვალსაზრისით, უკვე დაწვრილებით ვისაუბრეთ ჯონ ჰარტის ძალისხმევაზე, გარდატეხა შეეტანა აღნიშნული პრობლემის მოწესრიგების საქმეში. აქვე უნდა ითქვას, რომ ის უზარმაზარი წვლილი, რომელიც ჰარტს მიუძღვის,ზოგადად, ინგლისური ენისა და, კერძოდ, მისი ორთოგრაფიის დახვეწის, ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგიის შემუშავებისა და სრულყოფის საქმეში, ჯეროვნად მხოლოდ მე-20 საუკუნეში დაფასდა. ეს, ალბათ, იმან განაპირობა, რომ დღესაც მოუგვარებელია აღნიშნული პრობლემატური საკითხები. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, სანტიაგოს უნივერსიტეტის პროფესორი, სიუზან დოვალ სუარესი თავის ნაშრომში თანამედროვე ლინგვისტურ/ფონეტიკურ/ორთოგრაფიული პრობლემების განხილვისას საგანგებოდ აღნიშნავს ჰარტის რეფორმატორული მოღვაწეობის აქტუალურობას. სუარესი ჰარტს და მალკასტერს ინგლისური რენესანსის ორთოგრაფიული დებატების საუკეთესო წარმომადგენლებად მიიჩნევს და რადგან აზრთა სხვადასხვაობა ინგლისური ორთოგრაფიის ადეკვატურობა არაადეკვატურობას შესახებ დღესაც აქტუალურია, სუარესი ფიქრობს, რომ საინტერესოა პარალელების გავლება უწინდელ და დღევანდელ რეფორმებს შორის. სუარესის თქმით, ჯონ ჰარტმა შექმნა მე-16 საუკუნის პირველი, ჭეშმარიტად ფონოლოგიური სქემა. ჰარტის დამსახურების წარმოსაჩენად სუარესი მოიშველიებს სხვადასხვა მეცნიერის აზრს ინგლისელი ლინგვისტ-გრამატიკოსის მოღვაწეობის

შესახებ: “ Jespersen (1907), whose research into Hart’s works has revived interest in the author, holds that “ the system is purely phonetic which is more than we can say of any other system of the period” (1907, 19). …Dobson (1969, 62) states that “ John Hart deserves to rank with the greatest phoneticians and authorities”. ..The validity of Hart’s proposal is proved by the fact that his arguments are still valid today (cf. Danielsson, 1955, 50).” (22, 128)

ჰარტის ურიცხვი რეფორმატორულ-ნოვატორული მცდელობებიდან, რაც შეიძლება, დაეხვეწა ინგლისური ენის შესწავლის მეთოდები, საგანგებო აღნიშვნის ღირსია მისი ე.წ. “ფინიკური კითხვის”, ანუ ასო-ბგერითი კითხვის მეთოდი, რომელიც ეფუძნება “ერთი ბგერა - ერთი ასო”-ს პრინციპს. აღნიშნულ ტექნიკას უშუალოდ ეხმიანება ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდის გრაფონიქსის ამოსავალი პრინციპი. სწორედ ეს პრინციპი - ამაზე ქვემოთ უფრო დეტალურად ვისაუბრებთ - დაედო საფუძვლად გრაფონიქსის მეთოდს.

რაც შეეხება თანამედროვე განათლების მეცნიერებების პიონერს, ამ დარგის სრულიად დამსახურებულად აღიარებულ ფუძემდებელს, კომენიუსს, “a genius, possibly the only one that the history of language teaching can claim”, (35, 44) და მის მემკვიდრეობას, რომლის შესახებაც საკმაოდ ვრცლად ჩვენი ნაშრომის 1.4 თავში ვისაუბრეთ, ვფიქრობთ, სავსებით სამართლიანი და ზუსტია ჰოვატის მიერ კომენიუსის მოღვაწეობის შედარება ულევ საბადოსთან, რომელიც უშრეტი წყაროა განსხვავებული მსოფლმხედველობისა და იდეოლოგიის მქონე მეცნიერებისა თუ პედაგოგებისათვის თავიანთი, ასევე განსხვავებული, თეორიებისა და მიდგომების გასავითარებლად თუ გასამყარებლად.

“Put rather crudely, people tend to mine Comenius for what they can get out of him, and his technique of listing principles and percepts lends itself easily to selective quotation. Adherents of a rationalist approach to language teaching, for example, like to adopt his emphasis on gradation, moving step-by-step from the known to the unknown, and his concern for an ordered, hierarchically-organized curriculum. Those, on the other hand, who believe in a natural approach can also discover much to sustain the case in his belief in the primacy of nature

and experience, and his stress on the relationship of the curriculum to the inner development of the individual child". (35, 53-54) თანამედროვე განათლების მეცნიერებების, პედაგოგიკის თეორიისა და პრაქტიკის განვითარების, უცხოური ენების სწავლებისა და, ზოგადად, განათლების უნივერსალური სისტემის ჩამოყალიბების პროცესში კომენიუსის დამსახურებისა და როლის შესახებ უაღრესად საფუძვლიანად და, იმავდროულად, ლაკონიურად საუბრობს გამოჩენილი ფსიქოლოგი (განვითარების ფსიქოლოგია/developmental psycology) და ფილოსოფოსი ჟან პიაჟე სტატიაში "იან ამოს კომენიუსი". კომენიუსის მოღვაწეობის ანალიზისას პიაჟე აღნიშნავს: "An attempt has been made in the foregoing to show how up-to-date are Comenius' ideas on education and, in particular, how modern his methodology. The most surprising, and in many respects the most modern, aspect of his doctrine has been kept till the last—his ideas on education for everyone and for all peoples, and (what is still more astonishing) on the international organization of public education. This side of his work is what is most likely to interest UNESCO, and in some respects Comenius may be regarded as one of that Organization's precursors." (46, 9)

უცხოელებისათვის ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლების, თითქმის ხუთსაუკუნოვანი პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ხშირად სხვადასხვა მეთოდისა თუ მიდგომის მხარდამჭერები საკუთარი იდეებისა და თეორიების რაც შეიძლება მეტი პოპულარიზაციისათვის რადიკალურად უარყოფდნენ სხვა დანარჩენ მიდგომებს და, ხშირად, დაუნდობლადაც აკრიტიკებდნენ მათ. თუ პრობლემას ისტორიულ ჭრილში განვიხილავთ, თვალნათლივ დავინახავთ, რომ თითქმის ყველა აქამდე არსებულ მეთოდს აქვს თავისი, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარე. საუკუნეების განმავლობაში უცხოური ენების სწავლების უკვე არსებული და "ახლად" შემუშავებული მეთოდები მუდმივად ენაცვლებოდა ერთმანეთს. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ყველაზე წარმატებული სწავლება ისეთ პირობებში მიმდინარეობდა, როდესაც ხდებოდა სხვადასხვა, თუნდაც კონცეპტუალურად განსხვავებული, მეთოდისა და მიდგომის შეჯერება, ინტეგრაცია, შემსწავლელთა მოთხოვნების, მათი ცოდნის დონის, ასაკობრივი ჯგუფის, სასწავლო გარემოსა და

კონკრეტული პერიოდისა თუ ქვეყნისათვის დამახასიათებლი თავისებურებების გათვალისწინებით. ამ მოსაზრების საილუსტრაციოდ, თუნდაც, აშემის მიერ ენების სწავლებისას ორი განსხვავებული მეთოდის (ვგულისხმობთ გრამატიკულ-მთარგმნელობით და ინდუქციურ მეთოდებს) ინტეგრირებულად გამოყენების წარმატებული გამოცდილებაც კი საკმარისია.

თავი 2. ფონიქსის მეთოდის გამოყენება ინგლისური ენის სწავლების პროცესში

2.1 ფონიქსის მეთოდი - განსაზღვრება

იმ მოცულობითი ლიტერატურიდან, რომელიც განიხილავს ფონიქსის მეთოდსა და მის პრაქტიკულ გამოყენებასთან დაკავშირებულ საკითხებს, განსაკუთრებით გამოვარჩევდით ინგლისური ენის სწავლების ექსპერტ-სპეციალისტის, მრავალი სამეცნიერო სტატიისა და ნარკვევის ავტორის, პედაგოგ ჯონ ბოლდის წიგნს "ფონიქსის გამოყენება წერა-კითხვის სწავლებისას", (*Using Phonics to Teach Reading and Spelling*), რომელშიც ავტორი ფონიქსის მეთოდს ამომწურავად განსაზღვრავს. ბოლდი დეტალურად მიმოიხილავს ფონიქსის ორ ძირითად ვარიანტს, სინთეზურ და ანალიზურ ფონიქსს (Synthetic and Analytical Phonics). პედაგოგიურ და მეთოდოლოგიურ სფეროში დაგროვილ საკუთარ მდიდარ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ავტორი აფასებს წამყვანი ექსპერტების მიერ ჩატარებულ კვლევებს ფონიქსის მეთოდის გამოყენების საკითხებზე და, რაც მთავარია, გვაწვდის პრაქტიკულ რეკომენდაციებს აღნიშნული მეთოდის მაქსიმალურად ეფექტიანად გამოყენებისათვის.

ბოლდის განსაზღვრებით, "**Phonics is the systematic teaching of the sounds conveyed by letters and groups of letters, and includes teaching children to combine and blend these to read or write words**." (8, 1) აქვე, ბოლდი განმარტავს, რით არის უპირატესი ფონიქსის მეთოდით სწავლება და რატომ არის ფონიქსი ძალზე მნიშვნელოვანი:

- ასოები შეიცავს/გადმოგვცემს ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია ბგერებთან.
- ასოები გვეუბნება გაცილებით მეტს, ვიდრე ინფორმაციის რომელიმე სხვა წყარო მაშინაც კი, როდესაც გვიწევს მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციის ინტერპრეტაცია/გაშიფვრა.

- თავისუფლად ვერ დავეუფლებით კითხვას, თუ არ მივეჩვევით სწორად კითხვას. ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მართებულად ვიყენებთ ასოების მიერ გადმოცემულ ინფორმაციას. გაწაფული, კარგი მკითხველი იშვიათად მიმართავს "გამოცნობის" ტექნიკას.
- როდესაც შევისწავლით, რას გვეუბნება სიტყვებში შემავალი ასოები, შევძლებთ შეთვისებული ინფორმაციის დამახსოვრებას და, საჭიროებისამებრ, მეხსიერებიდან მის მოხმობას ისე, რომ არ მოგვიწევს სიტყვების მნიშვნელობების მიხვედრა.
- ინგლისურისათვის დამახასიათებელია გამონაკლისები და ნაკლებ სავარაუდოა, რომ ბავშვების უმრავლესობამ დამოუკიდებლად შეძლოს ამ გამონაკლისების აღქმა და შემდგომ მათი ინტუიციურად გამოყენება.
- სკოლებში პირდაპირმა დაკვირვებამ ცხადყო, რომ ფონიქსსა და კითხვის უნარის წარმატებით განვითრებას/ათვისებას შორის უშუალო კავშირია.
- თითქმის ყველას, ვისაც კითხვა უჭირს, ასევე უჭირს სიტყვების შედგენისას ასოების მიერ გადმოცემული ბგერების ურთიერთდაკავშირება. კარგი მკითხველები კი არ აწყდებიან ამგვარ სირთულეებს. (Ibid)

აშშ სახელმწიფო სტრუქტურების მიერ დაკვეთილ ეროვნული კითხვის პანელის (NRP) მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების ამსახველ დოკუმენტში ფონიქსი დახასიათებულია, როგორც კითხვის სწავლების მეთოდი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ასო-ბგერების შეთანხმებების ათვისებასა და მიღებული ცოდნის გამოყენებაზე კითხვისა და წერის უნარების განვითარების პროცესში. ფონიქსის მთავარი დანიშნულებაა, დაეხმაროს დამწყებ მოსწავლეებს, გააცნობიერონ/გაითავისონ, როგორ უკავშირდება ასოები ბგერებს (ფონემებს) ასო-ბგერათა შეთანხმებებისა და მართლწერის ნიმუშების/მოდელების შესაქმნელად და, ასევე, ასწავლოს მათ, როგორ გამოიყენონ თავიანთი ცოდნა კითხვის პროცესში. (65)

ფონიქსის მეთოდს, ხშირად, დეკოდირების მეთოდადაც მოიხსენიებენ, როგორც სპეციალურ, ისე არასპეციალურ ლიტერატურაშიც: "The term *phonics* refers to instructional practices that emphasize how spellings are related to speech sounds in systematic

ways. The term *phonological decoding* or, more simply, *decoding* refers to the aspects of the reading process that involves deriving a pronunciation for a printed sequence of letters based on knowledge of spelling-sound correspondences."(50, 52)

2.1.1 ანალიზური და სინთეზური ფონიქსი

ინგლისური ენის სწავლების პროცესში, კერძოდ წერა-კითხვის სწავლების დროს, ფონიქსის მეთოდის გამოყენებაზე საუბრისას სპეციალისტები, ძირითადად, გამოყოფენ ამ მეთოდის ორ ვარიანტს. პირველი სინთეზური ფონიქსია, მეორე კი - ანალიზური. რონა ჯონსტონი და ჯოის ვატსონი თავიანთ წიგნში "Teaching Synthetic Phonics", ფონიქსის მეთოდის გამოყენებასთან მიმართებით, ბრიტანეთში ჩატარებული კვლევების მონაცენების საფუძვლიანი ანალიზის საშუალებით განმარტავენ და საკმაოდ დეტალურად ახასიათებენ ამ მეთოდს. ფონიქსის ანალიზური და სინთეზური ვარიანტების განსაზღვრისას ავტორები წერენ, რომ **ანალიზური ფონიქსის** გამოყენების შემთხვევაში ბავშვები თავდაპირველად სწავლობენ სიტყვების გარკვეულ რაოდენობას მხედველობით, ანუ იმახსოვრებენ/იზეპირებენ მთლიან სიტყვებს, რასაც მოსდევს ასო ბგერების შესწავლა სიტყვებში მათი მდებარეობის/პოზიციის მიხედვით (საწყის, ბოლო და შუა პოზიციებში) და შემდეგ სწავლობენ ბგერების წარმოთქმასა და მათ დაკავშირებას ასოებთან;

სინთეზური ფონიქსის გამოყენებისას კი ბავშვები შეისწავლიან რამდენიმე ბგერას, შემდეგ სწავლობენ ამ ბგერების წარმოთქმასა და მათ დაკავშირებას ასოებთან ისე, რომ თანდათანობით შეძლონ ასო-ბგერების სხვადასხვა კომბინაციის სიტყვებად შერწყმა-გარდაქმნა. (36, 3)

მსგავს განსაზღვრებას გვთავაზობს NRP ანგარიშიც: "**Analytic Phonics—** Teaching students to analyze letter-sound relations in previously learned words to avoid pronouncing sounds in isolation. **Synthetic Phonics—**Teaching students explicitly to convert letters into sounds (phonemes) and then blend the sounds to form recognizable words." (65,1)

ამრიგად, ანალიზური ფონიქსის მიდგომის გამოყენებისას ასო-ბგერები ისწავლება მას შემდეგ, რაც მოსწავლეებმა, ფაქტობრივად, უკვე დაიწყეს კითხვა, ანუ დაიზეპირეს გარკვეული სიტყვათა მარაგის გრაფიკული ხატები. ეს ანალიზურ ფონიქსს ძალზე ამსგავსებს ინგლისურის სწავლების ჰოლისტურ მიდგომას. (იხ. 2.3)

რაც შეეხება სინთეზურ ფონიქსს, შეიძლება ითქვას, გრაფონიქსი სწორედ სინთეზური ფონიქსის მიდგომებს იყენებს არა ინგლისურენოვან მოსწავლეთა, ანუ ქართველ მოსწავლეთა სწავლების დროს. ანალიზური ფონიქსის განხილვისას ბოლდი განმარტავს: "When we read, we retrieve and put together information that has been set down using the alphabetic system, and when we write, we use it to represent, in order, the sounds that we would otherwise say. This is synthetic phonics, or word-building." (8, 6)

ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს სიტყვების წასაკითხად ასო-ბგრების დაკავშირება მოეთხოვებათ. "Synthetic phonics enables readers to extract and use the information represented by letters, and, with practice, to build up a store of words that are read so quickly that they seem to take almost no time to work out. Teachers sometimes refer to these as 'sight vocabulary' or just 'words recognised at sight', though the most sophisticated tracking systems (Bald 2003) have provided evidence that we are, in effect, tracking the contours of the letters with our eyes in order to distinguish one from another. This process is so fast that words are fed into our mind virtually instantaneously, and we are then able to group them together into meaningful phrases." (Ibid)

სინთეზური ფონიქსით სწავლების წიგნის ავტორები მეთოდის ზემოთხსენებულ ორ ვარიანტს შორის სხვაობაზე საუბრისას საგანგებოდ აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ სინთეზური ფონიქსის მიდგომის თანახმად, მოსწავლეები სწავლის დასაწყისიდანვე შეისწავლიან რამდენიმე ასო-ბგერას და იმთავითვე იწყებენ მათ წარმოთქმასა და დაკავშირებას/სინთეზს სიტყვებში. მომდევნო, ახალი ასო-ბგერების შესწავლის პროცესიც საკმაოდ სწრაფად მიდის; ახალი ასო-ბგერების შესწავლასთან ერთად, მოსწავლეები წარმოთქვამენ, აყალიბებენ ახალ სიტყვებს, რომლებიც შესწავლილი ბგერებისაგან შედგება. ანალიზური ფონიქსის შემთხვევაში კი, ასო-ბგერების ათვისების პროცესი გაცილებით ნელა მიდის და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოსწავლეები მხოლოდ სიტყვის საწყის ასო-ბგერებს სწავლობენ.

2.2 მარი ფეიველი - ინგლისური ენის ფონიქსის მეთოდით სწავლების ერთ-ერთი პირველი სისტემატიზებული სახელმძღვანელოს შემქმნელი

ნაშრომის პირველ ნაწილში ვრცლად განვიხილეთ ფონიქსის ისტორიული ფესვები. ვფიქრობთ, ნათლად წარმოჩნდა, რომ ეს მეთოდი სათავეს იღებს გვიან შუა საუკუნეებში. კერძოდ, მეთოდის აღმოცენება ემთხვევა სულ უფრო მზარდ ინტერესს ინგლისურის, როგორც მეორე ენის სწავლების მიმართ. როგორც უკვე ვნახეთ, ჯერ კიდევ ჰარტმა (John Hart, 1501 - 1575) მე-16 საუკუნეში ჩამოაყალიბა და გამოიყენა ფონიქსის მეთოდის მთავარ პრინციპი: ერთი ბგერა – ერთი ასო. ენების სწავლებისას ფონიქსის მეთოდის ძირითად ელემენტებს იყენებდა კომენიუსი (Jan Amos Comenius, 1590-1670). მე-18 საუკუნეში კი ჯონ მილერი (John Miller) ინგლისურის სწავლებისას აქტიურად მიმართავდა ე.წ. ფონოლოგიურ ვარჯიშებს. თუმცა, ფონიქსი, როგორც ენის სწავლების სისტემატიზებული მეთოდი, მწყობრ სისიტემად, ფაქტობრივად, მხოლოდ მე-20 საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა.

ფონიქსისადმი განახლებული ინტერესის ერთ-ერთი პირველი ნიშანი ევანგელისტური და საბავშო წიგნების ავტორის, ინგლისელი ფეიველის, ლი მორტიმერის (Favell Lee Mortimer, 1802-1878) მიერ ბავშვებისათვის შემუშავებული კითხვის სწავლების მეთოდი იყო, რომელიც ეყრდნობოდა ფონიქსის პრინციპებზე აგებულ, დასურათებული ბარათების, ე.წ. “Flash cards” გამოყენებას. ისინი თანამედროვე “flash card”–ების წინამორბედნი არიან. “Among Mrs. Mortimer’s other enduring legacies was the innovative *Reading Disentangled* from 1834, a set of illustrated phonics cards that’s been credited as the first flashcards in history. And her 1857 *Reading Without Tears* foreshadowed a meme of twentieth-century how-to book titles (*Divorce Without Tears, Sanskrit Without Tears, Sex Without Tears*) that’s still in heavy rotation on Amazon.com. R*eading Without Tears* was ornately illustrated, and maybe a little loopy: “ E is like a carriage with a little seat for the driver. F is like a tree with a seat for a child. G is like a monkey eating a cake…” Citing the book as a foundation of his early schooling, Sir Winston Churchill’s memoir sniffed: “It certainly did not justify its title in my case.” (47, 5)

ნამდვილად გაუგებარია, რატომ ვერ ამართლებდა, უინსტონ ჩერჩილის შემთხვევაში, ფეიველ ლი მორტიმერის სახელმძღვანელო "კითხვა ცრემლების გარეშე" თავის სახელწოდებას და რამ გამოიწვია ტოდ პრუზანის ამგვარი სარკასტული დამოკიდებულება მორტიმერის წიგნის მიმართ, რადგან თამამად შეიძლება ითქვას: მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შექმნილი სახელმძღვანელო არამც თუ ჩამოუვარდება, არამედ, თავისი ნოვატორული და ორიგინალური მხატვრული გადაწყვეტით ხშირად სჯობნის კიდეც ფონიქსის მეთოდზე დაფუძნებულ, დღეს უაღრესად პოპულარულ სახელმძღვანელოებს.

ჩემთვის, როგორც გრაფონიქს-ფონიქსის სახელმძღვანელოების ქართველი თანაავტორისათვის, ფეიველის ნაშრომი განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა: საკუთარ წიგნებზე მუშაობის დაწყებამდე არც ერთი თანაავტორი არ ვიცნობდით ინგლისელი განმანათლებლის შემოქმედებას, მას მხოლოდ ჩვენი წიგნების გამოსვლის შემდეგ გავეცანით (როდესაც ჩვენი სახელმძღვანელოებით საქართველოს სკოლებში ასწავლიდნენ) და აშკარად დავინახეთ პრინციპული და შესამჩნევი მსგავსება ჩვენი და ფეიველის მიდგომებს შორის, როგორც დამწყებთათვის ინგლისურ ენაზე წერა-კითხვის სწავლების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით, ისე სახელმძღვანელოების სტრუქტურულ აგებულებასთან მიმართებით. ამაზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ.

"კითხვა ცრემლების გარეშე" (*Reading Without Tears*, 1857) სახელმძღვანელოს შესავალში ავტორი რჩევა-დარიგებას აძლევს მასწავლებლებს, ნათლად და ლაკონიურად აყალიბებს ფონიქსის ძირითად პრინციპებს. საგანგებოდ აღნიშნავს სწავლების პროცესში სურათების გამოყენების მნიშვნელობას, რაც მაქსიმალურად ხელს უწყობს და ეხმიანება ბავშვებისათვის დამახასიათებელი მხედველობითი მეხსიერების (visual learning style) ჩართვას ასწავლის პროცესში. ასევე, საწყის ეტაპზე აქცენტი დასმულია მოკლე, მარტივი სიტყვების სწავლებაზე. ავტორი შეძლებისდაგვარად არიდებს თავს რთული და გრძელი სიტყვების გამოყენებას სწავლის პროცესში და რაც მთავარია, მუდმივად ახსენებს მასწავლებელს, მოუწოდებს ასოები შეასწავლოს მათი თანხვედრი ფონეტიკური ვარიანტების მიხედვით. ეს განსაკუთრებით თანხმოვნებს ეხება.

“Four means are used in this book to facilitate the child’s progress, - pictures, classification, the omission of irregular words, and above all, phonetic names for the consonants. The usual names of the consonants often mislead the learner. The *c* in cat has a name like *s,* yet sounds like *k. G* in gun has a name like *j,* yet sounds hard in that word. *W* has a name that gives no idea of its sound in words.

The other consonants have names which resemble their sounds, but those names have not the force of the phonetic names, for *be-a* do not so easily melt into one sound as *b’a”,* წერს ფეიველი. (24, xii)

როგორც აღვნიშნე, ამ წიგნის ქართველი ავტორები, არ ვიცნობდით ფეიველის ნაშრომს. მიუხედავად ამისა ჩვენ მიერ შექმნილი სახელმძღვანელო აგებულია იმავე პრინციპებით, რომლებსაც ფეიველის წიგნი ეფუძნება. კერძოდ, ვგულისხმობ ვიზუალური მასალის გამოყენებას სწავლების კონკრეტული მიზნების მაქსიმალურად ეფექტიანად განხორციელებისათვის. ჩვენს სახელმძღვანელოშიც საწყის ეტაპზე, ძირითადად, შერჩეულია მოკლე სიტყვები, რომელთა გრაფიკული ვარიანტები ზედმიწევნით ემთხვევა მათ ფონოლოგიურ წარმოთქმას. მოსწავლეები, პირველ ყოვლისა, ითვისებენ მარტივ, საბაზისო თანხმოვნებსა თუ ხმოვნებს და მხოლოდ ამის შემდეგ, თანდათანობით, გამეორებისა და მასალის განსამტკიცებელი სავარჯიშოების გამოყენებით, იწყებენ შედარებით რთულ, დიგრაფებით გამოხატულ ბგერათა შეთანხმებების გაცნობასა და შესწავლას. აღნიშნული მიდგომის გამოყენების საშუალებით, შევეცადეთ, ფეიველის მსგავსად, გადაგვეწყვიტა ინგლისურ ენაზე წერა-კითხვის სწავლებასა და შესწავლის თანმხლები სირთულეები, არა მხოლოდ უცხოელების, არამედ იმ მოსწავლეთათვისაც, რომლებისთვისაც ინგლისური მშობლიური ენაა. საქართველოში ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში გამოიყენებოდა ისეთი სახელმძღვანელოები (როგორც ქართველი, უფრო სწორად საბჭოური პერიოდს სპეციალისტებისა, ისე ინგლისური გამომცემლობებისაც), რომლებშიც მკაცრად იყო დაცული ანბანური თანამიმდევრობის პრინციპი ინგლისური ენის ანბანის სწავლებისას, და ხშირად დამწყებ მოსწავლეებს სთავაზობდა ისეთ რთულ


სიტყვებს, წარმოთქმა-მართლწერის თვალსაზრისით, როგორებიცაა, მაგალითად, apple, table, umbrella, bicycle, blackboard ….

სახელმძღვანელოს შესავალში ფეიველი ყურადღებას ამახვილებს ინგლისური ენისათვის დამახასიათებლ თავისებურებებზე, რომლებიც ხშირად სერიოზულ დაბრკოლებად აღიქმება წერა-კითხვის შესწავლა/სწავლების პროცესში არა მხოლოდ უცხოენოვანი, არამედ თავად ინგლისურენოვანი მოსწავლეებისთვისაც.

“The great difficulty in learning to read our own language arises from the anomalies in its spelling. Why is the *e* in *bread* short and in *bean* long? Why are the words *dear* and *bear* so different in their pronunciation? These irregularities occasion the child continual perplexity, and render it dependent upon memory alone. The reflecting child who argues from analogy will certainly fall into error, while the child, possessed of a mechanical memory, will be more successful.

But if - of all the powers of the mind – the *reasoning* are the most important, the system on which reading is taught ought to be one calculated to strengthen and not to suppress them“, წერს ფეიველი. (Ibid)

მორტიმერის “კითხვა ცრემლების გარეშე” ყურადღებას იპყრობს მასალის მიწოდების მხატვრული სტილითაც. *“These remarks on the forms of the Letter will help to impress them on the Child's memory. Let the consonants be called by their sounds,* B' D'—*not* Be De.” – ვკითხულობთ ანბანის შესწავლის დასაწყისში.



"Note— *Let* C *be called by its hard sound, like* K'."(24, 14)

დამატებითი შენიშვნები მოცემულია გამონაკლისების შემთხვევაში.

ფეიველის შემოქმედებითი მიდგომა: ასოების ფორმების საგნებთან, ცხოველებთან დაკავშირება მოგვაგონებს რედიარდ კიპლინგის ზღაპარს "როგორ შეიქმნა ანბანი" *("How the Alphabet Was Made").* კიპლინგის გმირებიც ხომ ზუსტად იმავე პრინციპს იყენებენ ანბანის შესაქმნელად, ბგერებსა და ასოებს შორის ურთიერთკავშირის გამოსახატავად (იხ. დანართი 10) (79, 2)

ფეიველის სახელმძღვანელოში სწავლების პირველ ეტაპზე დიდი და პატარა ასოები ცალ-ცალკეა მოცემული. იმავე პრინციპს ეფუძნება ჩვენი სახელმძღვანელო "გრაფონიქსიც". მოსწავლეები ჯერ ეცნობიან და ითვისებენ ინგლისური ასოების პატარა ვარიანტებს, შემდეგ კი იწყებენ მთავრული ასოების შესწავლას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ თავის წიგნში ფეიველს ჯერ მთავრული ასოები შემოაქვს, ჩვენ კი – პირიქით: პირველად მოსწავლეებს ვაცნობთ და ვასწავლით პატარა ასოებს. (იხ. დანართი 1, გვერდები გრაფონიქსიდან).

h is like a chair 

i is like a child playing at ball 

j is like a child with long clothes playing at ball 

k is like a soldier marching with one leg forward 


(24, 23)

წიგნის პირველ ნაწილში, პირველ ოცდათხუთმეტ გვერდზე, ძირითადად, ყურადღება გამახვილებულია ანბანის ათვისებაზე. მას შემდეგ, რაც წარმოადგენს ჯერ მთავრულ ასოებს, შემდეგ კი შესაბამის პატარა ასოებს, მათი ფორმისთვის მაქსიმალურად შესატყვისი ნახატებითურთ, ფეიველი კვლავ ანბანს უბრუნდება, ოღონდ ამჯერად მოსწავლეების გასახალისებლად მოიშველიებს ასოების გაფერადების მეთოდს, რის გარეშეც, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია ინგლისური ენის დაწყებითი საფეხურის ნებისმიერი თანამედროვე სახელმძღვანელო. “It is suggested that COLOURING the letters would render them more attractive, and distinguish them better from the pictures. They might be coloured by degrees, as a reward to the little pupil for remembering their names.

Take care to call the consonants by phonetic names.” (24, 28) – ვკითხულობთ ინსტრუქციაში. როგორც ვხედავთ, მთავარი ფეიველისათვის მაინც ასოების და ბგერების სწავლების ფონიქსის პრინციპზე აგებული სისტემაა.


უნდა აღინიშნოს, რომ ფეიველი მიჰყვება ასოების შესწავლის ანბანურ პრიციპს, რაც საგრძნობლად ართულებს მის ამოცანას: ფონიქსის პრინციპის შესაბამისად შეარჩიოს სიტყვები. ჩვენს სახელმძღვანელოში ეს პრობლემა

გადაჭრილია, იმდენად, რამდენადაც, ჩვენთვის ანბანური თანამიმდევრობა არ არის პრიორიტეტული. თუმცა, ამ მხრივაც, როგორც გვეგონა, არ ვართ ორიგინალურნი. ჯერ კიდევ მე-16 საუკუნეში ჰარტი უარს ამბობს, თავისი სახელმძღვანელო ანბანური პრინციპით ააგოს. მას სწავლების პირველ საფეხურზე ხუთი ძირითადი ხმოვნისა და ხუთი "მარტივი" თანხმოვნის ნაკრები შემოაქვს.




(35, 87)

ამ შემთხვევაში, ალბათ, უფრო ჰარტთან გვაქვს თანხვედრა, რადგან ჩვენც საწყის ეტაპზე მოსწავლეებს მოკლე ხმოვნებსა და თანხმოვნებს ვასწავლით. მხოლოდ შემდგომ, თანდათანობით, შემოგვაქვს გრძელი ხმოვნები და დარჩენილი "რთული" თანხმოვნები (იხ. ნაშრომის თავი 3, 84-85).



(10, 82)

ფეიველის სახელმძღვანელოს მეორე გვერდზე, დასურათებული ასოების გვერდით, წარმოდგენილია ე.წ. ჩვეულებრივი, დაუსურათებელი ასოები, რომლების გაცნობაც, ისევ და ისევ, ხელს უწყობს მოსწავლეებს უკვე შესწავლილი ასო-ბგერების ცოდნის განმტკიცებაში. მასწავლებლისათვის მიცემული ინსტრუქციის თანახმად, მას შემდეგ, რაც პედაგოგი მიუთითებს მოსწავლეს ერთ A-ს, შემდეგ სთხოვს მას, აჩვენოს მეორე A. აქვე ფეიველი შენიშნავს, რომ ასოების სწავლების გაცილებით ეფექტური საშუალებაა ბავშვებისათვის ბარათებზე დახატული სურათების - Flash cards ჩვენება და მხოლოდ შემდეგ - წიგნის მოშველიება.
სახელმძღვანელოს 32-ე გვერდზე კვლავ ანბანია მოცემული, ამჯერად წარმოდგენელია დასურათებული პატარა ასოები, მათივე შესაბამისი "სადა ასოებით."



(24, 32-33)

36-ე გვერდიდან კი ავტორი წარმოადგენს მოკლე სიტყვებს, რომლებიც შედგენილია მარტივი თანხმოვნებისა და ხმოვნებისაგან, შესაბამისი სურათებით (bag, bat, bab, man, mat, map, cap, cab, cat, hat, ham, fat, fan, pat, pan, pap, rap, rag, ran, lad, lap, bed, beg, men, met, wet, web, peg, pen, pet, pin, pig, pit, big, bib, bit, hid, hit, kid, kit, lip, lid, sit, sip, dog, dot, sob, sop, rod, rob, mop, mob, top, tom, hog, hob, hop, gun, gum, cut, cup, cub, mud, mug, rug, run, rub). მოკლე ხმოვნების (ა, ე, ო, ი წარმოთქმის მიხედვით) შემოტანის შემდეგ, ავტორი ერთმანეთში ურევს ნასწავლ სიტყვებს და კვლავ

იწყება შესწავლილი მასალის გამეორება. ფეიველს თანხმოვნები და ხმოვნები შემოაქვს არა მხოლოდ არსებითი და ზედსართავი სახელების, არამედ ზმნების მეშვეობითაც, მათ შორის, ხშირად წარსულის ფორმებით. საინტერესოა ისიც, რომ სიტყვები ჩვეულებრივად პირველ ხაზზე წერია, ანუ იწყება დიდი ასოთი და შემდეგ მას მოსდევს პატარა ასოები, მეორე ხაზზე მთავრული ასოებით გამოისახება სიტყვა, მესამეზე კი - მხოლოდ პატარა ასოებით. ეს, ერთი მხრივ, ამეორებინებს მოსწავლეს ასო-ბგერების შეთანხმებებს, ავარჯიშებს მას წერაში, მეორე მხრივ კი, ნაკლებად მოსაბეზრებელია, ვიდრე ერთი და იმავე სიტყვების ბევრჯერ წაკითხვა და გამოწერა.



Bag Bat Bab

BAG BAT BAB

bag bat bab

(24, 36)

აღნიშნული მიდგომა (ერთი და იმავე მასალის ბევრჯერ გამეორება მცირედ სახეცვლილი ფორმით) ინგლისური ენის პედაგოგებისათვის "დრილინგის" სახელითაა ცნობილი. "Drilling" ინგლისური სიტყვაა და ვარჯიშს, წვრთნას ნიშნავს. ეს ტექნიკა, გარკვეული თვალსაზრისით, ჩვენც გამოვიყენეთ, თუმცა, ზომიერების მაქსიმალური დაცვით. სხვათა შორის, აღნიშნული მეთოდიც ხშირად გამხდარა კრიტიკისა საგანი, თუმცა, უნდა ითქვას, რომ თანამედროვე თეორეტიკოსები და პრაქტიკოსი მასწავლებელბიც აღიარებენ "დრილინგის" ზომიერად გამოყენების სასარგებლო შედეგს გარკვეულ ეტაპზე, განსაკუთრებით, ეს საწყის ეტაპს ეხება.

"გრაფონიქსში", ფეიველის სახელმძღვანელოსგან განსხვავებით, ასო-ბგერები "მშრალად" არ შემოგვაქვს. პირველივე გაკვეთილიდან ვიწყებთ მოკლე სიტყვებით,

რომელთა შემადგენელ ასოებსაც ეცნობიან და სწავლობენ ბავშვები. დამატებითი გავარჯიშების საშუალებას მათ სახელმძღვანელოს თანამდევი სამუშაო რვეული აძლევს, რომლის თითოეული გაკვეთილის მიზანია, მოსწავლეებს სახელმძღვანელოდან მიღებული ცოდნა განუმტკიცოს. ასევე, სამუშაო რვეულს თან ერთვის სპეციალური სავარჯიშოები, რომლებიც ეხმარება მოსწავლეებს ახლად შესწავლილი ასოების უკეთ ათვისებაში (იხ. დანართი 1 გვერდები "გრაფონიქსის" მოსწავლის წიგნსა და სამუშაო რვეულიდან).

ფეიველის მოკლე, მაგრამ ამომწურავი და ძალზე პრაქტიკული მითითებები, მასწავლებელს ბავშვებთან მუშაობას და, შესაბამისად, დასახული მიზნის მიღწევას - მათთვის ინგლისურ ენაზე წერა-კითხვის სწავლებას გაცილებით უადვილებს. "Note. — The Child should call the consonants by their sounds (not by their names). Let each letter be pronounced successively —thus b' a' g', bag. Let each word be thus spelt three times over. The words must be read in columns, not across." (24, 36)

აღნიშნულთან მიმართებით, საინტერესო პარალელის გავლება შეიძლება ფეიველის მითითებასა და 2011 წელს ინგლისური ენის საუკეთესო სახელმძღვანელოდ აღიარებულ მაკმილანის გამომცემლობის მიერ დასტამბულ "English World" - ის თანმხლებ ვიდეომასალზე აღბეჭდილი გაკვეთილების სიმულაციებს შორის, როდესაც მასწავლებელი ზუსტად იმავე მეთოდს იყენებს ბავშვებისათვის ფონიქსის მეთოდით სწავლების დროს. აღნიშნულ სახელმძღვანელოში გაკვეთილები იყოფა ქვეგაკვეთილებად და გრამატიკის, კითხვის, მოსმენისა და საუბრის გვერდით, ერთ-ერთი ქვეგაკვეთილს ფონიქსი ჰქვია. აქვე დავამატებთ, რომ იმ მოსწავლის მშობელმა, რომელიც ე.წ. "native speaker"–ის სტატუსით ეუფლება წერა-კითხვას ვაშინგტონის ერთ-ერთ სკოლაში, გვიამბო, რომ სწორედ ზემოთხსენებული ტექნიკის საშუალებით მისმა შვილმა წარმატებით აითვისა ანბანი (იხ. დანართი 11).

ფეიველს კარგად აქვს გაცნობიერებული, ერთი მხრივ, წერა-კითხვის შესწავლისას მასალის რაც შეიძლება ხშირად და ინტენსიურად გამეორების

აუცილებლობა და, მეორე მხრივ, ამ პროცესის თანამდევი პრობლემა, რაც მოსწავლეებში, განსაკუთრებით, მცირე ასაკის ბავშვებში მობეზრების სინდრომით გამოიხატება. “Note. — It is not advisable to keep to one page till it is known perfectly, but soon pass on to another, thus enticing the Child by novelty.

Note.—Let the Teacher go over these pages frequently— not expecting them to be learned quickly.’(24, 39)

მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს საფუძვლიანი ვარჯიშის შედეგად ძირითადად ათვისებული აქვთ ანბანი ასო ბგერებისა და მოკლე სიტყვების საშუალებით, ისინი მზად არიან, შეუდგნენ მოკლე წინადადებების წაკითხვას. აქ საგულისხმოა ის, რომ ავტორი, ზოგჯერ, იძულებულია, გადაუხვიოს ფონიქსის მეთოდის თანმხლებ შეზღუდვებს და, წინადადებების შედგენის მიზნით, გამოიყენოს ისეთი სიტყვები, მეტწილად ზმნები, რომლებიც, შესაძლოა, არც ფონეტიკურადაა თანხვედრილი ფონიქსის მეთოდთან და, გრამატიკული თვალსაზრისითაც, უფრო მომდევნო საფეხურს ეკუთვნის. მაგრამ ფეიველს მიაჩნია, რომ მთავარი ის კი არაა, ბრმად, სწორხაზოვნად მიჰყვე სისტემას, არამედ ის, რომ გამოიჩინო მოქნილობა და უნარი, მაქსიმალურად მოარგო სისტემა შემსწავლელთა ინტერესს.

“It has been found necessary in the early lessons to depart from the reigning principles of the work, and, for the sake of practice in reading, to introduce a few words before their due season. It was impossible to compose reading lessons without such words as *the, was, my,* and therefore they occur long before the child is acquainted with words of that class. But practice is more important than adherence to any system. The child will become wearied by lists of words, and must have sentences in order to render study delightful. Association also is one of the circumstances on which memory depends, and therefore words occurring in a *sentence* are more easily retained than those in a *list*.

As soon as possible the sentences are combined into narratives, though great difficulty was found in excluding the words that had not been taught.” (24, xiii)

მიუხედავად ფეიველის რწმენისა, რომ უცხოური ენის სწავლების სხვა მიდგომებთან შედარებით ფონიქსი საგრძნობი უპირატესობით გამოირჩევა სწავლების საწყის ეტაპზე, ავტორი მაინც არ უგულებელყოფს იმ სირთულეებს, რომლებსაც, შესაძლოა, ამ მეთოდის გამოყენებისას წავაწყდეთ. განსაკუთრებით, ეს ფონიქსის მეთოდზე დაფუძნებული სახელმძღვანელოების ავტორებს ეხებათ. კერძოდ, ვგულისხმობთ იმ შეზღუდვებს, რომლებსაც მეთოდი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, უწესებს ავტორებს. ანალოგიური სირთულეების წინაშე ჩვენც აღმოვჩნდით და ვიმედოვნებთ, მაქსიმალურად მოვახერხეთ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტა ისე, რომ, ფაქტობრივად, არჩეული გეზი არ შეგვიცვლია. სწორედ ამიტომ, შევიმუშავეთ ფონიქსის მეთოდის მოდიფიცირებული ვარიანტი - გრაფონიქსის მეთოდი. თუმცა, როდესაც გავეცანით ფონიქსის მეთოდზე დაფუძნებულ სახელმძღვანელოთა უმრავლესობას და შევისწავლეთ ამ მეთოდისადმი მიძღვნილი საკმაოდ დიდი ლიტერატურა, დავრწმუნდით, რომ ჩვენს სახელმძღვანელოსაც აუცილებლად სჭირდება საფუძვლიანი გადახედვა და სრულყოფა.

წიგნის 86-ე გვერდიდან ფეიველი წარმოადგენს მოკლე წინადადებებს, ქონა/ყოლა ზმნის – to have – ზმნის წარსული ფორმის და ყოფნა ზმნის - to be – ს სხვადასხვა პირის ფორმების გამოყენებით. ყოფნა ზმნასთან ერთად, ფეიველი იყენებს მარტივ თანდებულებსაც. მართალია, წინადადებაა წარმოდგენილი, მაგრამ ავტორი კვლავ იძლევა წინადადებების შიგნით სიტყვების ბგერების მიხედვით დამარცვლის ინსტრუქციას. გვერდები ასევე დასურათებულია შესაბამისი ნახატებით. მომდევნო გვერდზე წინადადებას ემატება რიცხვითი სახელებიც, ანუ როგორც ლექსიკური, ისე გრამატიკული თვალსაზრისით, მასალა სულ უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება.



hen men den pen ten

I had a hen
I had a pen
I had a den
Ten men had a hen
Ten men had a pen
Ten men had a den
A hen is in a den
A pen is in a den.

(24, 88-89)

მსგავსი დინამიკით ვითარდება სწავლების პროცესი ჩვენს სახელმძღვანელოებშიც, (იხილეთ "გრაფონიქსი" და "ფონიქს ელემენტარული") თუმცა, აღსანიშნავია, რომ, ფონიქსის პრინციპის გარდა, გრამატიკულად მარტივი და თანაც აუცილებელი/საბაზისო სტრუქტურების ხმარების ათვისებისა და განმტკიცების ტაქტიკის გამოყენებას ვცდილობთ.

ფეიველს ასევე შემოაქვს მოკლე ინსტრუქციები: მაგალითად, *Run in the sun, Sit on a tun*. შედარებისათვის, თუ როგორ რთულდება ჯერ ერთსიტყვიანი მარტივი ინსტრუქციები, ხოლო სახელმძღვანელოს მეექვსე გაკვეთილი (იხ. დანართი 2) მთლიანად მოკლე ინსტრუქციების დასწავლას ეთმობა, იხილეთ "გრაფონიქსის" მოსწავლის წიგნის პირველი ხუთი გაკვეთილი. საინტერესოა, ფეიველის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სწავლებისას პრიორიტეტულია სწორად წაკითხვა და შემდეგ მართლწერა. სიტყვა *bell* - ს (ზარი) ავტორი ურთავს განმარტებას, რომ მოსწავლემ წარმოთქვას მხოლოდ ერთი *1* —"Note. — Do not notice double letters, but say " B' e 1', as if there was only one l. Good spelling will be learned hereafter." (24, 100)

სახელმძღვანელოს შუა ნაწილიდან ფეიველს შემოაქვს ბგერათა (თანხმოვანთა) შეთანხმებები: მაგალითად, ck (*pack, neck, kick, duck*) და, ასევე,

დიფთონგები და გრძელი ხმოვნები. უნდა აღინიშნოს, რომ ფეიველს ორიგინალურად აქვს გადაწყვეტილი დიფთონგებისა და გრძელი ხმოვნების წაკითხვის პრობლემა. საუბარია ასოების ანბანურ, ანუ მათი სახელწოდებებით წაკითხვაზე.

Jay Bee Pie Bow Pew

A E I O U

ფეიველი არც "მუნჯ" (silent) ბგერებს ტოვებს უყურადღებოდ და მასწავლებლებს არიგებს, როგორ გააცნონ მოსწავლეებს ის სიტყვები, რომლებშიც გარკვეული ბგერები არ წარმოითქმება.

Jay̅	Bee	Pie̅	Bow̅	Sue̅
Bay̅	fee	die̅	doe̅	hue̅
Day̅	he	fie̅	foe̅	rue̅
Lay̅	key̅	high̅	go	you̅
May̅	lea̅	lie̅	hoe̅	
Nay̅	me	nigh̅	Joe	*Let the Child spell each word, thus, J'-n'—Jay.*
Pay̅	see	sigh̅	low	
Ray̅	tea̅	tie̅	mow̅	*Let the words be read* downwards *only.*
Say̅	we	vie̅	no	
Way̅	ye		so	

(24, 132)

მას შემდეგ, რაც ავტორი ერთ გვერდზე წარმოადგენს "მუნჯი" ბგერების შემცველ სიტყვებს, მეორე გვერდზე იმავე სიტყვების წარმოდგენისას მითითებას აძლევს მასწავლებელს, "მუნჯ" ბგერებს თავზე პატარა ხაზები დაუსვას, რათა ბავშვებმა ყურადღება გაამახვილონ ამგვარ სიტყვებსა და მათი წარმოთქმის თავისებურებაზე. ფეიველი მაქსიმალურად ცდილობს, ინგლისური ენის წარმოთქმის არც ერთი თავისებურება არ დატოვოს უყურადღებოდ. *Y* ასო-ბგერაზე საუბრისას ავტორი სთხოვს მასწავლებლებს, მოსწავლეებს ამ ბგერის წარმოთქმის თავისებურებაზე მიუთითონ, რომ აღნიშნული ბგერა წარმოითქმება ხან როგორც თანხმოვანი (მაგალითად, სიტყვებში yell, yet, yes, yam) და ხან როგორც ხმოვანი (დიფთონგი "ai" - by, my, rye, buy). ასევე, ასო *g* –ს წარმოთქმაზე

საუბრისას ფეიველი მასწავლებლებს ურჩევს: სანამ ბავშვებს გააცნობდენენ ამ ასოს წარმოთქმის მაგარ (God) და რბილი (gem) ფორმებს, მხოლოდ მაგარი *G*-ს წარმოთქმაზე გაამახვილონ მათი ყურადღება.

სახელმძღვანელოს შუა ნაწილიდან ავტორი წარმოადგენს გაბმულ ტექსტებს, რომლებშიც, რასაკვირველია, ძირითადად მოსწავლეების მიერ უკვე შესწავლილი სიტყვებია გამოყენებული. ფეიველ ლი მორტიმერის სქელტანიანი სახელმძღვანელო, ფაქტობრივად, სრულად ამოწურავს ასო-ბგერებისა და მათი შეთანხმებების ყველა შესაძლო ვარიანტს. ფეიველი, უდავოდ, ერთ-ერთი პირველია, რომელმაც ფონიქსის მეთოდის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების საფუძველზე სახელმძღვანელო შექმნა.

2.3 ფონიქსი და ინგლისური ენის სწავლებისადმი ჰოლისტური მიდგომა

მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ფონიქსის მეთოდის გამოყენება სულ უფრო პოპულარული გახდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამ პერიოდში აღნიშნული მეთოდის დანერგვასა და განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკელ მწერალს, ჟურანლისტსა და პედაგოგს რებეკა სმით პოლარდს (Rebecca Smith Pollard, 1831-1917).

“Pollard's work in the field of reading represented a pioneer effort in terms of creating a sequential reading program of intensive synthetic phonics, complete with a separate teacher's manual and spelling and reading books, and moving into a broad based graded series of literature readers. Her series is important for its high correlation of spelling and reading instruction, for its concern for the interests of children, for its incorporation of music into the process of learning to read, and as the forerunner for other phonics systems.” (53, 10)

მე-19 საუკუნის შუა წლებიდან მე-20 საუკუნის შუა ხანებამდე ინგლისური ენის სწავლების, კერძოდ, ინგლისურ ენაზე კითხვის სწავლების მეთოდებს შორის უპირატესობა ხან ფონიქსს, ხან კი - ე.წ. “Look and Say”-ის (“შეხედე და წარმოთქვი”) იმავე “Sight Word”-ის (“სიტყვების მხედველობით დამახსოვრება”) მეთოდს ენიჭებოდა. ის საფუძვლად დაედო კითხვის სწავლების “ჰოლისტურ” - “Whole Languge” მიდგომას. “Look and Say” მეთოდის გამოყენებისას მთავარი ყურადღება ექცევა მთლიანი სიტყვების წაკითხვას (ანუ ასოთა შეთანხმებების პირდაპირ ერთ სიტყვად წაკითხვას და სიტყვის მთლიანი გრაფიკული ვარიანტის დამახსოვრებას) და, ამ გზით, შემდეგ ტექსტის შინაარსის, მნიშვნელობის გაგებას (comprehension). კითხვის სწავლებისას მასწავლებელი ინტენსიურად იყენებდა ბარათებს (flash cards), რომლებზეც გამოსახულებას/ნახატს თან ახლდა სიტყვის გრაფიკული ვარიანტი. ეს, თავის მხრივ, საშუალებას მისცემდა მოწაფეს, აღექვა სურათი, ანუ სურათზე გამოსახული საგნის ან, თუნდაც, მოქმედების მნიშვნელობა და შესაბამისი სიტყვის გრაფიკული ვარიანტი, როგორც ერთი მთლიანობა. ფონიქსი თითქმის სრულიად უარყოფილი იყო. “Sight-word” მეთოდის ფუძემდებელი ამერიკელი ტომას გალოდეა (Gallaudet, Thomas Hopkins, 1787-1787). მან ჰარტფორდში

(აშშ) ყრუ-მუნჯებისათვის სპეციალიზირებული სკოლა დაარსა, სადაც სწავლებისას აქტიურად იყენებდა მის მიერ შემუშავებულ “Sight-word” მეთოდს. გალოდეს მიერ შემუშავებულმა მეთოდმა იმ პერიოდში მასაჩუსეტსის განათლების კომიტეტის ხელმძღვანელის, ჰორას მანის ყურადღება მიიპყრო. სწორედ ამ უკანასკნელის დიდი ხელშეწყობით, აღნიშნულმა მეთოდმა უპირატესობა მოიპოვა აშშ განათლების სისტემაში. თუმცა, დროთა განმავლობაში კითხვის სწავლების პროცესში მხოლოდ ამ ერთი მეთოდის გამოყენებამ მისი ყველა ნაკლოვანება გამოაჩინა და, შესაბამისად, მზარდი პროტესტიც გამოიწვია. აიოველი ნევროპათოლოგი, ექიმი სემუელ ორტონი (Dr. Samuel Orton) თავის ნაშრომებში ვრცლად საუბრობს ამ მეთოდის სერიოზულ ხარვეზებზე. მან ბავშვებში კითხვის უნარის განვითარების პროცესში წარმოქმნილი/გამოვლენილი პრობლემების კვლევისას დაასკვნა, რომ შექმნილი სირთულეების ერთ-ერთი მთავარი, თუ არა უმთავრესი, მიზეზი “Sight-word” მეთოდის პრიორიტეტული გამოყენება იყო. ორტონის კვლევა გამოქვეყნდა 1929 წელს ჟურნალ “განათლების ფსიქოლოგიაში” (“Journal of Educational Psychology”), სახელწოდებით “The Sight Reading Method of Teaching Reading as a Source of Reading Disability.” (80) ამ კვლევას ეხმაურება და უაღრესად დადებითად აფასებს აშშ განათლების სფეროს ექსპერტი, ამერიკის განათლების სისტემის პრობლემებზე დაწერილი ათამდე წიგნის ავტორი, ინტესიური ფონიქსის დიდი გულშემატკივარი, სპეციალისტი სემუელ ბლუმენფელდი 2011 წლის იანვარში “New American” ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სტატიაში სახელწოდებით “დოქტორ ორტონის უდიდესი აღმოჩენა” (“Dr. Orton’s Great Discovery”). ბლუმენფელდის თქმით, ორტონი იყო “the first modern neuropathologist to recognize the harm that the new whole-word, or sight-word method, of teaching reading was having on children. He had studied cases of reading disability in Iowa in the late 1920s, and came to the conclusion that the cause of the children’s problems was this new teaching method.” (81,1) სტატიაში ბლუმენფელდი საკამაოდ მკაცრად აკრიტიკებს “Look and Say” მეთოდის გამოყენების პრაქტიკას აშშ საგანმანათლებლო დაწესებულებებში. “Today, drugs cannot be sold to the public until they are proven to be safe. The advertising of cigarettes has been banned from television, and cigarette packages must bear

a warning that smoking can cause cancer. Yet, a teaching method, which we've known for years causes severe learning problems, is not only permitted to be used in our schools but is defended tooth and nail by the educators at the highest levels of teacher training in American universities. Only a small group of dissident educators actually know what Orton was talking about.

But there is one large group of educators in America aware of this problem: the homeschoolers, who almost universally use intensive phonics to teach their children to read. Yet, millions of American children are condemned to have their brains deformed because the government schools cannot prevent educational malpractice. Indeed, they can't even recognize it when it stares them in the face," აღშფოთებას ვერ მალავს ბლუმენფელდი. (Ibid.)

კითხვის უნარის განვითარების პროცესში ფონიქსისა და ჰოლისტური მიდგომების გამოყენების მხარდამჭერთა შორის დაპირისპირება იმდენად გამძაფრდა, რომ მას სპეციალიტები "კითხვის ომების" "The Reading Wars" სახელწოდებით მოიხსენიებენ. 1997 წელს "The Atlantic Monthly" ელექტრონულ ჟურნალში გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში სახელწოდებით "The Reading Wars", კორესპონდენტი ნიკოლას ლემანი მსჯელობს ხსნებულ დაპირისპირებაზე და შემდეგნაერად ახასიათებს ჰოლისტურ მიდგომასა და ფონიქსის მეთოდს: "Whole-language theory holds that learning to read and write English is analogous to learning to speak it - a natural, unconscious process best fostered by unstructured immersion. In an atmosphere rich in simple printed texts and in reading aloud, small children make a wondrous associative leap from knowing the alphabet to being able to read whole words. Their minds receive print as if each word were a Chinese ideogram. If a word is unfamiliar it can be skipped, guessed at, or picked up from context. Phonics theory takes exactly the opposite position: the proper analogy for learning to read is learning music notation, or Morse code, or Braille, in which mastery of a set of symbols comes first. Children should first learn the letters and letter combinations that convey the English language's forty-four sounds; then they can read whole words by decoding them from their component phonemes. "Sounding out" words is a phonics, rather than a whole-

language, technique". (66)

ლემანი საფუძვლიანად განიხილავს ხსენებული დაპირისპირების ისტორიას და მოსწავლეთა ტესტირებაზე, ჩატარებულ კვლევებსა და ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით (მარიონ ჯოზეფის ამბავი), ადასტურებს ფონიქსის უდავო უპირატესობას ბავშვებისათვის კითხვის სწავლების დროს. მისი თქმით, 1993-1994 წლებში კალიფორნიაში კითხვის უნარის განვითრების დონის გამოსავლენად ჩატარებულმა ახალმა სახელმწიფო ტესტირებამ პოლიტიკური ფიასკო განიცადა. ტესტირებამ კითხვის უნარის განვითრების საოცრად დაბალი დონე გამოავლინა. პირველად, კალიფორნიის პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში დაწყებითი სკოლის (elementary school) კურიკულუმი პოლიტიკური ვნებათაღელვის ეპიცენტრში აღმოჩნდა. მიაღწიეს კონსენსუსს იმის თაობაზე, რომ კითხვის სწავლებისადმი ჰოლისტური (whole-language) მიდგომა დიდი შეცდომა იყო. განათლების დარგში ახლად არჩეული სახელმწიფო მოხელე (State Superintendent of public instruction, Delaine Eastin) სწრაფად გაემიჯნა ჰოლისტურ მიდგომას და მტკიცე რეკომენდაცია გაუწია სწავლების დროს ფონიქსის მეთოდის გამოყენებას. 1995 წელს კონგრესის ორივე პალატაში სრული უმრავლესობით მიღებული კანონმდებლობის თანახმად, კითხვის უნარების განვითრების პროცესი ფონიქსის საშუალებით უნდა წარმართულიყო. (Ibid.)

2.4 ფონიქსის მეთოდის ხელახალი აღმოჩენა - რუდოლფ ფლეში, "რატომ ვერ კითხულობს ჯონი"

ფონიქსის მეთოდის მხარდამჭერთა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს კოლუმბიის უნივერსიტეტის დოქტორის, რუდოლფ ფლეშის (Rudolf Flesch (1911 – 1986) უაღრესად პოპულარული წიგნი "რატომ ვერ კითხულობს ჯონი." ("Why Johnny Can't Read", 1966). ეს წიგნი ცხადად წარმოაჩენს ფონიქსის იმ დადებით მხარეებს, რომელთა წყალობითაც ინგლისურის შესწავლის გარკვეულ საფეხურზე - ვგულისხმობთ სწავლების საწყის საფეხურს - ეს მეთოდი, ფაქტობრივად, სწავლების განუყოფელ, ერთ-ერთ წამყვან მეთოდად რჩება. მას შემდეგ, რაც თავად ფლეში ამერიკელ ბავშვებში კითხვის უნარის ჩამოყალიბების პროცესში პრაქტიკულად აღმოჩნდა ამ სირთულეების წინაშე, მან გადაწყვიტა საფუძვლიანად გამოეკვლია ამ საკითხთან დაკავშირებული პრობლემები. ფლეში დაინტერესდა, რამ გამოიწვია ის სირთულეები, რომლებსაც ამერიკელი მოზარდები აწყდებოდნენ კითხვის უნარის განვითარების პროცესში. ფლეშმა თავი მოუყარა თავისი კვლევის შედეგებს და გამოსცა 222 გვერდიან წიგნი "რატომ ვერ კითხულობს ჯონი - და რა შეიძლება ვიღონოთ" ("Why Johnny Can't Read - and What You Can Do About It"). წიგნის 1986 წლის გამოცემის ყდაზე, სათაურის ზემოთ წამძღვარებული მინაწერი მიუთითებს, რომ ჩვენ წინაშეა კლასიკური წიგნი ფონიქსის მეთოდის შესახებ, რეკომენდებული შეერთებული შტატების განათლების სამინისტროს მიერ - "The classic book on Phonics – The Method Recommendeeed By The U.S. Department of Education". (27) საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ის საფუძვლიანი, ფართომასშტაბიანი კვლევა, რომელიც განოხორციელდა ამერიკის, დიდი ბრიტანეთისა და ავსტრალიის სახელმწიფო სტრუქტურების დავალებით, ინგლისური ენის სწავლებისას ფონიქსის მეთოდის სასარგებლიანობის გამოვლენის მიზნით. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ.

ასევე, ყდის მინაწერიდან შევიტყობთ, რომ მოზარდები სულ რაღაც ექვს კვირაში დაეუფლებიან კითხვას. სავარაუდოდ, თითქმის იგივე დროა საჭირო ჩვენი, გრაფონიქსის, მეთოდის გამოყენების შემთხვევაშიც. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ

განახლებული სახელმძღვანელოს კონცეფციაში ჩვენ აღნიშნული პერიოდი გავზარდეთ, რადგან, თუ ფლეშის მოსწავლეები ე.წ. მშობლიურ ენაზე მოლაპარაკენი არიან, ჩვენი მოსწავლეებისათვის ინგლისური უცხოური ენაა. მიუხედავად იმისა, რომ დროთა განმავლობაში ქართველი მოსწავლეები სულ უფრო და უფრო ადრეული ასაკიდან არიან "exposed to English language", ჩვენ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებიდან გამომდინარე (სახელმძღვანელოს პილოტირების შედეგები, გამოკითხვის მონაცემები, ექსპერტთა და პედაგოგთა რეკომენდაციები), მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, წერა-კითხვის სწავლების პირველი ეტაპი გაგვეხანგრძლივებინა (დაახლოებით 10-12 კვირა).

ამერიკელი ბავშვების მიერ კითხვის უნარის განვითარების პროცესში გაჩენილ სირთულეებს ფლეში საკმაოდ მარტივად წყვეტს. "What I suggested was very simple: go back to the ABC's teaching. Teach children the 44 sounds of English and how they are spelled. Then they can sound out each word from left to right and read it off the page." - განმარტავს ფლეში. (27, viii) ფლეში ცალსახად მიანიშნებს ფონიქსის მეთოდზე და დეტალურად განიხილავს ამ მეთოდით სწავლების ტექნიკას. "With phonics - first, you teach a child to read the word *fish* by telling him about the sounds of *f* – "ff" – *i* – short i - and *sh* – "sh". Then you tell him to blend the sounds from left to right to read the word: "fish". (Ibid) ფლეშის, ფეიველის და მის ელის (მაკმილანის ვიდეო გაკვეთილები) ინსტრუქციებს შორის პირდაპირი პარალელი შეგვიძლია გავავლოთ. იქვე ფლეში აღწერს, როგორ მიმდინარეობს სწავლების პროცესი "შეხედე და წარმოთქვი" ("look and say") მეთოდის გამოყენების პირობებში. მაგალითად მას მოჰყავს კვლავ სიტყვა "fish". "To teach the word by the "look and say" system, you give the child a picture of a fish with *fish* printed underneath and encourage him to memorize the group of letters that make up *fish*. Then you print the word again and again and hope the child will remember what the word *fish* looks like and what it means. You do the same thing, more or less, with the many thousands of other English words". (Ibid) მაგრამ ფლეშისათვის ასეთი მიდგომა კითხვა კი – არა, სიტყვების გამოცნობაა. მას მიაჩნია, რომ ამერიკელი მოსწავლეების უმრავლესობა, კითხვის სწავლების ნაცვლად, სიტყვების გამოცნობითაა დაკავებული, რაც

მნიშვნელოვნად აფერხებს მათში კითხვის ჩვევების ჩამოყალიბებას და ამ ჩვევების შემდგომ განვითარებას. “Ever since 1500 B.C. – wherever an alphabetic system of writing was used – people have learned to read by simply memorizing the sound of each letter in their alphabet. Except 20th century America. We have thrown 3500 years of civilization out the window”. (27, ix)

წიგნის პირველ თავში, ფლეში მიმართავს თავისი მოსწავლის, ჯონის დედას, რომელიც შეწუხებულია შვილის კითხვის უნარის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემებით, რაც საგრძნობლად აფერხებს ჯონის აკადემიურ მოსწრებას, და ამიტომაც სთხოვს ფლეშს დახმარებას. მას შემდეგ, რაც მის მიერ შერჩეული მეთოდის გამოყენების საშუალებით ჯონი წარმატებით გადალახავს პრობლემებს, ფლეში გადაწყვეტს, გააშუქოს ამერიკის სკოლებში კითხვის სწავლების თვალსაზრისით შექმნილი მძიმე ვითარება და, პრობლემის ჩამოყალიბებასთან ერთად, დასახოს მათი უმტკივნეულოდ გადაჭრის გზა. რასაკვირველია, ფლეშის მიმართვა და მისი ნაშრომი მხოლოდ ჯონის მშობლებისათვის როდია განკუთვნილი. ფლეში, ზოგადად, აყალიბებს ამერიკაში გავრცელებული კითხვის სწავლების პრაქტიკის სისუსტეებს და კონკრეტულ რეკომენდაციებსა და რჩევებსც გვაძლევს, თუ როგორ გადავჭრათ პრობლემები. ფლეში საგანგებოდ აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ მისი მოსაზრებები და იდეები ფართომასშტაბიან კვლევასა და პრაქტიკულ გამოცდილებას ეფუძნება, რამაც ის საბოლოოდ დაარწმუნა თავისი მიდგომისა და, შესაბამისად, შერჩეული მეთოდის მართებულობაში. “Since I started to work with Johnny, I have looked into this whole reading business. I worked my way through a mountain of books and articles on the subject. I talked to dozens of people, and I spent many hours in classrooms, watching what was going on. What I found is absolutely fantastic. The teaching of reading - all over the United States, in all schools, in all the textbooks – is totally wrong and flies in the face of all logic and common sense. Johnny could not read until half a year ago for the simple reason that nobody ever showed him how”- წერდა რუდოლფ ფლეში (27, 1)

ფლეში დარწმუნებულია, რომ არის კითხვის სწავლებისა და სწავლის ერთადერთი სწორი, ბუნებრივი სისტემა, რომელიც რადიკალურად განსხვავდება იმ დროს ამერიკაში უზომოდ პოპულარული "look and say" მეთოდისგან. მისთვის, კითხვა ასოთა გარკვეული შეთანხმებებისაგან აზრის გამოტანის უნარია. თუ ბავშვს ვასწავლით, რომელ ბგერას ან ბგერათა შეთანხმებას შეესაბამება თითოეული ასო, საკამაოდ მოკლე დროში ის გამართულ კითხვას ისწავლის. ფლეშს გულწრფელად უკვირს, რატომ უარყვეს საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული და ნაცადი გზა. "There are all sorts of systems of translating spoken words into a series of symbols so that they can be written down and read back. Now the way to learn any such system is to learn to write and read it at the same time. And how do you do that? The obvious answer is, by taking up one symbol after another and learning how to write it and how to recognize it. Once you are through the whole list of symbols, you can read and write; the rest is simply practice – learning to do it more and more automatically." (27, 3)

აღსანიშნავია, რომ ფლეშის წიგნის (რომელიც, ავტორის აღწერით, შედგება ორი ნაწილისაგან) პირველი ნაწილი თეორიულ მსჯელობასა და ფონიქსის მეთოდის გამოყენების მიზაშეწონილობასთან დაკავშირებულ მოყვანილ არგუმენტებს ეთმობა, ხოლო მეორე - პრაქტიკული რჩევების/ინსტრუქციებისა და კითხვის სწავლების სავარჯიშოების ნაკრებს. ეს უკანასკნელი ინგლისურენოვანი ბავშვების იმ მშობლებისთვისაა განკუთვნილი, რომლებსაც სურთ, რომ მათმა შვილებმა, რაც შეიძლება იოლად და, თანაც, ეფექტიანად ისწავლონ წერა-კითხვა მშობლიურ ენაზე. ფლეში დაუფარავად ამბობს, რომ ამერიკელები ისე იქცეოდნენ, თითქოს " a beginning reader were learning a foreign language. But, independent studies have proved that the average child comes to school with a speaking and listening vocabulary of about 24, 000. Learning to read is simply learning a system of notation for the language the child already knows". (27, viii)

თუმცა, ზემოთთქმული ეხება მხოლოდ ინგლისურენოვან მოსწავლეებს, ანუ

მათ, რომელთათვისაც ინგლისური მშობლიურია, და გამოუსადეგარია იმ მოსწავლეებისთვის, რომელთათვისაც შესასწავლი ენა – ინგლისური - არ არის მშობლიური. სწორედ იმიტომ დაიწუნეს "გრაფონიქსის" სახელმძღვანელო პირველი გრიფირების დროს, რომ მოსწავლეები პირდაპირ, შესავალი აუდირების/მოსმენის გარეშე, იწყებდნენ წერა-კითხვის სწავლას. ჩვენ გავითვალისწინეთ განათლების სამინისტროს ექსპერტების შენიშვნა და მომდევნო სახელმძღვანელოები ორ ეტაპად დავყავით. პირველ ეტაპზე მოსწავლეები უცხო ენას ეცნობიან და ეგუებიან მოსმენისა და მოსმენილი მასალის ზეპირად გამეორების საშუალებით, ხოლო მეორე ეტაპზე გრაფონიქსის მეთოდით იწყებენ წერა-კითხვის შესწავლას. ამრიგად, ჩვენ, "ფონიქსის" სახელმძღვანელოების (*Phonics Starter, Phonics Elementary)* ქართველმა ავტორებმა, გავითვალისწინეთ ის გარემოება, რომ ფონიქსის მეთოდის მხარდამჭერები, ძირითადად, ამ მეთოდის ეფექტიანობას ე.წ. "native speaker" მოზარდებისათვის წერა-კითხვის სწავლების პროცესში განიხილავენ. ამიტომ, "ფონიქსის" სახელმძღვანელოების შექმნისას შევეცადეთ, მაქსიმალურად გაგვეთვალისწინებინა ის ფაქტი, რომ უცხოელი მოზარდები გაცილებით რთულ ვითარებაში არიან: არ გააჩნიათ ის მდიდარი ლექსიკური მარაგი, რომელიც მათ ინგლისურენოვან თანატოლებს ბუნებრივად აქვთ შეთვისებული. ჩვენს მოსწავლეებს თავიანთი ინგლისურენოვანი თანატოლებისაგან განსხვავებულ გარემოში უწევთ უცხოური ენის შესწავლა. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქართველ მოსწავლეებს უფრო და უფრო მეტი კავშირი აქვთ ინგლისურ ენასათან (იქნება ეს კომპიუტერი, სატელევიზიო გადაცემები, ფილმები, ცოცხალი ურთიერთობა თუ უცხოეთში მოგზაურობა).

2.5 დასავლეთში ფონიქსის მეთოდის გამოყენების ზოგადი ტენდენციები; ფონიქსი - აზრთა სხვადასხვაობა

შეუძლებელია, ერთმა ნაშრომმა ის უამრავი მოსაზრება, შეხედულება და თეორია მოიცვას, რომლებიც გამოითქვა ფონიქსის მეთოდის გარშემო მისი შექმნიდან დღემდე. 2008 წელს საკუთარ ბლოგზე გამოქვეყნებულ წერილში მწერალი ბილ შნარი იუმორით ეხმიანება ფონიქსის მეთოდით სწავლებასთან დაკავშირებულ ვნებათაღელვას... "Did you know that one of the most politicized debates going on right now across the country isn't security, the war on terror, or even the abortion debate? This debate has caused the death of many political careers while at the same time launched others into the stratosphere. As you read this, there are people in just about every corner of the country taking up arms for the side they believe in. So just what is it that has made everyone so angry and polarized? What could be so important that millions of people are ready and willing to tirelessly fight for their side? It's children's literacy. Surprised? Children's literacy, and more importantly the Phonics vs. Whole Word debate, is one of the most politically charged campaign platforms a politician can use. In their quest for votes, more than a few politicians have become casualties in what has been dubbed the "Reading Wars". (67)

ზოგადად, ფონიქსთან მიმართებით, პირველ ყოვლისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ვსაუბრობთ იმ ენის სწავლებაზე, (ამ შემთხვევაში, ვგულისხმობთ ინგლისურს), რომლის მართლწერის სისტემა ანბანურ პრინციპს ეფუძნება. ფონიქსის მიდგომა კითხვის სწავლებისადმი ეყრდნობა ინგლისური მართლწერის ანბანურ სისტემას: სიტყვებში წარმოდგენილი ასო-ბგერები, თუმცა ყოველთვის არა უნაკლო, მაგრამ მაინც კარგ მეგზურობას გვიწევს წარმოთქმისას. დამწერლობის ადრეული სისტემები არ იყო ანბანური. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ანბანურ პრინციპზე დაფუძნებული სისტემები ყოველთვის იდეალურად როდია მორგებული სამეტყველო ენას. ადრეულ დამწერლობებში გამოიყენებოდა ნახატები, მაგრამ აშკარაა, ამგვარი სისტემები არც თუ ისეთი გამოსადეგია რთული იდეების გადმოსაცემად, რადგან ისინი, ძირითადად, საგნების გამომხატველი ნახატებით იფარგლება. ჩინელები გამოიყენებდნენ ე.წ.

ლოგოგრაფულ დამწერლობას, რომელშიც ცალკეულ სიტყვას გამოხატავს ერთი ნიშანი და ამ ნიშანთა გარკვეული თანამიმდევრობა ქმნის წინადადებას. ანბანური დამწერლობის სისტემებიც იმავე პრინციპითაა აგებული, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ სიტყვებში არსებული ცალკეული ბგერები (ფონემები) გამოიხატება შესაბამის ასოებით, ასოთა ჯგუფები კი ქმნის სიტყვებს. ბგერებზე დაფუძნებული დამწერლობის ადრეულ სისტემებში ასოები მარცვლებს გამოხატავდა/წარმოადგენდა. ჭეშმარიტად ანბანური პრინციპით აგებული პირველი ანბანი ბერძნულია. ბერძნულში თითოეულ თანხმოვანსა და ხმოვანს, ანუ ზეპირმეტყველებაში არსებულ ფონემებს შესაბამისი ასო ეთანადებოდა. იგივე ვითარებაა ინგლისურ ენაშიც. ინგლისური ანბანის დაუფლება საშუალებას მოგცემთ, წაიკითხოთ თქვენთვის უცნობი სიტყვებიც. (36, 3)

სხვათა შორის, ფონიქსის მეთოდისა და ინგლისურის სწავლების ჰოლისტური მიდგომის მთავარი განმასხვავებელი საკითხი სწორად ისაა, წერა-კითხვის სწავლების რომელი საფეხურიდან უნდა გავუმახვილოთ ყურადღება მოსწავლეებს ინგლისური მართლწერის ანბანურ ბუნებაზე. “There has long been a debate about whether children need to be taught that the English spelling system is alphabetic. Early approaches to teaching reading traditionally involved learning letter names or letter sounds (the latter being a major element of the phonics approach). However, a view developed that the phonics approach undermines children’s ability to understand what they are reading (Adams, 1990, Chapter 2). The whole language approach to reading developed because of these concerns and also because of a change towards a child-centred educational philosophy. This development was very much influenced by the work of Piaget, who proposed that children were active learners, who constructed knowledge for themselves. These ideas were then applied to reading, although Piaget did not specifically address learning to read in his research, which was largely about the development of logical thinking. According to the whole language view that developed, reading should be meaning based. An unfamiliar word was to be identified as a whole unit by inferring its meaning from the context, or even through picture cues, rather than the ‘bottom up’ approach of applying phonic knowledge to letters and letter sequences to decode

words.” (36, 4)

თუმცა, როგორც გამოცდილება გვაჩვენებს, ანბანურ სისტემაზე დაფუძნებულ მართლწრის სისტემებსაც სირთულეები ახლავს. ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ზუსტად ასახავენ/გადმოსცემენ ასოები შესაბამის ბგერებს. თუ ქართულ, იტალიურ და, ვთქვათ, ფინურ ენებში თითქმის სრული შესაბამისობაა ასო-ბგერებს, ანუ ბგერების ფონეტიკურ და გრაფიკულ ვარიანტებს შორის, ინგლისური, ამ მხრივ, შედარებით პრობლემური ენაა. “In some languages, notably Spanish, Finnish and Italian, the links between sounds and letters are very consistent – what you see is what you say. In English, the connections between sounds and letters have been affected by historical events and long-term changes in speech and pronunciation. As a result, phonics work most, but not all of the time, and we have to adapt our brain to interpret what letters tell us rather than simply translate letters into sounds and vice versa. This means that we need to take care in presenting phonics, so that children do not become confused when they come across words in which the letters do not behave as expected.” (8, 2)

ჩვენი ნაშრომის მიზანი სწორედ იმის დამტკიცებაა, რომ, წარმოთქმასა და მართლწერაში არსებული გამონაკლისების შემთხვევაშიც კი, შესაძლებელია, აღნიშნული სირთულეები ფონიქს-გრაფონიქსის მეთოდების ინტეგრირებულად გამოყენების საშუალებით წარმატებით გადავლახოთ და სწავლის პროცესი უმტკივნეულოდ და ხალისიანად წარვმართოთ. ეს უდავოდ დაგვეხმარება სასურველი მიზნის - ინგლისურ ენაზე წერა-კითხვის სწრაფი და, იმავდროულად, საფუძვლიანი დაუფლების –მიღწევაში.

როგორც, მომდევნო თავში განხილული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, აშკარაა, რომ წერა-კითხვის შესწავლის საწყის საფეხურზე გამოყენებულ მეთოდებს შორის ფონიქსი უპირატესობით სარგებლობს. მისი უგულებელყოფა კი ფრიად ნეგატიურად აისახება მოზარდებში წერა-კითხვის უნარის განვითარებაზე.

თავი 3. ფონიქსის მეთოდის მოდიფიკაცია - გრაფონიქსი - ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში

3.1 გრაფონიქსის მეთოდი

3.1.1 გრაფონიქსის მეთოდის განსაზღვრება

“გრაფონიქსის მეთოდი” (“*Graphonics*”) ინგლისური ენის, როგორც უცხოური ენის, შესწავლის საწყის ეტაპზე ბგერებისა (ფონემების) და მათი გრაფიკული გამოსახულებების - ასოების (გრაფემების) ერთდროულ და სწრაფ ათვისებას გულისხმობს .

აღნიშნული მიზნის მისაღწევად მოსწავლეები, პირველ ყოვლისა, ეცნობიან და შეისწავლიან იმ მარტივ, მოკლე ხმოვნებსა და ძირითად თანხმოვნებს, რომელთა წარმოთქმის (sounding out) ვარიანტი მათ წერილობით, გრაფიკულ გამოსახულებასთან მაქსიმალურად თანხვედრილია. მეთოდის მთავარი პრინციპის - ერთი ასო - ერთი ბგერა (ჰარტი) - გათვალისწინებით, მოსწავლეები ინგლისური ასო-ბგერების გაცნობა-დასწავლისას არ მისდევენ ანბანური თანამიმდევრობის პრინციპს ანუ, ტრადიციისამებრ, კი არ იზეპირებენ ასოების სახელწოდებებს a [ei], b [bi], c [si], d [di]... (ჰარტი, ფეიველი), არამედ, როგორც უკვე აღინიშნა, ჯერ იმ ასო-ბგერებს ეცნობიან, რომელთა ფონოლოგიური და გრაფიკული ვარიანტი თითქმის იდენტურია.

ამრიგად, სწავლების პირველ ეტაპზე წარმოდგენილია მოკლე ხმოვნები o [o], i [ɪ], e [e], a [ə], [æ]... და თანხმოვნები d [d] , g [g] , b [b] , p [p] , l [l], t [t], f [f], h [h], n [n], m [m], v [v], r [r], z [z]. თანხმოვნების შერჩევისას სასურველია ისეთი წყვილების შერჩევა, რომელთა გრაფიკული ვარიანტები მსგავსი კონტურული მონახაზით იწერება (მაგ., d და b; t და l; n და m...).

ფონიქს-გრაფონიქსის საკვანძო ასპექტია მოსწავლეებისათვის არა მხოლოდ ფონოლოგიური გაცნობიერებულობის განვითარება (იხ. ნაშრომის გვ. 121)**, არამედ მათში ნასწავლი ბგერების მარცვლებად და სიტყვებად შერწყმის (blending sounds into syllables and into words) უნარის ჩამოყალიბება.**

ასო-ბგერებს, ფაქტობრივად, პირველი გაკვეთილიდანვე საილუსტრაციოდ ახლავს შესაბამის გაკვეთილში წარმოდგენილი შესასწავლი ბგერებისაგან შედგენილი მოკლე სიტყვები, რომელთა გრაფიკული ვარიანტი მაქსიმალურად ემთხვევა მათ ფონეტიკური ვარიანტს (ანუ რომლებიც ერთნაირად იწერება და იკითხება), - მაგალითად, *dog, log, tin, pin, bin, hen, pen* - რაც გრაფონიქსის მეთოდით სწავლების მთავარი მოთხოვნაა. წერითი უნარების გასავარჯიშებლად, შესაძლებელია, "nonsene syllables" გამოყენება (*dod, lol, pip...*).

ათვისებული ასო-ბგერების გარკვეული რაოდენობა საშუალებას მისცემს მასწავლებელს, რომ მან ბავშვებს უკვე ნასწავლი სიტყვები წინადადებებად გააერთიანებინოს, ხოლო შემდეგ ნაცნობი წინადადებებისაგან შედგენილი მოკლე, სახალისო ტექსტები წააკითხოს/გააცნოს. მაგალითად, როდესაც პირველ გაკვეთილებში მოსწავლეები აითვისებენ მოკლე ხმოვნებს *o, i, a, e* და თანხმოვნებს *d, g, b, f, l, t, p, r, k. J,* მათ საშუალება ეძლევათ წაიკითხონ სიტყვები dog, log, frog, bog, hop, pig, ... შემდეგ სიტყვათა შეთანხმებები მაგ., *big pig, hot pot, red hen* ...შემდეგ ჯერ უზმნო ფრაზები მაგ., *A dog on a log* და მოკლე ინსტრუქციები *Sit! Stop!* ფრაზების შემდეგ კი ჯერ მარტივი წინადადებები მაგ., *A dog is on a log; A big pig is pink,* ხოლო შემდეგ, მომდევნო ასო ბგერების შესწავლასთან ერთად, ოდნავ რთული, გრამატიკული სტრუქტურების შემცველი წინადადებები მაგ., *It is a big pig; It is a big pig in a pink wig; It is a red fox; It is a red fox in a pink box.* რამდენიმე გაკვეთილში კი მოსწავლეები უკვე შესძლებენ შესწავლილი ლექსიკური მარაგის გამოყენების საშუალებითი შედგენილი მოკლე, გაბმული ტექსტის წაკითხვას *A dog is on a log. A big frog is in a bog. The frog hops on the log. The big frog is on the log. The dog is in the bog.*

რასაკვირველია, ძალზე მნიშვნელოვანია ასათვისებელი მასალის ვიზუალურად, რაც შეიძლება, ეფექტურად წარმოდგენა, რომ ბავშვებმა არ მოადუნონ ყურადღება, მათ არ განუვითარდეთ მობეზრების სინდრომი. (იხ. დანართი 3). გარდა სახელმძღვანელოში არსებული ვიზუალური მასალისა (სასურველია განსხვავებული ტექნიკის გამოყენება: ნახატი, პლასტელინისაგან გამოძერწილი ფიგურები, თოჯინები, ფოტოსურათები (იხ. დანართი 4)), აუცილებელია სასწავლო კურსის სახელმძღვანელოს კომპლექტში შედიოდეს დასურათებული ბარათები (flash cards) და პოსტერები. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნახატებით გადატვირთულმა მასალამ და მჭახე ფერთა გამამ, შეიძლება, მოსწავლეების ყურადღება შესასწავლი მასალიდან მხოლოდ ვიზუალურ ეფექტებზე გადაიტანოს, რაც ისევე საზიანოა სასწავლო პროცესისათვის, როგორც ერთფეროვნება და მოსაწყენი გაკვეთილები.

გრაფონიქსის კიდევ ერთი თავისებურება ისაა, რომ თავდაპირველად მოსწავლეები პატარა ასოებს ეცნობიან და მხოლოდ ამის შემდეგ სწავლობენ მთავრულ, დიდ ასოებს. ამას განაპირობებს ინგლისური ენის თავისებურება - მთავრული და პატარა ასოები, რამაც, თავდაპირველად, შესაძლოა, დააბნიოს ქართველი ბავშვები, ქართულ ანბანში ამგვარი გრაფიკული დაყოფის არ არსებობის გამო. სხვათა შორის, ჰარტის ორთოგრაფიული რეფორმის განხილვისას ამ საკითხზეც ვისაუბრეთ. როდესაც, მოსწავლეები მოკლე ფრაზების წაკითხვას დაიწყებენ, მაშინ თანდათან გაეცნობიან შესწავლილი ასოების მთავრულ ვარიანტებსაც.

ამრიგად, სწავლების პირველი ეტაპის დაძლევის (მოსწავლეები გაეცნენ და აითვისეს მოკლე ხმოვნებისა და თანხმოვნების დიდი ნაწილი, მათ ნაწილობრივ შეაჩვიეს "ყური, ენა და თვალი" ინგლისურ ბგრებსა და ასოებს) შემდგომ მოსწავლეები გაივლიან შუალედურ ეტაპს, რომლის განმავლობაშიც ისინი გაეცნობიან და შეისწავლიან მარტივ, მაგრამ ხშირად ქართულისთვის უცხო ბგერებს, როგორიც არის მაგალითად x სიტყვებში *fox, box,* c სიტყვებში *cat*, w სიტყვებში *wet, wig*, q სიტყვებში *quilt*, y სიტყვაში yes.

ე.წ. შუალედური ეტაპის ბოლოს მოსწავლეები უკვე იცნობენ ინგლისურ ანბანს. ამ ეტაპზე ანბანის სრული ვარიანტის საილუსტრაციოდ, ძირითადად, ის სიტყვებია შერჩეული, რომელთა წარმოთქმის ვარიანტი მოზარდებმა აითვისეს გრაფონიქსით სწავლების პირველ, კერძოდ, პირველ და შუალედურ ეტაპებზე:

A a	ant	J j	jet	S s	six
B b	box	K k	king	T t	tin
C c	cat	L l	log	U u	unicorn
D d	dog	M m	mop	V v	vest
E e	egg	N n	net	W w	wig
F f	fox	O o	ox	X x	axe
G g	grass	P p	pot	Y y	yak
H h	hen	Q q	quilt	Z z	zip
I i	ink	R r	ring		

შემდეგ მოსწავლეები იწყებენ გრაფონიქსის მეთოდის მეორე ეტაპს, რომლის განმავლობაში ისინი გრძელ ხმოვნებსა ([ɑ:] *car,* [ɪ:]*bee,* [ʊ̈] *moon* [ɔ:] *ball*) და იმ ბგერებს ითვისებენ, რომლებიც შემდეგი ტიპის დიგრაფებით გამოიხატება: *th* [θ] [ð] *thin, this; sh* [ʃ] *ship; ch* [tʃ] *chin.* აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გრძელი ხმოვნების გაცნობის პარალელურად მოსწავლეები იმეორებენ უკვე ნასწავლ მოკლე ხმოვნებს, ე.წ. კონტრასტული/ შეპირისპირებითი მეთოდით (მაგ., tree – fig; bee - pig) და შეისწავლიან ისეთ მოკლე ხმოვნებს, როგორებიცაა [ʊ] და [ʌ] სიტყვებში book და bus. სწავლის პროცესში მოსწავლეები საფუძვლიანად ეცნობიან ინგლისური ენის წარმოთქმასა და ორთოგრაფიისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს.

როგორც უკვე არაერთხელ აღვნიშნეთ, გრაფონიქსის მეთოდი ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა სწავლების საწყის, პირველ საფეხურზე, როდესაც

მოსწავლეები წერა-კითხვის უნარების დაუფლებას იწყებენ, რაც, თავისთავად, გულისხმობს ინგლისური ანბანის შესწავლას. ალბათ, ინდივიდუალური მიდგომა განსაზღვრავს, საჭირდებათ თუ არა დამწყებ მოსწავლეებს ერთგვარი შესავალი კურსი, რომლის საშუალებითაც ისინი თანდათანობით გაეცნობიან ინგლისურ ენას. ამ შემთხვევაში, რასაკვირველია, იგულისხმება აუდირება. რა თქმა უნდა, გრაფონიქსის მეთოდით მეცადინეობა თავისთავად გულისხმობს სწავლების განმავლობაში ინტესიურ აუდირებას: მოსწავლეებში სწორი წარმოთქმის განვითრებისა და დახვეწის, ასევე, ასათვისებელი მასალის შესწავლისა და უკვე ათვისებული მასალის განმტკიცების მიზნით, მასწავლებელი აქტიურად გამოიყენებს გრაფონიქსის მეთოდზე დაფუძნებული სახელმძღვანელოების კომპლექტში შემავალ შესაბამის აუდიომასალას. ასევე, მოსწავლეები მაქსიმალურად უნდა წავახალისოთ, რათა ჩანაწერებს გაკვეთილების შემდეგაც მოუსმინონ. თუმცა, ამჯერად შესავალ კურსში ვგულისხმობთ იმას, რომ მოსწავლეები მიეჩვიონ ინგლისური ენის ჟღერადობას და დააგროვონ გარკვეული ლექსიკური მარაგი აუდიო-ვიზუალური საშუალებებით, ვიდრე ზემოხსენებული უნარების - კითხვისა და წერის შესწავლას გრაფონიქსის მეთოდის დახმარებით დაიწყებენ. რა თქმა უნდა, თუ მოზარდებისათვის ინგლისური სრულიად ახალი ენაა, ანუ მათ სკოლამდელ ასაკში (ბაღში) არ უსწავლიათ ინგლისური, აუცილებელია მათი "ყური" და, სავარაუდოდ, "თვალიც" ამ ენას მიეჩვიოს. გასათვალისწინებელია, რომ დღეს ინგლისური ენა საკმაოდ პოპულარულია და სულ უფრო და უფრო ფართოდ ვრცელდება საქართველოში. ამიტომ, ჩვენი ბავშვები, რომლებსაც ადრეული ასაკიდანვე "ესმით" ინგლისური, და, შესაბამისად, თავისდაუნებურად განიცდიან ამ ენის გავლენას - "exposed to English language" (ვგულისხმობთ ტელევიზიას (ფილმები, ახალი ამბები, მულტიპლიკაციური ფილმები, სიმღერები), კომპიუტერულ თამაშებს, ხშირ ურთიერთობას ინგლისურენოვან თანატოლებთან (შერეული სკოლები, ბაღები), შესაძლოა, არც კი სჭირდებოდეთ ხსენებული მოსამზადებლი/წინასწარი აუდირება. და თუ ისინი ინგლისურის შესწავლას პირდაპირ გრაფონიქს-ფონიქსის მეთოდების გამოყენებით დაიწყებენ, ნამდვილად არ შეექმნებათ რაიმე განსაკუთრებული სირთულე. ცალკე განხილვისა და კვლევის საგანია, სკოლაში სწავლების რომელ საფეხურზე -

პირველი კლასიდანვე, თუ სწავლების მეორე წელს - უნდა დაიწყონ მოსწავლეებმა ინგლისურად წერა-კითხვის შესწავლა.

ყურადღება გვინდა გავამახვილოთ მოსწავლეთათვის გამონაკლისების გაცნობის საკითხზე. სამწუხაროდ, მეთოდის "წმინდა" სახით გამოყენება, ფაქტობრივად, შეუძლებელია., ბავშვებისათვის გამონაკლისების გაცნობა და ახსნა ნებისმიერ შემთხვევაში გვიხდება. ამ პრობლემის წინაშე დადგა ყველა ის სპეციალისტი, რომელმაც აირჩია ინგლისურის სწავლების ფონიქს-გრაფონიქსის მეთოდი, როგორც ინგლისურენოვან, ისე არაინგლისურენოვან მოსწავლეთათვის. ჩვენ გავიზიარეთ გამოცდილი ექსპერტების გამოცდილება და რეკომენდაციები, რომ გამონაკლისები მოსწავლეებს თანდათან და, ამავდროულად, სისტემურად უნდა გავაცნოთ. ზემოთ, ნაშრომის ქვეთავში (2.5), რომელშიც საუბარია დასავლეთში ფონიქსის გამოყენების ზოგად ტენდენციებზე, ჩვენ გაგაცანით ფონიქსის მეთოდის უბადლო სპეციალისტის, ბოლდის მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ბოლდი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ფონიქსით სწავლებისას მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, არ დავაბნიოთ ჩვენი მოსწავლეები, როდესაც მათ შეხვდებათ ისეთი სიტყვები, რომელთა ფონოლოგიური და გრაფიკული ვარიანტები განსხვავებულია. (8, 2) დაუშვებელია ხსენებული გამონაკლისების უგულებელყოფა. პირიქით, მოსწავლეებს აუცილებლად უნდა გავუმახვილოთ ყურადღება ამგვარ გამონაკლისებზე და შემდგომ, გამეორების საშუალებით, განვუმტკიცოთ ცოდნა. უცხოელი კოლეგების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ინგლისური ენის ორთოგრაფიისა და წარმოთქმისათვის დამახასიათებელმა შეუსაბამობებმა, შესაძლოა, მოსწავლეები დააბნიოს და მათში ფონოლოგიური გათვითცნობიერებულობის პროცესი შეაფერხოს. "We need, above all, to be careful in what we say, so that we do not lead learners to think that the language is more regular than it really is. It is important to take care not to use absolute statements, unless we are completely sure that they are right. If we use, from the beginning, phrases such as 'usually', 'most of the time' or 'nearly always', we help children build up the idea that phonics are likely to help, but do not give any false guarantees. The importance of these qualifying statements is often greatest when children are reading on their own or at home, where the teacher is not on

hand to provide prompts. Learners can't know in advance whether a word is regular or not, or even when letters are used in combinations, and they need to be prepared for the times when phonics don't work." (8, 4)

ქვემოთ განვიხილავთ ფონიქს-გრაფონიქსის მეთოდების ინტეგრირებული გამოყენების საფუძველზე შექმნილ ჩვენს სახელმძღვანელოებს. ვნახავთ, რომ ფონეტიკურ-გრაფიკული თანხვედრის პრინციპი მოსწავლეთათვის გრამატიკული მასალის (მეტყველების სხვადასხვა ნაწილი: არსებითი სახელი, ზმნა, ზედსართავი, ნაცვალსახელი, რიცხვითი სახელი, თანდებული, კავშირი), თემატური ლექსიკისა და მარტივი კომუნიკაციისათვის საჭირო ფრაზების სწავლების პროცესში ნამდვილად არ გვზღუდავს, მათი ასაკის და მათთვის შესაფერისი სწავლების საფეხურის შესაბამის დონეზე.

მნიშვნელოვანია მეთოდის გამოყენების ხანგრძლივობა. სხვებთან შედარებით, გრაფონიქსის მეთოდის მთავარი უპირატესობა მისი სიმარტივე (მოსწავლეები, შეძლებისდაგვარად, იოლი და გასაგები ინსტრუქციების საშუალებით ეუფლებიან წერა-კითხვას) და სისწრაფეა. მასალის შემოტანის ეტაპობრივი და თანდათანობით გართულების კარგად ორგანიზებული ხასიათი/საშუალება განაპირობებს იმას, რომ მოსწავლეებმა საკმაოდ მცირე დროში დაიწყონ წერა-კითხვა. ჩვენს მეთოდზე დაფუძნებული სახელმძღვანელოებით სწავლების შემთხვევაში, ერთი სასწავლო (აკადემიური) წელი სრულიად საკმარისია ინგლისური ანბანის, ინგლისურ ენაზე მარტივი სიტყვების, წინადადებებისა და მოკლე ტექსტების კითხვა - წარმოთქმის, მარტივი საუბრის (კითხვის დასმა, პასუხის გაცემა), ინგლისურად წერის შესასწავლად. შემდგომ სწავლის გაგრძელება შესაძლებელია ნებისმიერი სახელმძღვანელოთი, ეს მასწავლებლის გადასაწყვეტია, რომელ მიდგომასა თუ მეთოდზე დაფუძნებული სახელმძღვანელოებით გააგრძელებს სწავლებას. თუმცა, უნდა ითქვას, რომ სწავლების შემდგომ ეტაპებზეც მიზანშეწონილია მოსწავლეთა ყურადღების გამახვილება ინგლისური ენის წარმოთქმისა და მართლწერის თავისებურებებზე, რათა მათ დასაწყისში მიღებული ცოდნა და ინფორამცია გამუდმებით განიმტკიცონ. ეს, თავის მხრივ, მყარი გარანტია იმისა, რომ

მოსწავლეები საფუძვლიანად, აკადემიურად დაეუფლებიან ინგლისურ ენას და შეძლებენ მის გამოყენებას არა მხოლოდ ელემენტარული ინფორმაციის მოპოვება-გადაცემის, არამედ ინგლისურენოვან გარემოში, აკადემიურ სამყაროში სწავლისა და მუშაობის პროცესშიც.

3.1.2 მეთოდის შემუშავებისა და მასზე დაფუძნებული სახელმძღვანელოების შექმნის წინაპირობები

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში საქართველოში არ არსებობდა უცხოური ენების, კერძოდ კი, ინგლისური ენის საქართველოში შემუშავებული სასწავლო პროგრამები. სახელმძღვანელოების დიდი ნაწილის მსგავსად, სასწავლო პროგრამის ტიპის სასწავლო გეგმებიც იწერებოდა მოსკოვში, შემდეგ კი ხდებოდა მათი უცვლელად გადმოტანა. 1989 წელს, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სკოლებში ენების შესწავლის სფეროში სრულმა ანარქიამ დაისადგურა. საერთოდ არ იყო განსაზღვრული, ვინ რას ასწავლიდა და როგორ. (იხ. დანართი 11, ინტერვიუ მარინა ჩხიკვაძესთან - პრაქტიკოსი მასწავლებელი, ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის თანამშრომელი და, ამასთანავე, ინგლისური პროგრამების ხელმძღვანელი 2004 წლიდან).

საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოები, ძირითადად, გრამატიკული მასალის შესწავლაზე იყო აგებული; მოცემული იყო ტექსტები თანამდევი სავარჯიშოებით (უმთავრესად, ტექსტის გარშემო დასმული კითხვები), ასევე, გრამატიკული ცოდნის შესამოწმებელი სავარჯიშოები და სათარგმნი. სასწავლო მეთოდად არჩეული იყო გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი (grammar-translation method). მოსმენის უნარის განვითარება სრულიად უგულებელყოფილი იყო. სახელმძღვანელოებში არ იყო მოსასმენი სავარჯიშოები და, შესაბამისად, მათ არ ახლდა აუდიო ჩანაწერები. ყურადღება არ ექცეოდა საუბრის უნარის განვითარებას. ე.წ. საშინაო კითხვის ტიპის ტექსტები დესკრიპტული ხასიათისა იყო. მასწავლებელი სთხოვდა მოსწავლეებს ტექსტების, ფაქტობრივად, დაზეპირებას. წერის უნარის განვითარების კუთხითაც არ იყო სახარბიელო ვითარება. წერაში იგულისხმებოდა სავარჯიშოების წერა (კითხვით-უარყოფით ფორმაში გადაყვანა (დრილინგის ტიპის), თარგმანი. თემების წერა მხოლოდ ეროვნული გამოცდების შემოღების შემდეგ (2003 წელი) გახდა აუცილებელი. სახელმძღვანელოები შავ-თეთრი იყო. დამხმარე ვიზუალური საშუალებები

ნაკლებად გამოიყენებოდა. გაკვეთილის წარმართვის პროცესიც საკამოდ ერთფეროვანი იყო. გაკვეთილის მსვლელობისას უგულებელყოფილი იყო თითოეული მოსწავლის სწავლის პროცესში ჩართულობის მომენტი. მასწავლებლის ყურადღება, ძირითადად, მიმართული იყო მხოლოდ დაფასთან მოპასუხე მოსწავლისკენ. მთლიანი ჯგუფის ჩართულობას ხელს არ უწყობდა არც სახელმძღვანელოების ფორმატი და არც გაკვეთილის ჩატარების დამკვიდრებული სტილი.

საქართველოს განათლების სისტემაში რეფორმების და აქტიური გარდაქმნის პროცესი 2004 წელს დაიწყო, როდესაც ინტენსიური სამუშაო პროცესის შედეგად, რომელშიც ჩართული იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია, საქართველოს ყველა სკოლა და საქართველოს მთავრობა, მიღებული იქნა დოკუმენტი - ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები (დამტკიცებული საქართველოს მთავრობის მიერ, განკარგულება 84, 2004 წლის 18 ოქტომბერი) (71) 2005 წელს კი მიიღეს "კანონი ზოგადი განათლების შესახებ", რომელშიც მოცემულია "პრაქტიკულად ყველა ის ნოვაცია, რამაც შემდგომში რეფორმის სახელი დაიმსახურა". (72)

ხსენებული რეფორმის ფარგლებში შეიქმნა ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა. პარალელურად გამოცხადდა კონკურსები სახელმძღვანელოების შესაქმნელად და დადგინდა სახელმძღვანელოების გრიფირების ახალი წესი. ანუ, 2004 წელს, პროექტ "ილია ჭავჭავაძის" ფარგლებში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის ამოცანას ინგლისურის, როგორც უცხოური ენის, სასწავლო პროგრამების შემუშავება წარმოადგენდა. ინგლისური ენის, როგორც უცხოური ენის პირველი სასწავლო სტანდარტი 2005 წელს შეიქმნა. ოთხივე უნარის/მიმართულების - მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი - განვითარებასთან ერთად, გაჩნდა კიდევ ორი მნიშვნელოვანი მიმართულება - კულტურათა დიალოგი და სწავლის სწავლა. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ წლების განმავლობაში დამკვიდრებული გრამატიკულ-მთარგმნელობით მეთოდი შეცვალა უცხოური ენის სწავლების კომუნიკაციურმა მეთოდმა (communicative approach).

სწორედ, 2005 წელს გამოცხადებულ სახელმძღვანელოთა კონკურსში წარვადგინეთ "გრაფონიქსის" სახელმძღვანელო, რომელიც დავაფუძნეთ ჩვენ მიერ შემუშავებულ მეთოდზე - გრაფონიქსზე. მეთოდის შემუშავების საწყის ეტაპზე ავტორებმა შევისწავლეთ სახელმძღვანელოების ბაზარზე არსებული მდგომარეობა და ვნახეთ, რომ, ინგლისური ენის სწავლების თვალსაზრისით, გარკვეული პრინციპული საკითხები ნამდვილად მოსაგვარებელი იყო. ჩვენი ინტერესის სფერო მოიცავდა სახელმძღვანელოებს დამწყებთათვის. მაშინ სკოლაში გამოიყენებოდა ბავშვებისათვის ვიზუალურად საკმაოდ ერთფეროვანი, უინტერესო, ხშირად, პოლიგრაფიულ სტანდარტებთან შეუსაბამო სახელმძღვანელოები, რომლებიც ვერც მეთოდოლოგიურად აკმაყოფილებდა თავის დანიშნულებას, რაც გულისხმობს კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფისა და სწავლების დონის მოთხოვნების ადეკვატურ გათვალისწინებას სასწავლო მასალისა და სწავლების მეთოდის შერჩევისას.

ინგლისში გამოცემულ სახელმძღვანელოებშიც კი ფონიქსი საერთოდ არ ფიგურირებდა, რომ აღარაფერი ვთქვათ საქართველოში იმ პერიოდში გამოცემულ სახელმძღვანელოებზე. პირველი გაკვეთილებიდანვე მოსწავლეები ეცნობოდნენ რთულ ბგერებს, გრძელ, წარმოსათქმელად და დასაწერად რთულ სიტყვებს. იმ დროს გრაფონიქსის ავტორებს გვეგონა, რომ ჩვენ მიერ შემუშავებული მეთოდი სრულიად ახალი, უაღრესად ნოვატორული მიგნებაა. ასე ფიქრის უფლება მოგვცა იმან, რომ მუშაობის პროცესში გავეცანით იმ დროს ჩვენთვის ხელმისაწვდომ თითქმის ყველა ქართულ თუ უცხოურ სახელმძღვანელოს, ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლების შესახებ მეთოდოლოგიური ნაშრომების საკმაოდ შთამბეჭდავ რაოდენობას, მაგრამ ვერსად გადავაწყდით გრაფონიქსის მეთოდისათვის დამახასიათებელ მიდგომებს. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მიუხედავად სპეციალისტების, ლინგვისტების, პედაგოგებისა და განათლების სფეროს ექსპერტების უდიდესი ინტერესისა ფონიქსის, როგორც ინგლისურენოვან მოსწავლეთათვის წერა-კითხვის სწავლების მეთოდის მიმართ, ხსენებული მეთოდი არ ფიგურირებდა ინგლისურის, როგორც უცხოური ენის სწავლების პრაქტიკულ სახელმძღვანელოებში (კერძოდ, არც სახელმძღვანელოებში დამწყებთათვის) და არც ამ მიმართულებით არსებულ მეთოდოლოგიურ ნაშრომებში.

2007 წელს ”გრაფონიქსს” არ მიანიჭეს გრიფი, რადგან სახელმძღვანელო არ აკმაყოფილებდა იმდროინდელი სტანდარტით გათვალისწინებულ გრიფირების წესს. ხარვეზად მიიჩნიეს წერა-კითხვის უნარების განვითარების მცდელობა სწავლების პირველი ეტაპიდანვე, რაც ახალი სტანდარტის მიხედვით (2011 წელი) უკვე ნორმაა. (1, 433, 439) საგულისხმოა, რომ ახალი, სტანდარტი ზუსტად იმ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას, რომლებიც ჩვენ უკვე განვიხილეთ ფონიქსის მეთოდით ინგლისურენოვანი მოსწავლეების სწავლების შემთხვევაში. კერძოდ, სტანდარტში ვკითხულობთ: “კითხვა - დაწყებით საფეხურზე კითხვის სწავლება თავისებური მეთოდოლოგიით უნდა წარიმართოს. პირველ ყოვლისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფონოლოგიური უნარების განვითარებას, რათა მოსწავლეს ფონემური ცნობიერება განუვითარდეს (ზეპირი მარცვლების, ბგერების აღქმისა და გამოყენების უნარი). ფონემური ცნობიერების განვითარება მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მოსწავლემ ანბანური პრინციპი გაიგოს (ასოს, როგორც გრაფიკული ერთეულის კავშირი ბგერასთან, როგორც აკუსტიკურ ერთეულთან).

მეორე რიგში, მნიშვნელოვანია ნაადრევად არ დავაწყებინოთ მოსწავლეებს სისტემური კითხვა, რამაც შეიძლება სერიოზული შეფერხებები გამოიწვიოს არა მხოლოდ უცხოურ, არამედ მშობლიურ ენაშიც. მოსწავლე ეტაპობრივად უნდა მოვამზადოთ კითხვის სისტემური კურსისათვის”. (1, 434)

“წერა - წერის უნარის განვითარება წარიმართება კითხვის უნარის განვითარების პარალელურად. დაწყებით საფეხურზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა წერის ტექნიკურ-მოტორული უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებას. მოსწავლე გამოწერს ასოებს, ნასწავლ სიტყვებს; ...წერა ხელს შეუწყობს როგორც კითხვის უნარის გაუმჯობესებას, ისე ენობრივი მასალის დამახსოვრებას. თანდათანობით მოსწავლეები გადადიან პროდუცირებაზე. ისინი სწავლობენ ნიმუშების მიხედვით მცირე მოცულობის ფუნქციური ტექსტების შედგენას, სადაც ისინი იძენენ ამბების, ფაქტების, მოვლენების თანამიმდევრულად გადმოცემისა და შეფასების უნარ-ჩვევებს, რომლებიც მომდევნო ეტაპზე უფრო მეტად გაიშლება და დაიხვეწება.“ (Ibid.)

ამ ზემოთხსენებულ საკვანძო ასპექტებზეა ყურადღება გამახვილებული გრაფონიქსის მეთოდში. და შესაბამისად, **რადგან ახალი სტანდარტით**

ზუსტად ის მოთხოვნებია დაყენებული, რომელთაც ზედმიწევნით აკმაყოფილებს გრაფონიქსის მეთოდი, ვფიქრობთ, სწორედ გრაფონიქსი და ამ მეთოდის გამოყენებით შექმნილი სახელმძღვანელოები წარმოადგენს ოპტიმალურ არჩევანს საწყის ეტაპზე ინგლისურის, როგორც უცხოური ენის, სწავლების პროცესის წარმართვისა.

3.2 გრაფონიქსის და ფონიქსის მეთოდებზე დაფუძნებული ქართული სახელმძღვანელოების მიმოხილვა

3.2.1 სახელმძღვანელო "გრაფონიქსი", 2005

ჩვენ მიერ შემუშავებულ გრაფონიქსის მეთოდზე დაფუძნებულ პირველ სახელმძღვანელოზე 2002 წლიდან დავიწყეთ მუშაობა. სახელმძღვანელო 2005 წელს დასტამბა გამომცემლობა "დიოგენემ". როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს იყო ნოვატორულ მეთოდზე - გრაფონიქსზე - დაფუძნებული ერთსაფეხურიანი კურსი, რომელიც მიზნად ისახავს ოთხი ძირითადი უნარ-ჩვევის (წერა, კითხვა, ლაპარაკი, მოსმენა) ერთდროულ განვითარებას ინგლისური ენის სწავლების საწყის ეტაპზე. ის განკუთვნილია 7-9 წლის ასაკობრივი ჯგუფისთვის და მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც ჯგუფური, ისე ინდივიდუალური მეცადინეობის პირობებში. აქვე გვსურს შევნიშნოთ, რომ ჩვენი მეთოდისა და მასზე დაფუძნებული სახელმძღვანელოს სახელწოდება განპირობებულია საკუთრივ მეთოდის არსით. კერძოდ, ვგულისხმობთ გრაფონიქსის მეთოდის ამოსავალ პრინციპს - ასოებისა (გრაფემების) და ბგერების (ფონემების) ერთდროულად, სწარაფად და, რაც მთავარია, იოლად ათვისებას. "გრაფონიქსის" სახელმძღვანელოს კომპლექტის მასწავლებლის წიგნის (11) შესავალში საგანგებოდაა ყურადღება გამახვილებული აღნიშნული კურსის ერთ-ერთ მთავარ, უაღრესად სასარგებლო მახასიათებელზე - სასწავლო პროცესის შეძლებისდაგვარად მარტივად და უმტკივნეულოდ წარმართვის უპირატესობაზე - რაც ხელსაყრელია არა მხოლოდ ენის შემსწავლელისა და მისი პედაგოგისათვის, არამედ მოსწავლის იმ მშობლისთვისაც, რომელსაც შვილის სწავლა-განათლების პროცესში ჩართვა და მისთვის უცხოური ენის ათვისების საწყის ეტაპზე დახმარების გაწევა სურს.

გრაფონიქსის სახელმძღვანელო საშუალებას აძლევს მოსწავლეს ენის შესწავლა მომდევნო საფეხურის ნებისმიერი სახელმძღვანელოთი, ყოველგვარი სირთულისა და შეფერხების გარეშე განაგრძოს. იგი გაწერილია 80-100 აკადემიურ საათზე და სავსებით აკმაყოფილებს პირველი (ელემენტარული, ანუ საწყისი) დონის მოთხოვნებს. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი მიზანშეწონილად მიიჩნევს

დაწყებითი ეტაპის გახანგრძლივებას (მოსწავლეთა ასაკობრივი ფაქტორისა თუ მათი ინდივიდუალური მოსწრების გათვალისწინებით), საათების რაოდენობა, შესაძლოა, გაორამგდეს სამუშაო რვეულის ხარჯზე.

გრაფონიქსის სრული კურსი 5 კომპონენტს მოიცავს, ესენია: **მოსწავლის წიგნი, სამუშაო რვეული, აუდიოკასეტა, დამატებითი საკითხავი/გასაფერადებელი, მასწავლებლის წიგნი.** (9; 10; 11)

კურსის მთავარი კომპონენტი - **მოსწავლის წიგნი** შედგება 40 ორგვერდიანი გაკვეთილისაგან, თითოეული გაანგარიშებულია ორ აკადემიურ საათზე. წიგნი ფერადია და დასურათებულია შესასწავლი ერთეულების ამსახველი, შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფისათვის მიზანშეწონილი თვალსაჩინო ილუსტრაციებით, რომლებიც კიდევ უფრო აადვილებს და ახალისებს სწავლის პროცესს. (იხ. დანართი 1)

სამუშაო რვეული შავ-თეთრია, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებელს, დაავალოს ბავშვებს მისი გაფერადება და შესაბამისად "თამაშის ელემენტი" შეიტანოს საშიანაო დავალების შესრულების პროცესში. რვეულიც 40 ორგვერდიანი ერთეულისაგან და დამატებითი წერითი სავარჯიშოებისაგან შედგება. მას საკუთარი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი ახლავს. რვეულში მოცემული სავარჯიშოებისა და დავალებების შესრულებას მოსწავლეები, ზემოთ აღნიშნული ახალი მეთოდის წყალობით, დამოუკიდებლადაც თავისუფლად გაართმევენ თავს. (იხ. დანართი 1)

მოსწავლის წიგნსა და სამუშაო რვეულს ახლავს **აუდიოკასეტა**, ტექსტს კითხულობს ინგლისელი სპეციალისტი. კასეტაზე თანამიმდევრულადაა გამეორებული სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ტექსტი, მაგრამ ის არ შეიცავს განყენებულ, მოსწავლის წიგნში მოცემული მასალისაგან განსხვავებული ფორმატის, დამოუკიდებელ სასმენ სავარჯიშოებს. აქედან გამომდინარე, კასეტის უშუალო დანიშნულებაა, შეაჩვიოს ბავშვები ინგლისურ ბგერებს, ინტონაციას,

მეტყველებას და საშუალება მისცემს მათ, საკუთარ წარმოთქმაზე დამოუკიდებლად იმუშაონ.

კასეტაზე, ასევე, ჩაწერილია სასწავლო კურსით გათვალისწინებული **დამატებითი საკითხავი/გასაფერადებელი მასალა** - ზღაპარი "წითელქუდა", როგორც ზაფხულის არდადეგების დროს საკითხავი და სასმენი ტექსტი. მისი შინაარსის გაგება და მოყოლა გრაფონიქსის სრული კურსის გავლის შემდეგ მოსწავლეებს დამოუკიდებლადაც შეეძლებათ.

მასწავლებლის წიგნი, ტრადიციისამებრ, მოიცავს კურსის მოკლე შინაარსობრივ დახასიათებას, დამატებით ტესტებს საკონტროლო სამუშაოებისათვის და რამდენსამე აუცილებელ მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ხასიათის რჩევას. მაგრამ, ის არ შეიცავს ყოველი გაკვეთილის დეტალურ გეგმასა და სქემას, რადგან მოსწავლის წიგნის სტრუქტურიდან და გრაფონიქსის მეთოდის სიმარტივიდან გამომდინარე, წიგნის ავტორებმა ზედმეტად მიიჩნიეს მათი წიგნში ჩართვა. თუმცა, როგორც კვლევამ გვიჩვენა, მასწავლებლებს აუცილებლად სჭირდებათ დაწვრილებითი ინფორმაცია მეთოდის შესახებ და დეტალური რეკომენდაციები, როგორ გამოიყენონ აღნიშნული მეთოდი რაც შეიძლება ეფექტიანად.

რაც შეეხება საკუთრივ მეთოდს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გრაფონიქსის მეთოდის ძირითადი დანიშნულება იმ დაბრკოლებების განეიტრალებაა, რომელთაც ინგლისური ორთოგრაფიისა და წარმოთქმის სპეციფიკა უქმნის არა მხოლოდ უცხოელებს, რომლებიც ამ ენას ეუფლებიან, არამედ თავად ინგლისურენოვან მოსწავლეებსაც.

როგორც ზემოთ განვმარტეთ, ინგლისურად წერა-კითხვის შესწავლის საწყის საფეხურზე, გრაფონიქსის მეთოდით განსაზღვრული მიზნის - ასოებისა (გრაფემების) და ბგერების (ფონემების) ერთდროულად და სწრაფად, ზედმეტი გართულებების გარეშე ათვისების შედარებით იოლად მისაღწევად, მოსწავლეები სახელმძღვანელოს პირველი ათი გაკვეთილის საშუალებით მთელ ინგლისურ

ანბანს ეუფლებიან. ისინი, პირველად, ეცნობიან და შეისწავლიან მარტივ ხმოვნებსა და იმ თანხმოვნებს, რომელთა გრაფიკული და ფონეტიკური ვარიანტები მაქსიმალურად თანხვედრილია. იმავდროულად, ისინი ითვისებენ იმ სიტყვებს, რომელთა გრაფიკული ვარიანტი მათ ფონეტიკურ ვარიანტს ემთხვევა (ანუ ერთგვაროვნად იწერება და იკითხება, მაგ., ***log, dog, mop, pot, tin, bin, hen, pen...***). რაც მთავარია, მოსწავლეები იმთავითვე ახერხებენ მარტივი, მაგრამ გრამატიკულად და შინაარსობრივად გამართული წინადადებების თქმას. მაგალითად, ასეთის: ***It is not red, it is pink***.

მოკლე ხმოვნებისა და თანხმოვანთა დიდი ნაწილის ათვისების შემდეგ (როდესაც მოსწავლეებს ნაწილობრივ შეჩვეული აქვთ "ყური და ენა" ინგლისური ბგერებისთვის), ისინი უკვე იმ ბგერების ათვისებაზე გადადიან, რომლებიც შემდეგი ტიპის დიგრაფებით გამოიხატება: ***sh, ch, th, oo, ee*** და მისთ. მომდევნო გაკვეთილებზე ბგერითი და გრაფიკული შესაბამისობები თანდათან რთულდება და ა.შ.

პირველი თხუთმეტი გაკვეთილის განმავლობაში მოსწავლეები ნასწავლი ბგერების ამსახველ ტრანსკრიფციის ნიშნებსაც ეცნობიან (რომელთა ძირითადი ნაწილი მათთვის უკვე ნაცნობ გრაფიკულ ნიშნებს ემთხვევა), რაც თავიდანვე მყარ საფუძველს უყრის გამართულ წერა-კითხვასა და სიტყვათა სწორ წარმოთქმას.

სახელმძღვანელოს **ლექსიკური მარაგი** 350-450 სიტყვით განისაზღვრება. თემატური თვალსაზრისით, აქ წარმოდგენილია საკმაოდ მრავალფეროვანი ლექსიკა, რომელიც, თავის მხრივ, შემდეგ ლექსიკურ/თემატურ ერთეულებს მოიცავს: ფერები, რიცხვები, ოჯახი, გარეგნობა, ციური სხეულები, საკლასო ოთახი, საკანცელარიო ნივთები, ცხოველები, ჩემი დღე, კვირის დღეები, სახლი, ტანსაცმელი, საკვები, ქვეყნები, ანტონიმური წყვილები, მოქმედების აღმნიშვნელი ზმნები და ა.შ.

გრამატიკის თვალსაზრისით, პირველი ოცი გაკვეთილი, ძირითადად, ყოფნა ზმნის **(to be)** შესწავლას ეთმობა (მტკიცებითი, კითხვითი და უარყოფით მოკლე და გრძელ ფორმებში). პირველი ხუთი გაკვეთილის ძირითადი გრამატიკული სტრუქტურაა ***It is ..., Is it ...? It is not....***

მეშვიდე გაკვეთილიდან შემოდის ჩვენებითი ნაცვალსახელები *(This* და *That),* მეთერთმეტე გაკვეთლ'ში - პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები (***I – My; You – Your...***) . მეთორმეტე გაკვეთილ'ში მოსწავლეები ეცნობიან არსებითი სახელების მრავლობითი რიცხვის წარმოების წესებს, მათ შორის, არაწესიერ ფორმებსაც (***man-men, child-children...***). ოცდამეერთე გაკვეთილ'ში წარმოდგენილია ***There is/are*** საქცევები (მტკიცებით, კითხვით და უარყოფით ფორმებ'ში), რომლებთან ერთად მოსწავლეები კითხვით ზმნიზედას ***Where?*** და ***some/any*** ნაცვალსახელებს ეცნობიან. ამას გარდა, საწყისი გაკვეთილებიდანვე შემოდის კითხვითი სტრუქტურები, კერძოდ სპეციალური კითხვები (***What is this? Who's that?***), ხოლო მეექვსე გაკვეთილ'ში თავს იჩენს ბრძანებითი კილოს ნიმუშებიც. ოცდამეექვსე გაკვეთილ'ში შემოდის მოდალური ზმნა ***Can*** , ოცდამერვე'ში კი - ***Have got/Has got*** (მტკიცებით, კითხვით და უარყოფით ფორმებ'ში). ოცდამეთერთმეტე - ოცდამეთხუთმეტე გაკვეთილები ეთმობა მარტივ ახლანდელ დროს (***Present Simple***), ხოლო ოცდამეთექვსმეტე - მეორმოცე გაკვეთილები კი - ახლანდელ განგრძობით დროს (***Present Continuous***). ამ საწყის ეტაპზე შემოტანილია აგრეთვე სათანადო ზედსართავები, ზმნიზედები, არტიკლები და წინდებულები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსწავლის წიგნსა და სამუშაო რვეულ'ში გაკვეთილები ორ-ორ გვერდს მოიცავს და მათი ათვისების ტემპს, მნიშვნელოვანწილად, შემსწავლელთა პირადი მონაცემები განსაზღვრავს. ამიტომ, მასწავლებელმა თავად უნდა გადაწყვიტოს ეს საკითხი. რაც შეეხება მუშაობის ზოგად პრინციპს, სასურველია, კლას'ში მოსწავლის წიგნი დამუშავდეს, ხოლო

დამოუკიდებელი საშიანო დავალება, ძირითადად, სამუშაო რვეულიდან მივცეთ; თუმცა, შესაძლოა, მოსწავლეებმა ზოგიერთი დავალება კლასშივე შეასრულონ, მასწავლებლის მეთვალყურეობით, საჭიროებისამებრ. ამ ეტაპზე მასწავლებელი არ უნდა მოერიდოს ერთი და იმავე მასალის ხშირ გამეორებას; მოსწავლეებს "მოყირჭების" განცდა არ დაეუფლებათ, რადგანაც იგრძნობენ, რომ გამეორების წყალობით, უკვე გამართულად შეუძლიათ გარკვეული აზრის სწორად გამოხატვა და ინგლისურად ლაპარაკი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ანბანის ათვისებას, აგრეთვე, კალიგრაფიაზე მუშაობას. "გრაფონიქსის" სამუშაო რვეულს დართული აქვს დამატებითი გვერდები წერის გასაუმჯობესებლად (ე.წ. "რვეული რვეულში"). გარდა ამისა, მოსწავლეებს აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ცალკე რვეული (უმჯობესია, უჯრედებიანი) წერაში დამატებითი ვარჯიშისათვის (იქნება ეს სახელმძღვანელოდან ტექსტის გადაწერა თუ ცალკეული სიტყვების გამოწერა). სასარგებლო იქნება, ასევე, მოკლე კარნახის შეთავაზება, რაც მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ცოდნის შემოწმების მყარ ინსტრუმენტად იქცევა. შესაძლებელია, ამ მიზნით აუდიოჩანაწერის გამოყენება ან თავად მასწავლებელის მიერ კარნახი. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს, კლასში მოსმენის გარდა, გამოვუმუშაოთ აუდიოჩანაწერებთან დამოუკიდებლად, შინ მუშაობის უნარიც, რათა მათ მაქსიმალურად დახვეწონ წარმოთქმა.

მოსწავლის წიგნის ყოველი მეხუთე გაკვეთილი წინა მასალის გამეორებაა. მეოცე გაკვეთილიდან მოყოლობელი, განვლილი მასალის შემოწმება შესაძლებელია მასწავლებლის წიგნში მოცემული სპეციალური გასამრავლებელი ტესტების საშუალებით (ე.წ. საკონტროლო სამუშაო). კარგი იქნება, თუ მასწავლებელი მოსწავლეებს მარტივ წინადადებებს ჩააწერინებს სათარგმნელად. რაც შეეხება პირველ ოც გაკვეთილს, ამ შემთხვევაში, მასალის შემოწმება სასურველია როგორც შემაჯამებელი ტესტის (1-20 გაკვეთილები), ისე თამაშების საშუალებითაც. მაგ., ა) ვინ უფრო სწარაფად იტყვის ანბანს; ბ) ვინ უფრო სწრაფად წაიკითხავს; გ) ვინ უფრო მეტ სიტყვას დაწერს; დ) ვინ უფრო მეტ სიტყვას იტყვის ან დაწერს მოცემულ ასოზე; მეოცე გაკვეთილიდან კი

შესაძლებელია ორ-ორი მოსწავლის შეჯიბრება: ვინ უფრო მეტ სიტყვას იტყვის შემდეგ თემაზე: სხეულის ნაწილები, ქვეყნები, ფერები, რიცხვები, კვირის დღეები, ცხოველები, ტანსაცმელი, საკვები, ზედსართავები, ზმნები, ანტონიმები. სახელმძღვანელოს დასრულებისას მოსწავლეები წერენ კიდევ ერთ, შემაჯამებელ ტესტს (Final Test). (იხ. დანართი 6)

უნდა ვაღიაროთ, რომ "გრაფონიქსის" სახელმძღვანელოს ახასიათებდა გარკვეული ხარვეზები. კერძოდ, ასო-ბგერები ზედმეტად სწრაფად, ძალზე ინტენსიურად იყო შემოტანილი პირველ ხუთ გაკვეთილში. შეინიშნებოდა გადაჭარბებული მცდელობა, შერჩეული სასწავლო მასალა მაქსიმალურად დაქვემდებარებოდა მეთოდს, რამაც გარკვეული სქემატიზმი და ხელოვნურობა შექმნა გაკვეთილების აგების დროს. სხვა მხრივ, იმდროინდელი სტანდარტით გათვალისწინებული თემატური ლექსიკური ერთეულებისა და მარტივი კომუნიკაციის დამყარებისათვის საჭირო ფრაზების შემოტანის აუცილებლობამ გვიბიძგა, რომ სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში გრაფონიქსის პრინციპებიდან საგრძნობლად გადაგვეხვია. ჩვენ, ავტორებმა, ყურადღება გავამახვილეთ აღნიშნულ ხარვეზებზე, შევეცადეთ "გრაფონიქსის" განახლებული სახელმძღვანელოს პროექტში მაქსიმალურად გაგვეთვალისწინებინა პირველი გამოცემის სუსტი მხარეები და გამოგვესწორებინა ისინი, მეთოდის მაქსიმალურად ეფექტიანად და გამართულად გამოყენების მიზნით.

"გრაფონიქსის" სახელმძღვანელოს შექმნის პერიოდის, ინგლისური ენის შესასწავლი სახელმძღვანელოების მაშინდელი არჩევანის, როგორც ქართველი, ისე უცხოელი ავტორების მიერ შექმნილ სასწავლო კურსებისა და იმ პერიოდის საქართველოს სკოლებში გავრცელებული სწავლების სტილის გათვალისწინებით, მთლიანობაში, "გრაფონიქსის" სახელმძღვანელო ნამდვილად გამოირჩევა, როგორც ნოვატორული, პროდუქტიული მეთოდი მოზარდებისათვის ინგლისურის სწავლების საწყის საფეხურზე. ამას ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევაც ადასტურებს, რომელსაც ქვემოთ წარმოგიდგენთ.

3.2.2 სახელმძღვანელო “ფონიქსი დამწყებთათვის”, 2008

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გრაფონიქსის სახელმძღვანელოს არ მიანიჭა გრიფი, რაც იმას ნიშნავდა, რომ სკოლაში მისი გამოყენება მხოლოდ დამხმარე სახელმძღვანელოს სტატუსით იყო შესაძლებელი. უარი გრიფის მინიჭებაზე დასაბუთებული იყო იმით, რომ სახელმძღვანელო არ შეესაბამებოდა იმდროინდელ (2006-2007 წელი) ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. კერძოდ, საუბარია წერა-კითხვის უნარების განვითარებასთან დაკავშირებულ მიდგომაზე. მაშინდელი ეროვნული სასწავლო გეგმის ინგლისური ენის საგნობრივი პროგრამის თანახმად, სწავლების საწყის ეტაპზე “პრიორიტეტული ადგილი მიეკუთვნება უცხოურ ენაზე ზეპირმეტყველებას (მოსმენა-ლაპარაკი) და კულტურული ინფორმაციის ათვისებას” (2, 205) ხოლო გრაფონიქსის სახელმძღვანელოში, ძირითადად, ყურადღება გამახვილებული იყო პირველი გაკვეთილიდანვე წერა-კითხვის შესწავლის დაწყებაზე.

2008 წელს გამომცემლობა “დიოგენემ” გამოსცა ჩვენი ავტორთა ჯგუფის (თ. ჯაფარიძე, ი. ბარათაშვილი, დაემატა სკოლის პედაგოგი ე. გოგილაშვილი) მიერ შექმნილი დ1 დონის ინგლისური ენის სახელმძღვანელო “ფონიქს სტარტერი” (“*Phonics Starter*”), რომელიც სრულად აკმაყოფილებდა ინგლისური ენის სასწავლო გეგმის მიხედვით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და, შესაბამისად, სახელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერებიის სამინისტროს გრიფი მიენიჭა.

როგორც სათაური მიანიშნებს ვცდილობდით, არ გადაგვეხვია ფონიქსის პრინციპიდან, თუმცა, “ფონიქს სტარტერი”, ძირითადად, გაცნობითი ხასიათის იყო და ეყრდნობოდა მოსასმენ აქტივობებსა და ზეპირ მეტყველებას. ამ სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებული იყო ბგერების აღქმასა და ათვისებაზე და შემდგომ კი - მათ გრაფიკულ გამოსახულებათა კომბინაციების გამოწერა-წაკითხვაზე. ამ კურსის საშუალებით, მოსწავლეები ჯერ 42 საბაზისო ინგლისურ ბგერას სწავლობდნენ სხვადასხვა სიტყვისა და ფრაზის შესწავლის

მეშვეობით და მხოლოდ ამის შემდეგ იწყენებდნენ წერა-კითხვის სწავლას.

სახელმძღვანელოს კომპლექტი შედგება მოსწავლის წიგნის, მოსწავლის სამუშაო რვეულის, მასწავლებლის წიგნისა და აუდიოჩანაწერისაგან. (12; 13; 14) **მოსწავლის წიგნი** დაყოფილია 20 ერთეულად: მისალმება (Greetings); დამშვიდობება, მოკითხვა (Saying goodbye); ქვეყნები და ეროვნება (Countries and nationalities); ციფრები (Numbers); ასაკი, ტელეფონის ნომერი (Age, phone number); ფერები, ბუნება (Colours. Nature); სასკოლო ნივთები (School things); სახლი და ავეჯი (House and Furniture); შობა. ახალი წელი (Christamas. New Year); ოჯახი (Family); ზოოპარკი. გარეული ცხოველები (Zoo. Wild animals); ფერმა. შინაური ცხოველები (Farm. Pets); სხეულის ნაწილები (Body); ტანსაცმელი (Clothes); საჭმელი, სასმელი (Food. Drinks); აღდგომა (Easter); ჩემი დღე (My Day); ტომის კვირადღე (Tom's weekend); წელიწადის დროები. თვეები (Seasons, months); ანბანი (Alphabet).

თითეული თემატური ერთეული შედგება 4 ნაწილისაგან (A, B, C, D). ყოველ ერთეულში შემოტანილია ახალი თემა, რომლის დამუშავებას ერთეულის შემადგენელი ნაწილები ემსახურება, რაც, ფაქტობრივად, სასწავლო მასალის 4 სხვადასხვა ხერხით მიწოდებას და განმტკიცებას გულისხმობს. ერთი თემატური ერთეულისადმი სხვადასხვა კუთხით მიდგომა გააადვილებს ახალი მასალის ათვისებას, უფრო საინტერესოს და სახალისოს გახდის სასწავლო პროცესს. ახალი თემები წიგნის გმირებს - ინგლისური ენისა და სხვა საგნების (მათემატიკის, ხელოვნების, ფიზიკური აღზრდის) მასწავლებელებს შემოაქვთ, რაც საგანთა შორის კავშირების დამყარებასა და ინტეგრირებას ემსახურება. წიგნში ბავშვების მეგზურები მათი საყვარელი გმირები - მაუგლი და მისი მეგობრები არიან (სტანდარტით გათვალისწინებული კულტურათა დიალოგის ელემენტი). მაუგლის თავგადასავალი სიუჟეტურ ხაზად მიჰყვება თემატურ ერთეულებს და თემის შესაბამისად შემოაქვს ახალი ლექსიკა. ბავშვები, ასევე, შეხვდებიან თავიანთ ქართველ და უცხოელ თანატოლებს: ანას, დავითს, ქეითს, ტომსა და

ბილს. ყველა გაკვეთილი სთავაზობს მათ ლექსებს, სიმღერებს, გათვლებს, რომელთა უმეტესობა ბრიტანული ფოლკლორიდანაა აღებული.

სახელმძღვანელოს ყველა თემატური ერთეული, ძირითადად, ერთი და იმავე სტრუქტურული სქემითაა აგებული. ყოველი ერთეული თემის პრეზენტაციით იწყება. სათაური დიდი ასოებითაა გამოტანილი ფერად ზოლში, რაც მოსწავლეებს თემის სათაურის გრაფიკული გამოსახულების დამახსოვრებაში ეხმარება. ყოველი ნაწილი აღინიშნება დამახასიათებელი ფერით: Part A – ლურჯი, Part B – ყვითელი, Part C – ვარდისფერი, Part D - მწვანე. მეორე ნაწილში (Part B) ახალ ლექსიკას კომიქსების სახით წარმოადგენენ მოსწავლეთათვის ნაცნობი გმირები: მაუგლი და მისი მეგობრები. "გრაფონიქსის" სტატიკური ნახატებისაგან განსხვავებით, "ფონიქსის" მხატვრული გაფორმება უფრო ცოცხალი და ექსპრესიულია. იუმორისტული სიტუაციები ბავშვებს დამატებით მოტივაციას უქმნის. მესამე ნაწილში (Part C), ძირითადად, იმავე თემაზე შერჩეული ლექსები და კინესთეტური აქტივობებია წარმოდგენილი. მეოთხე ნაწილი (Part D) სახალისო სავარჯიშოებით ან თამაშობებით განამტკიცებს შესწავლილ მასალას. (იხ. დანართი 5)

ყოველ ხუთ სასწავლო ერთეულს გამეორება (revision) მოსდევს, რაც შეძენილი ცოდნის, უნარ-ჩვევების განმტკიცებისა და მოსწავლეთა თვითშეფასებისათვისაა (self-evaluation) გამიზნული.

მეთერთმეტე ერთეულიდან სახელმძღვანელოში, ახალ თემასთან ერთად, ანბანიც შემოდის. ყველა ასოს ამ ასოზე დაწყებული სახელის მქონე ცხოველი წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით, ჩვენ დავარღვიეთ გრაფონიქსის პრინციპი, თემატურმა მოთხოვნამ მეთოდის წესებზე იმძლავრა.

ასოების გამოწერის მოტორული ჩვევების ჩამოყალიბებაში მასწავლებელს **სამუშაო რვეული** დაეხმარება, რომელიც თემატურად არ ებმის სახელმძღვანელოს და მისი გამოყენება დამოუკიდებლადაც შეიძლება. სამუშაო რვეულში ნათლადაა წარმოდგენილი ასოს გამოწერის ტექნიკა, ხელის მოძრაობის

მიმართულება. გამოსაწერად შერჩეულია ერთმარცვლიანი სიტყვები, რომელთა გრაფიკული გამოსახულება მათი ფონეტიკური ვარიანტის იდენტურია. სამუშაო რვეულში ამჯერად მოხერხდა ფონიქსის პრინციპების დაცვა.

“გრაფონიქსის” აუდიო ჩანაწერისაგან განსხვავებით, როდესაც მასალას მხოლოდ ერთი პიროვნება წარმოადგენს (მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა სტილის ტექსტსა და განსხვავებულ პერსონაჟებს წარმოგვიდგენს ინგლისურენოვანი პროფესიონალი მსახიობი), “ფონიქს სტარტერში” აუდიო ჩანაწერი შექმნილია ინგლისურენოვანი მოზარდების, ფაქტობრივად, შემსწავლელთა თანატოლების მონაწილეობით, რაც ბავშვებისათვის გაცილებით სახალისო მოსასმენია.

მასწავლებლის წიგნში, გარდა კურსის ზოგადი მიმოხილვისა და ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი სკოლის უცხოური ენის სტანდარტისა, წარმოდგენილია გაკვეთილების ნაწილის სცენარები, რომლებიც მასწავლებლებს დაეხმარება სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და, შესაბამისად, ხარვეზების გარეშე წარმართვაში.

3.2.3 სახელმძღვანელო "ფონიქს ელემენტარული", 2009

"ფონიქს ელემენტარულში" ("*Phonics Elementary*"), (2009, დიოგენე) გაცილებით უკეთ მოხერხდა ფონიქს-გრაფონიქსის მეთოდის რეალიზება, ვიდრე მის წინამორბედ "ფონიქს სტარტერში". მიუხედავად იმისა, რომ სახელმძღვანელოს შედგენისას ავტორები ზედმიწევნით ვერ ვახერხებდით გრაფონიქსის პრინციპების განხორციელებას - იმდროინდელი სტანდარტის მიხედვით, პრიორიტეტი კვლავ აუდირებასა და ზეპირმეტყველებას ენიჭებოდა - ვფიქრობ, ფონიქს-გრაფონიქსის მეთოდის დახმარებით, ამ სახელმძღვანელოში მაინც გაცილებით ეფექტიანად მოვახერხეთ, მოსწავლეებისთვის სასწავლო მასალის მიწოდება. "ფონიქს სტარტერისაგან" განსხვავებით "ფონიქს ელემენტარულში" სტანდარტით გათვალისწინებული იყო წერა-კითხვის სწავლება. აქედან გამომდინარე, პირველი გაკვეთილებიდანვე ჩვენ მოსწავლეებისათვის ასო-ბგერების სწავლების პროცესი გრაფონიქსის პრინციპით წარვმართეთ. მაგრამ, რადგან ეს სახელმძღვანელო გამოიყენებოდა სწავლების მეორე წელს, ანუ მოსწავლეებს უკვე გავლილი ჰქონდათ "ფონიქს სტარტერის" ერთწლიანი კურსი, შესაბამისად, გრაფონიქსით სწავლების პროცესი საკმაოდ ინტენსიურად წარიმართა. კერძოდ, მოსწავლეები პირველი ხუთი გაკვეთილის განმავლობაში (თითო გაკვეთილს, სავარაუდლოდ, 4 აკადემიური საათი უნდა დაეთმოს), გრაფონიქსის პრინციპზე დაყრდნობით, ეუფლებიან და იმეორებენ ინგლისურ ანბანს. მაგრამ, ამჯერად, მოსწავლეები შეისწავლიან არა მხოლოდ ასო-ბგერებს, არამედ ეცნობიან ბგერების ტრანსკრიფციებსაც და, შესაბამისად - ასო-ბგერების ანბანურ სახელწოდებებსაც - Aa [ei], Bb [bi], Cc [si], Dd [di]. შევეცადეთ, სახელმძღვანელოში მთლიანი ანბანის საილუსტრაციოდ შერჩეულ სიტყვებში სწორედ ეს პრინციპი გამოგვეყენებინა (Aa [ei] - Ape, Bb [bi] - Bee, Cc [si] - Circus, Dd [di]) – Disk Ee [i:] Eagel). თუმცა, შეუძლებელი იყო ყველა ასოზე შესაბამისი საილუსტრაციო სიტყვის მოძებნა. სახელმძღვანელოს პირველი ბლოკი ე.წ. ფონიქსის მოკლე კომიქსი "მოთხრობით" – "Frog on a Log" სრულდება (ასბორნის მიერ 2009 წელს გამოცემული, ფონიქსის ადაპტირებული მოთხრობებში შემავალი ერთ-ერთი მოთხრობის მიხედვით (58) (იხ. დანართი 3)

“ფონიქს ელემენტარული”, სტრუქტურული თვალსაზრისით, იმავე პრინციპითაა აგებული, რომლითაც “ფონიქს სტარტერი” - სახელმძღვანელოს კომპლექტი შედგება მოსწავლის წიგნის, მოსწავლის სამუშაო რვეულის, მასწავლებლის წიგნისა და აუდიოჩანაწერისაგან. (15; 16; 17) **მოსწავლის წიგნი** დაყოფილია 20 ერთეულად: 1, 2, 3, 4, 5 Revision of Letters; 6. Greetings. 7. Birthday Card. Presents. 8. House. 9. What time is it? Beach. 10. Shopping, Picnic. 11. Daily life, timetable. 12. Clubs. 13. Jobs. 14. Robin Hood, Cinderella. 15. Cinderealla’s sisters. 16. At the Doctor’s. 17. Animal World. 18. London. Hershey, US. 19. Seasons, Weather. 20. America now and then. Additional reading. თითოეული თემატური ერთეული შედგება 4 ნაწილისაგან (A B C D). ყოველ ერთეულში შემოტანილია ახალი თემა, რომლის დამუშავებას ერთეულის შემადგენელი ნაწილები ემსახურება. ეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სასწავლო მასალის ოთხი სხვადასხვა ხერხით მიწოდებას და განმტკიცებას უზრუნველყოფს. ყოველი გაკვეთილი ახალ ლექსიკურ, გრამატიკულ და ფონეტიკურ მასალას მოიცავს, რომლის განმტკიცება ლექსებით, სიმღერებით, თამაშობებითა და კინესთეტიკური აქტივობებით მიიღწევა. ლექსები და სიმღერები შერჩეულია, როგორც თემატური, ისე ფონეტიკური ნიშნით (ემსახურება ბგერების დამუშავებას). 20 ერთეული გათვალისწინებულია 108 აკადემიურ საათზე. სახელმძღვანელო გთავაზობთ დამატებითი მასალის ბლოკს. აქ მოცემულია სხვადასხვა სახის აქტივობა, სიმღერები, მოთხრობები, ენის გასატეხები, ლექსები, ტესტების ფართო არჩევანი.

სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელია აუდიომასალის გამოყენება, რადგან აქტივობათა უმეტესობა მოსმენის პრინციპს ემყარება. ამასთან დიალოგების, ლექსების, სიმღერებისა და ა. შ. უმეტესობა ბრიტანელების მიერ არის შესრულებული, რაც უთუოდ დიდ დახმარებას გაუწევს მოსწავლეებს სწორი გამოთქმისა და ინტონაციის გამომუშავებაში. გარდა ამისა, ყველა გმირს თავისი პროტოტიპი ახმოვანებს. ამგვარად, ბავშვები ეჩვევიან მათ ტემბრს და ხმით ცნობენ წიგნის პერსონაჟებს.

3.3 გრაფონიქსისა და ფონიქსის მეთოდებით ინტეგრირებული სწავლების უპირატესობანი

საერთაშორისო გამოცდილების მიმოხილვა/ანალიზმა (აშშ, დიდი ბრიტანეთის, ავსტრალიის, ჰონკონგის კვლევები) და ჩვენ მიერ განხორციელებულმა კვლევამ ცხადად წარმოაჩინა არაინგლისურენოვანი, ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში, ქართველი დამწყები მოსწავლეებისთვის ინგლისურის, როგორც უცხოური ენის/მეორე ენის სწავლების პროცესში ფონიქს-გრაფონიქსის მეთოდების ინტეგრირებული გამოყენების მთელი რიგი უპირატესობანი.

ჯერ ერთი, რადგან ჩვენს ქვეყანაში, განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის თანახმად (1, 21), მოზარდები ინგლისურის დაუფლებას პირველი კლასიდანვე იწყებენ, ამიტომ მნიშვნელოვანია საწყისი ეტაპიდანვე სწორი მეთოდითა და მიდგომით წარვმართოთ მათში უმნიშვნელოვანესი უნარების - კითხვისა და წერის განვითარების პროცესი. ნებისმიერი საგნის შესწავლის თუ რომელიმე კონკრეტული უნარ-ჩვევის განვითარების საწყისი ეტაპი, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტია მოსწავლის შემდგომი აკადემიური თუ კარიერული წინსვლისათვის. სწორედ ამ საკითხზე ამახვილებს ყურადღებას დიდ ბრიტანეთში განხორციელებული უმნიშვნელოვანესი ფართომასშტაბიანი კვლევის ავტორი, განათლების მეცნიერებების ექსპერტ-სპეციალისტი, დავიდ როუზი თავისი კვლევის შედეგების შესახებ გამოქვეყნებულ ანგარიშში. “In order for children to benefit from a broad and balanced curriculum, primary schools have to give priority to teaching those things which give them access to it, **at the time when they are mostly likely to benefit.** The teaching of beginner readers is a case in point.” (54, 60). - აღნიშნავს როუზი. კვლავ როუზს დავესესხებით და ვიტყვით, რომ ის მეთოდი, რომელიც საშუალებას მისცემს ბავშვებს, შეიცნონ, როგორ ფუნქციონირებს ანბანი კითხვისა და წერის დროს, ანუ, როგორ მოვახერხოთ ტექსტის დეკოდირება (კითხვა) და წერა (კოდირება), გაცილებით ამცირებს იმ მოსწავლეების რაოდენობას, რომელთაც შემდგომში, საწყის ეტაპზე სწავლებისას დაშვებული მეთოდოლოგიურ/ტექნიკური შეცდომების გამო, წერა-კითხვის უნარი ადეკვატურად არ გამოუმუშავდათ. ამ მოსწავლეებს

სწავლების შემდგომ საფეხურებზეც სჭირდებათ დახმარება, რათა შეივსონ ხარვეზები და დაძლიონ პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნები, მაშინ, როდესაც სწორი მეთოდით სწავლების პირობებში სავსებით შესაძლებელი იყო გართულებების თავიდან აცილება. სამართლიანად შენიშნავს როუზი, როდესაც წერს: სწავლება, რომელიც "enables children to learn how the alphabet works for reading and writing (i.e. how to decode (read) and encode (spell) should greatly reduce the number of children who require later interventions to 'catch up' on ground that **they should never have lost in the first place.**" (Ibid.)

გრაფონიქსის მეთოდის ქართველი ავტორებისათვის ძალზე პოზიტიური აღმოჩნდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ 2011 წელს მიღებული ახალი სასწავლო გეგმა და ის ცვლილებები, რომლებიც შეიტანეს უცხოური ენების საგნობრივ პროგრამაში. (იხილეთ, თავი XXIV (21.09.2011 159/ნ) საგნობრივი პროგრამა უცხოურ ენებში; თავი XXVI (21.09.2011 159/ნ) საგნობრივი კომპეტენციები საბაზო და საშუალო საფეხურზე I დონე (ს.I) უცხოური ენა სტანდარტი.) კერძოდ, ახალი სტანდარტის იმ ნაწილში, რომელშიც განხილულია უცხოური ენის სწავლების პირველი ეტაპი, გათვალისწინებული და წარმოდგენილია ყველა ის საკითხი, რომლებიც ფონიქს/გრაფონიქსის მეთოდების არსებითი მახასიათებლებია. კერძოდ, მოსმენის უნარზე საუბრისას სტანდარტში ვკითხულობთ: "ამ ეტაპზე მოსმენას, როგორც უცხოური ენის ათვისების მთავარ არხს, პრიორიტეტული მნიშვნელობა მიენიჭება. სიტყვიერ ჯაჭვში ბგერების, სიტყვების, მარტივი წინადადებების მოსმენით გარჩევას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა, რადგან უცხოური ენისათვის დამახასიათებელ ჟღერადობებზე სმენის გამახვილება აუცილებელია გაგების უნარისა და სწორი გამოთქმის ჩამოსაყალიბებლად, რაც წარმატებული ინტერაქციის საფუძველს წარმოადგენს. ფონემატური სმენის განვითარება შინაარსიან კონტექსტში მოხდება. ტექსტებს უხვად უნდა ახლდეს თვალსაჩინო მასალა (სურათები, საგნები, ნახატები, ფოტოები და სხვა) და ბგერითი ინდიკატორები (რაიმე ხმაური, მკაფიოდ გამოხატული ინტონაციები და სხვა), რომლებზე დაყრდნობითაც მოსწავლეს გაუადვილდება ტექსტის გაგება." (1, 433).

ადამს თავის ანგარიშში წერის უნარების განვითარების საკითხი ძალზე საინტერესო კონტექსტით აქვს განხილული. ამაზე ქვემოთ უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ. ადამსის ანგარიშში, გავრცელებული მიდგომის საწინააღმდეგოდ - ჯერ კითხვა და შემდეგ წერა, გამოთქმულია საინტერესო მოსაზრება საპირისპირო თანამიმდევრობის შესახებ. რაც მოწმობს, წერის უნარის განვითარების უდიდეს მნიშვნელობას, მოზარდებში წერა-კითხვისა და საუბრის ხელოვნების შემდგომი წარმატებული დახვეწისათვის. (5, 375)

მაშ ასე, როგორც საერთაშორისო პრაქტიკამ დაგვანახა ფონიქსის მეთოდით სწავლება განსაკუთრებით პროდუქტიულია იმ მოსწავლეების შემთხვევაში, რომელთა მშობლიური ენა ანბანურ პრინციპს ეფუძნება. ალბათ, ეს ყველაზე მეტად ქართულ ენას ეხება, რადგან ანბანურ პრინციპზე დაფუძნებულ ენათა შორის, სავარაუდოდ, სწორედ ქართულ ენაშია ყველაზე ზუსტი თანხვედრა ბგერებსა და მათ გრაფიკულად გამომხატველ ასოებს შორის. ამრიგად, პრინციპი - ერთი ბგერა ერთი ასო, ალბათ, არც ერთი სხვაენოვანი ბავშვისათვის არ არის ისეთი მისაღები და მახლობელი, როგორც ქართულენოვანისთვის. პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ჯერ კიდევ ჰარტის მიერ შემოთავაზებული მოდელის უგულებელყოფამ საგრძნობლად გაურთულა ქართველ მოსწავლეებს ინგლისური ენის შესწავლის პროცესი. რასაკვირველია, ქართველ მოზარდებს, რომლებიც, მაგალითად, სიტყვა ვაშლს ქართულად ისევე კითხულობდნენ/წარმოთქვამდნენ ვ-ა-შ-ლ-ი, როგორც წერდნენ, ძალზე უჭირდათ სწორად წარმოეთქვათ, რაც მთავარია, სწორად დაეწერათ ინგლისურად apple [epl]. მეტწილად, ბავშვები სიტყვა ვაშლს ინგლისურად წარმოთქვამდნენ არა როგროც [epl], არამედ ქართული ანბანური წაკითხვის პრინციპით - "აფლე". კიდევ ბევრი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება. რასაკვირველია, მოსწავლეებს გაცილებით უადვილდებათ მოკლე სიტყვების [dog, log, bin, pin, hen, pen] წარმოთქმა თუ დაწერა და, ამ გზით, ინგლისური ენის ასო-ბგერეთა სისტემის მიჩვევა და შესწავლა.

ის გარემოება, რომ სწავლის პირველ ეტაპზე დამწყები მოსწავლეები არ აწყდებიან განსაკუთრებულ სირთულეებს, მათ კიდევ უფრო მეტ შემართებასა და ხალისს მატებს სწავლის გასაგრძელებლად. ძალზე მნიშვნელოვანია, მოსწავლეები წინსვლას გრძნობდნენ ენის დაუფლების პროცესში, ანუ მათ მიერ გაწეული მუშაობისა და დახარჯული ენერგიის შედეგი გაცილებით სწრაფად ვლინდება, ვიდრე სხვა მეთოდებით სწავლისას (უცხოური, ქართული კვლევის შედეგები, პილოტირება). ეს, რა თქმა უნდა, მათ კიდევ უფრო უძლიერებს შემდგომი "სირთულეების" (უფრო რთულ ბგერათა და ასოთა შეთანხმებების, უფრო მოზრდილი ტექსტების წაკითხვის, დასწავლის, დაწერის) დაძლევის მოტივაციასა და სურვილს.

გრაფონიქს-ფონიქსის მეთოდებზე დაფუძნებული წიგნების ღირსებად, გარდა ზემოთქმულისა, მიგვაჩნია შემდეგი:

- საკუთრივ გაკვეთლების ფორმატი (მოკლე, ორგვერდიანი გაკვეთილები);
- მასალის ათვისებისადმი თანამიმდევრული, სისტემური მიდგომა (ასაკობრივი განვითარების დონესთან შესაფერისი ენობრივი სტრუქტურების, გრამატიკული კატეგორიების, ლექსიკური მარაგის თანდათანობით შემოტანა (build up);
- თემატური ლექსიკის თანამიმდევრული განვითარება-გაღრმავება და, იმავდროულად, უკვე ნასწავლი მასალის გამეორება-განმტკიცება, გამეორების პრინციპით მუშაობა, თუმცა, არა "დრილინგი" პირდაპირი მნიშვნელობით;
- კონტექსტის ცვლა, მრავალფეროვნება (სიტყვების შემოტანა და სწავლება ცალკე, მოკლე ფრაზებით, წინადადებით, მცირე ზომის ტექსტებით);
- ყურადღების გამახვილება მასალის მიწოდების ვიზუალურ მხარეზე, დასურათებული სახელმძღვანელოები, მაგრამ არა ზედმეტად გადატვირთული ან გადაჭრელებული წიგნები;
- მრავალფეროვნების შემოტანა სახელმძღვანელოს აუდიო და ვიზუალურ გაფორმების თვალსაზრისით - ნახატები, ფოტოები, პლასტელინის ფიგურები, დასურათებული ბარათები, პოსტერები, აუდიო მასალის ფორმატი;

მთლიანობაში, ყოველივე უაღრესად ეხმარება და ხელს უწყობს მოსწავლეებს, დაეუფლონ მათთვის არამშობლიურ, თუმცა, მათ რეალობაში, გარკვეულწილად, ნაცნობ უცხოურ ენას - ინგლისურს.

როგორც, ფონიქსის გამოყენების ხანგრძლივმა საერთაშორისო გამოცდილებამ და გრაფონიქს-ფონიქსის მეთოდების საქართველოს სკოლებში გამოყენების შედეგების ანალიზმა ცხადყო, თამამად შეგვიძლია, აღნიშნული მეთოდები ინგლისური ენის შესწავლის საწყისი საფეხურის უპირატეს მეთოდად ვაღიაროთ.

ამრიგად, ფონიქსის-გრაფონიქსის მეთოდის გამოყენების საშუალებით, მიმდინარეობს მოსწავლეების მაქსიმალური ფონოლოგიური გათვითცნობიერებულობის პროცესი, რაც, როგორც არაერთმა სერიოზულმა კვლევამ ცხადყო, და, იმავდროულად, აისახა საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ახალ სტანდარტში (1), წერა-კითხვის უნარის შემდგომი დახვეწისა და სრულყოფის აუცილებელი პირობაა. (ვრცლად უცხოურ კვლევებზე ნაშრომის მომდევნო ნაწილში ვისაუბრებთ).

და ბოლოს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ გრაფონიქსის მეთოდი და შესაბამისად ამ მეთოდზე დაფუძნებული სახელმძღვანელოები ზედმიწევნით აკმაყოფილებს 2011 წელს დამტკიცებულ, ახალი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. (1, 428-439)

თავი 4. ექსპერიმენტული ნაწილი
კვლევის წარმოების მეთოდოლოგია

კვლევის მიზანია ინგლისური ენის, როგორც უცხოური ენის სწავლების საწყის საფეხურზე, კერძოდ, პირველ ეტაპზე, როდესაც მოსწავლეები იწყებენ წერა-კითხვის დაუფლებას, სწავლების პროცესში ფონიქს-გრაფონიქსის მეთოდების ინტეგრირებული გამოყენების ეფექტიანობის დადგენა.

კვლევის საგანია ფონიქს-გრაფონიქსის მეთოდების გამოყენების კონკრეტული თავისებურებებისა და რეალური უპირატესობების გამოვლენა. ასევე, აღნიშნული მეთოდებით დამწყები მოსწავლეებისათვის ინგლისურ ენაზე კითხვისა და წერის უნარების განვითარებისათვის თანამიმდევრული გეგმის შემუშავება. კერძოდ, ვგულისხმობთ მეთოდოლოგიური საკითხების მოგვარებას, ხსენებულ მეთოდთან დაკავშირებით ინგლისური ენის პედაგოგთა მეტ ინფორმირებას და, შემდგომ, ახალი სახელმძღვანელოს პროექტის შემუშავებას.

კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდები - გამოკითხვა და დაკვირვება. ასევე, ჩაღრმავებული ინტერვიუების მეთოდი და მეორეული ინფორმაციის მოგროვება.

კვლევის სამიზნე ჯგუფია ინგლისური ენის მასწავლებლები, დაწყებითი კლასების მოსწავლეები და მათი მშობლები.

ჩვენი კვლევისათვის საკვანძო მნიშვნელობის მქონე აღმოჩნდა მეორეული ინფორმაციის მოძიების შედეგად მიღებული მონაცემები. გავეცანით ზოგადად ინგლისურის, როგორც უცხოური ენის შესწავლის ისტორიული საათავეებისა და ევოლუციის შესახებ გამოქვეყნებულ სამეცნიერო ლიტერატურასაც და, საკუთრივ, პედაგოგ-ლინგვისტთა ნაშრომებსაც, ასევე, კონკრეტულად, ინგლისური ენის საწყის ეტაპზე წერა-კითხვის სწავლებისას ფონიქსის მეთოდის გამოყენების ეფექტიანობის შემსწავლელ, ფართომასშტაბიან, უაღრესად ავტორიტეტული ორგანოებისა და დაწესებულებების მიერ განხორციელებული უცხოური კვლევების შედეგებს, დასკვნებსა და რეკომენდაციებს.

დასავლელი ექსპერტების მიერ ჩატარებული კვლევები და მათი შედეგები

ფონიქს-გრაფონიქსის პროდუქტიულობის საკითხის გარკვევისათვის, ალბათ, ყველაზე საინტერესო მაინც ამ მეთოდის გამოყენების პრაქტიკასთან დაკავშირებული კვლევების შედეგების ანალიზი უნდა იყოს. როგორც აღინიშნა, ფონიქსის გამოყენება აზრთა სხვადასხვაობას იწვევას. შედეგად, ვითარების უკეთ გასარკვევად და მაქსიმალურად ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად, სხვადასხვა სახელმწიფოს განათლების სტრუქტურებისა და სააგენტოების წარმომადგენლები არ კმაყოფილდებოდნენ მხოლოდ თეორიული დებატებით. ისინი ქმნიდნენ სპეციალურ კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებს, რომლებიც აწარმოებდნენ კვლევას, შემდგომ კი ჩატარებული კვლევების შედეგად მიღებულ მონაცემებს ზედმიწევნით აანალიზებდნენ. კვლევის შედეგები და მათი ანალიზი, როგორც წესი, დასკვნით ანგარიშებსა და მოხსენებებში იყო წარმოდგენილი. ხშირად, ხსენებული ინფორმაცია სპეციალისტებისა და სხვა დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომი ხდებოდა, პუბლიკაციებისა და გამოქვეყნებული წიგნების სახით.

მაგალითად, ერთ-ერთი ასეთია 2004 წელს ავსტრალიის პარლამენტის წარმომადგენელთა პალატის, დასაქმების, განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მუდმივი კომიტეტის მიერ განხორციელებული კვლევა, რომლის შედეგები აისახა ანგარიშში "წიგნიერების გამოწვევები" (*The Literacy Challenge*). მიუხედავად იმისა, რომ ეს კვლევა მიზნად ისახავს ავსტრალიელი მოსწავლეების, ანუ, "native speaker" -ების საჭიროებების განხილვასა და მოწესრიგებას, მან ჩვენი ყურადღებაც მიიპყრო ფონიქს-გრაფონიქსის მეთოდებისა და მიდგომების გამოყენების მიზანშეწონილობის ანალიზის გამო. მართალია, დოკუმენტის იმ ნაწილში, რომელიც სწავლების მეთოდოლოგიის საკითხების განხილვას ეთმობა, ნათლად არის მითითებული, რომ "The current approach to literacy learning in Australian schools focuses on the whole language or natural learning approach. It has gained Australia wide support and virtually all curriculum guidelines on primary school literacy teaching produced are based on this approach." (55, 25) იქვეა აღნიშნული, რომ "The direct teaching of reading

sub-skills is not excluded in whole language curricula. Various departments of education told the Committee that the teaching of the conventions of language is an integral part of classroom practice language guidelines. A representative from the New South Wales Board of Studies stated that: learning word skills, learning sounds, learning to make the connection between the symbol and sound are things that are very much part of the syllabus". (Ibid) ჩვენთვის, განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ის მონაკვეთი, რომელშიც ასახულია ავსტრალიის განათლების დეპარტამენტის შეხედულება იმაზე, რომ "teaching of phonics is an essential element of the reading program along with semantic and syntactic cueing systems. South Australia documents advise teachers to provide phonics instruction as part of a balanced range of strategies. The Tasmanian Department of Education stated that its guidelines are very clear about the fact that the three cueing systems, graphonics, semantic and syntactic, must be taught. The Western Australian program states that it is known that there is a link between children's knowledge of graphonics and their reading ability and therefore the question is "**not whether we should teach graphonics, but how we should teach it**". (Ibid)

მეოცე საუკუნის 80-იან წლებში აშშ-ში იმდენად გამწვავდა დაპირისპირება "ჰოლისტური" მეთოდისა და ფონიქსის მხარდამჭერთა შორის, რომ, საკითხის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით, კონგრესის მიერ ინიცირებული იქნა სპეციალისტთა ჯგუფების შექმნა. ასევე, სახელმწიფომ დააფინანსა სპეციალური კომისიები წერა-კითხვის უნარების განვითარების საკითხების გასაანალიზებლად და დასკვნების, რეკომენდაციების წარმოსადგენად.

1984 წელს აშშ განათლების ეროვნული აკადემიის მიერ დაკვეთილი ანგარიში "მკითხველთა ერად ჩამოყალიბება" ("Becoming a Nation of Readers"), შეიცავს განხორციელებული კვლევის შედეგად მიღებულ დასკვნებს: ფონიქსის მეთოდით სწავლება პროდუქტიულია სწავლების საწყის საფეხურზე, კერძოდ, წერა-კითხვის შესწავლის დაწყებისას. რეკომენდაციებში ვკითხულობთ: "Teachers of beginning reading should present well-designed phonics instruction. Though most children

today are taught phonics, often this instruction is poorly conceived. Phonics is more likely to be useful when children hear the sounds associated with most letters both in isolation and in words, and when they are taught to blend together the sounds of letters to identify words. In addition, encouraging children to think of other words they know with similar spellings, when they encounter words they cannot readily identify, may help them to develop the adult strategy of decoding unknown words by analogy with ones that are known. Phonics instruction should be kept simple **and it should be completed by the end of the second grade for most children."(6, 118)**

1990 წელს, კონგრესმა დაავალა აშშ განათლების სამინისტროს (US Department of Education), რომ შეედგინა განათლების საწყის საფეხურზე კითხვის უნარის განვითარების პროგრამების სია. პროგრამების შეფასების მთავარი კომპონენტი იყო, რამდენად ეფექტიანადაა მათში წარმოდგენილი ფონიქსის მეთოდი. აღნიშნული კვლევის ფარგლებში, განათლების დეპარტამენტმა სთხოვა დოქტორ მერლინ ადამს (Dr. Marilyn J. Adams), წარმოედგინა მოხსენება ფონიქსის როლის შესახებ კითხვის სწავლების საწყის ეტაპზე. ჩატარებული სამუშაოს შედეგები ადამსის ავტორობით 1994 წელს გამოცემულ წიგნში "კითხვის დაწყება" (*Beginning to Read: Thinking and Learning about Print*) აისახა. ავტორი ადასტურებს ფონიქსის ეფექტიანობას მოსწავლეთათვის კითხვის სწავლების დაწყებით საფეხურზე. წიგნის მეორე თავში "რატომ ფონიქსი", ადამსი წერს, რომ "the findings reviewed in part II are suggestive of the conclusion that something about that large and general class of programs that purport to teach phonics is of genuine and lasting value. In particular, each of these categories of evidence suggests that students must appreciate the alphabetic principle to become proficient readers: they must acquire a sense of the correspondences between letters and sounds upon which it is based."(5, 29) ადამსის მსგავსად, ჩვენც, ქართველი ავტორები, მივიჩნევთ, რომ ფონიქსის, განსაკუთრებით კი. გრაფონიქსის გამოყენება ყველაზე ეფექტიანი სწავლების საწყის საფეხურზეა, პატარა ასაკის დამწყებ მოსწავლეთა - *young learners* - სწავლებისას. "Perhaps the most influential

arguments for teaching phonics are based on studies comparing the relative effectiveness of different approaches to teaching beginning reading. Collectively these studies suggest, with impressive consistency, that programs including systematic instruction on letter-to-sound correspondences lead to higher achievement in both word recognition and spelling, at least in the early grades and especially for slower or economically disadvantaged students." (5, 31)

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა წიგნის ის ნაწილი, კერძოდ, 14 თავი "*To Reading from Writing*", რომელშიც ავტორი განიხილავს წერა-კითხვის უნარების განვითარების საკითხებს - ჯერ კითხვა და მერე წერა, ან ამ ორი უნარის პარალელურად განვითარება, თუ ჯერ წერა და მერე კითხვა. ნებისმიერი თანამიმდევრობის შემთხვევაში, ავტორი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია ადასტურებს: ბავშვების მიღწევები წერა-კითხვის უნარების განვითარების პროცესში მჭიდრო ურთიერთკავშირშია. კითხვის დაწყებითი საფეხურის პროგრამების შეფასებისას სულ უფრო ხშირად მახვილდება ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ წერით აქტივობებზე კონცენტრირება დადებითად მოქმედებს კითხვის დაუფლების პროცესზე. (5, 375).

ფონიქსის მეთოდით სწავლების პოზიტიური ასპექტების დეტალური ანალიზის შემდეგ ადამსი ეყრდნობა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩატარებული მრავალი კვლევის შედგად მიღებულ მონაცემებს და ასკვნის: მიუხედავად იმისა, რომ სიტყვების ამოცნობის სწავლების საბოლოო მიზანი პირდაპირი კავშირის დამყარებაა სიტყვის ნაბეჭდ ვარიანტსა და მის მნიშვნელობას შორის, ნორჩი მკითხველის ვიზუალური ლექსიკური მარაგის ზრდა მაინც მთლიანად დამოკიდებულია მართლწერა-წარმოთქმის ურთიერთმიმართებების ცოდნაზე. ამ პროცესის ყველაზე თვალსაჩინო უპირატესობა ისაა, რომ ასეთი ცოდნა საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, დამოუკიდებლად შეისწავლონ სიტყვები: ნაბეჭდი სიტყვები, რომლებიც არის მოზარდის ზეპირ ლექსიკაში, დაისწავლება მათი წარმოთქმის პროცესში. შემსაწვლელისათვის, აგრეთვე, ძალზე მნიშვნელოვანია მართლწერა-წარმოთქმის მნემონიკური ხელშეწყობა. ხშირად ხმარებადი სიტყვებისა და მათი გრაფიკული გამოსახულებების ვიზუალური

ცოდნა რეალურად ამ სიტყვების შემადგენელი ასოების ბუნებისა და თანამიმდევრობის ცოდნაა. მართლწერა-წარმოთქმის ურთიერთმიმართებების ცოდნის საშუალებით, წარმოთქმული სიტყვის ბგერათა თანამიმდევრობა ამ სიტყვის ნაბეჭდი ასოებით გამოხატულ ვიზუალურ თანამიმდევრობაში აისახება, რაც, რასაკვირველია, ხელს უწყობს ორთოგრაფიული სწავლების გაძლიერებას. ამგვარი ფონოლოგიური დახმარების გარეშე, ადეკვატური ვიზუალური ლექსიკური მარაგის ათვისება შეუძლებელი - თუ არა, ძალზე რთული იქნებოდა. შესაბამისად, ადამსის ღრმა რწმენით, "children's awareness of the phonemic structure of spoken words is an extremely strong predictor of their success in learning to read. Because useful knowledge of spelling-sound correspondences depends on such phonemic awareness, children who fail to acquire it are severly handicapped in their ability to master print." (5, 412)

მომდევნო პერიოდში ფონიქსის საკითხის მიმართ მაინც არ ცხრებოდა ინტერესი. 1998 წელს აშშ ეროვნული კვლევის საბჭომ ხელახლა შეისწავლა საკითხი, რომელი მიდგომაა ყველაზე ოპტიმალური ბავშვებისათვის წერა-კითხვის სწავლებისას და შედეგები გამოაქვეყნა სახელწოდებით "კითხვასთან დაკავშირებული სირთულეების პრევენცია ბავშვებში" *(Preventing Reading Difficulties in Young Children. Committee on the Prevention of Reading Difficulties in Young Children)* ამ კვლევის შედეგებიც ეხმიანება ადამსის მიერ ჩამოყალიბებულ დასკვნებსა და რეკომენდაციებს. კერძოდ, ფონიქსი კვლავ ყველაზე ეფექტიან მეთოდად რჩება კითხვის უნარის განვითარების საწყის ეტაპზე. ნაშრომში დეტალურადაა განმარტებული, როგორ შეიძლება ავარიდოთ თავი გართულებებს კითხვის სწავლების დაწყებით საფეხურზე. კერძოდ, ყურადღება გამახვილებულია მოზარდებში ფონოლოგიური გათვითცნობიერებულობის განვითარების უდიდეს მნიშვნელობაზე. ბავშვებს, რომლებიც სწავლობენ ანბანურ ენას (alphabetic langauge), როგორიც, მაგალითად, ინგლისურია, აუცილებელია განვუვითაროთ ე. წ. ფონოლოგიური (phonological awareness) და, შესაბანისად, ფონემური (phonemic awareness) გათვითცნობიერებულობა. აღნიშნული ტერმინები პუბლიკაციაში შემდეგნაირადაა განმარტებული: "***Phonemic awareness*** is the insight that every spoken

word can be conceived as a sequence of phonemes. Because phonemes are the units of sound that are represented by the letters of an alphabet, an awareness of phonemes is key to understanding the logic of the alphabetic principle and thus to the learnability of phonics and spelling.

Phonological awareness is a more inclusive term than phonemic awareness and refers to the general ability to attend to the sounds of language as distinct from its meaning. Phonemic awareness generally develops through other, less subtle levels of phonological awareness. Noticing similarities between words in their sounds, enjoying rhymes, counting syllables, and so forth are indications of such "metaphonological" skill." (50, 52)

ინგლისურ ენაში ნაბეჭდი სიმბოლოები - ასოები, იგივე გრაფემები - სისტემატურად წარმოადგენენ ენის შემადგენელ ბგერებს. ძირეული ანბანური პრინციპის გაგება იმის გაცნობიერებას მოითხოვს, რომ სალაპარაკო ენა შეგვიძლია, ცალკეული სიტყვების ჯაჭვებად დავყოთ, ანუ ლაპარაკის დროს ჩვენ ვიყენებთ ცალკეულ სიტყვებსა და მათი შეკავშირებით მიღებულ ჯაჭვებს. თავად სიტყვებს კი მარცვლების თანამიმდევრობა ქმნის, ხოლო მარცვლები, თავის მხრივ, შედგება ფონემებისაგან. მოსწავლეებში ფონემური გათვითცნობიერებულობის განვითარება გულისხმობს ისეთი დავალებების მიცემას, რომელთა შესრულებისას მათ მოეთხოვებათ: წარმოთქმულ სიტყვებში გამოაცალკევონ/გამოყონ ერთი ან მეტი ფონემა, დააკავშირონ ცალკეული ფონემების თანამიმდევრობანი ისე, რომ სიტყვები მიიღონ, ასევე, შესძლონ სიტყვებში შემავალი ფონემებით ისე მანიპულირება, რომ სხვა სიტყვები აწარმოონ. (50, 51)

ზემოხსენებული ნაშრომის ავტორების თანახმად, ფონემების ფიზიკური და ფსიქოლოგიური ბუნებიდან, ასევე, ადამიანის ყურადღების კონცენტრაციის უნარის ბუნებიდან გამომდინარე, გასათვალისწინებლია, რომ ფონემური გათვითცნობიერებულობის სპონტანურად გამომუშავების უნარი მხოლოდ ბავშვების ძალიან მცირე რაოდენობას თუ შესწევს. ბავშვების უმრავლესობისათვის აღნიშნული პროცესი საკმაოდ რთულია. ამგვარი უნარის გამომუშავებას კარგად გააზრებული, სისტემური, თანამიმდევრული მიდგომა სჭირდება. აუცილებელია,

ბავშვებმა გააცნობიერონ, რომ ფონემები არის “the units of sound”, რომლებიც გრაფიკულად გამოისახება/წარმოდგენილია ანბანის ასოებით (ფონემური გაცნობიერების ეს პროცესი საკვანძოა ანბანური პრინციპის ლოგიკის გაგებისათვის). რადგან, როგორც წინამდებარე ანგარიშის შესავალშია მითითებული “Being a good reader in English means that a child has gained a functional knowledge of the principles of the English alphabetic writing system. Young children gain functional knowledge of the parts, products, and uses of the writing system from their ability to attend to and analyze the external sound structure of spoken words. Understanding the basic alphabetic principle requires an awareness that spoken language can be analyzed into strings of separable words, and words, in turn, into sequences of syllables and phonemes within syllables.” (Ibid) ანგარიშში გამახვილებულია ყურადღება იმ ფაქტზე, რომ ფონოლოგიური გაცნობიერებულობის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა კითხვის უნარის განვითარების საწყის ეტაპზე არა მხოლოდ ლოგიკურ მსჯელობას, არამედ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში განხორციელებული ემპირიული კვლევების შედეგებსაც ეფუძნება. გასათვალისწინებელია კვლევის დასკვნა, რომ ფონემურ გათვითცნობიერებულობასა და კითხვის უნარის განვითარებას შორის მჭიდრო კავშირი არა მხოლოდ კითხვის ათვისების საწყის ეტაპზეა რელევანტური, არამედ სკოლაში სწავლა/სწავლების განმავლობაშიც. (51, 54)

ფონემური გაცნობიერებულობის აუცილებლობაზე საგანგებოდ მიუთითებს ადამსიც, რისი დასტურიც მისი წიგნიდან ზემოთ მოყვანილი ციტატებია. (5, 412)

წერა-კითხვის უნარების განვითარების მიმართულებით კვლევა და დაკვირვება შემდგომ პერიოდშიც გრძელდებოდა. მაგალითად, 2000 წელს დაიბეჭდა ანგარიში “ბავშვებისათვის კითხვის სწავლება” (*Teaching Children to Read: An Evidence-based Assessment of the Scientific Research Literature on Reading and its Implications for Reading Instruction).* ეს გახლდათ აშშ ეროვნული კითხვის საბჭოს **National Reading Panel** (NRP) მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რომელიც ეფუძნებოდა რაოდენობრივი კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს კითხვის

სწავლების სხვადასხვა მიდგომის (მათ შორის, ყურადღება გამახვილებული იყო ფონიქსის მეთოდისა და ჰოლისტური მიდგომების გამოყენებაზე) პროდუქტიულობის შესახებ. აღნიშნული კომიტეტი შეიქმნა კონგრესის მოთხოვნით 1997 წელს, როდესაც კონგრესმა თხოვნით მიმართა ბავშვთა ჯანმრთელობისა და ადამიანის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის დირექტორს და განათლების მინისტრს აღნიშნული კომიტეტის შექმნის თაობაზე, რათა კომიტეტში გაერთიანებულ სპეციალისტთა ჯგუფს შეეფასებინა იმ განსხვავებული მიდგომების ეფექტიანობა, რომლებიც გამოიყენებდა ბავშვებისათვის კითხვის სწავლების პროცესში. ანგარიშის დასკვნით ნაწილში ავტორები განმარტავენ, რატომ გაამახვილეს მათ განსაკუთრებული ყურადღება ფონემური გაცნობიერებულობის მნიშვნელობაზე წერა-კითხვის სწავლებისას: “There are several reasons why the NRP selected PA (phonemic awareness) instruction for review and analysis. First, correlational studies have identified PA and letter knowledge as the two best school-entry predictors of how well children will learn to read during the first 2 years of instruction. Such evidence suggests the potential importance of PA training in the development of reading skills. Second, many experimental studies have been carried out to evaluate the effectiveness of PA training in facilitating reading acquisition. Third, there is currently much interest in PA training programs among teachers, principals, parents, and publishers because of claims about their value in improving children’s ability to learn to read.” (65) დასკვნებისა და ანალიზის ნაწილში, სპეციალისტები მკაფიოდ აყალიბებენ მათ მიერ გაწეული სამუშაოს/კვლევის შედეგებს. კერძოდ, მოხსენებაში ვკითხულობთ: “The results of the meta-analysis were impressive. Overall, the findings showed that teaching children to manipulate phonemes in words was highly effective under a variety of teaching conditions with a variety of learners across a range of grade and age levels and that teaching phonemic awareness to children significantly improves their reading more than instruction that lacks any attention to PA.

Specifically, the results of the experimental studies led the Panel to conclude that PA training was the cause of improvement in students’ phonemic awareness, reading, and spelling following training. The findings were replicated repeatedly across multiple experiments and thus provide

converging evidence for causal claims." (Ibid)

მოზარდებში წერა-კითხვის უნარის განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების მიმართ დიდ ინტერესს იჩენდნენ, აგრეთვე, დიდი ბრიტანეთის სახელმწიფო სტრუქტურებიც. მაგალითად, კონსერვატორთა პარტიის წევრი, პარლამენტარი ნიკ გიბი (Nick Gibb) სინთეზური ფონიქსის თავგამოდებული დამცველი იყო. 2005 წელს თემთა პალატის განათლებისა და უნარების კომიტეტი (House of Commons Education and Skills Committee) ინიციატივით გამოვიდა, რათა განათლებისა და უნარების დეპარტამენტს ინგლისში განეხორციელებინა შედარებითი კვლევა სინთეზური ფონიქსით სწავლების ეფექტიანობის დასადგენად, სხვა მიდგომებთან, მათ შორის ანალიზურ ფონიქსთან, მიმართებით. სინთეზური ფონიქსის წიგნის ავტორები, ფსიქოლოგი, პროფესორი რონა ჯონსთონი და ფსიქოლოგიის დოქტორი, ჯოის უოთსონი, თავიანთი ნაშრომის შესავალში წერენ, რომ კვლევასთან დაკავშირებული რეკომენდაციის გაცემისას კომიტეტი ხელმძღვანელობდა შოტლანდიაში მათ მიერ განხორციელებული კვლევის შედეგებით, რომელთა მიხედვითაც "…synthetic phonics teaching led to better reading and spelling than the analytic phonics approach. We found that children who had been taught by the synthetic phonics method not only read and spelt very much above average for their age, but that these gains increased year after year (Johnston and Watson, 2004, 2005a, 2005b)." (36,1).

კომიტეტის რეკომენდაციის საპასუხოდ, მივიღეთ სერ ჯიმ როუზის (Director of Inspection for Ofsted (Office for Standards in Education, UK) ხელმძღვანელობით სპეციალისტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული სამუშაოს ამსახველი შემაჯამებელი დოკუმენტი, ცნობილი როუზის ანგარიშის სახელწოდებით. 2009 წელს გამოქვეყნებული ანგარიშის მესამე თავის იმ ნაწილში, რომელიც უშუალოდ ეძღვნება მოზარდებში წერა-კითხვის უნარების განვითარებას, როუზი უმთავრესად ყურადღებას ამახვილებს ბავშვებში თავიდანვე სწორი უნარების გამომუშავების აუცილებლობაზე, აღნიშნული მიმართულებით, რადგან მოსწავლეების შემდგომ

აკადემიურ წარმატებას განსაზღვრავს ის, თუ რამდენად სწორად, ოპტიმალურად და ეფექტიანად წარიმართა სწავლების საწყისი საფეხური. “In order for children to benefit from a broad and balanced curriculum, primary schools have to give priority to teaching those things which give them access to it, **at the time when they are mostly likely to benefit.** The teaching of beginner readers is a case in point.” (54, 60, 3.21) ამ ციტატაში ჩვენთვის ძალზე საყურადღებოა ფრაზა: “დროის იმ მონაკვეთში, როდესაც ისინი (მოსწავლეები) მაქსიმალურ სარგებელს მიიღებენ.” ამ მხრივ, სრულიად ვიზიარებთ როუზის შეხედულებას: გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თავიდანვე, საწყისი საფეხურიდანვე, სწორად შერჩეული მიდგომითა თუ მეთოდით გამოვუმუშავოთ მოსწავლეებს კითხვისა და წერის უნარები, რადგან, როუზის აზრით: ” Nowhere is an entitlement to ‘quality first teaching’ more necessary or important than in equipping every child with a command of reading and writing skills. High-quality wave one teaching which enables children to learn how the alphabet works for reading and writing (i.e. how to decode (read) and encode (spell)) should greatly reduce the number of children who require later interventions to ‘catch up’ on ground that they should never have lost in the first place.” (Ibid. 3.22)

ნამდვილად ძნელია, არ დაეთანხმო როუზს, როდესაც ის აღნიშნავს: მოზარდების წარმატებას “საბაზისო” წერა-კითხვის უნარების შეთვისების პროცესში განსაზღვრავს არა იმდენად ბავშვის ბუნება, რამდენადაც ის, თუ როგორ ვასწავლით მათ. ამ მხრივ, პრობლემა არა მასწავლებლების უუნარობა თუ არაკვალიფიციურობაა, არამედ, ზოგადად, მეთოდოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებული არეულობა. როუზის თქმით, “the main obstacles have been long-standing systemic confusion and conflicting views, especially about the teaching of phonics. As more research and practice now converge in strong support of high-quality, systematic phonic work, schools can be confident that their investment in good-quality phonics training for teachers and in good systematic phonic programmes, whether commercial or provided by the National Strategies, will yield high returns for children.” (54, 62, 3.25)

ბრიტანეთში ფონიქსის მეთოდის მიმართ ინტერესი მართლაც ძალზე დიდი იყო. ბიბისიმ არაერთი პუბლიკაცია გამოაქვეყნა ხსენებული მიდგომის გამოყენების რეალობისა და ეფექტიანობის შესახებ. (68, 69, 70) 2006 წელს 20 მარტს ბბს-ის ახალი ამბების ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა სტატია "კითხვის სწავლება უნდა გადაიხედოს" (Teaching of Reading to be revised). სტატიის ქვესათაური გვაუწყებს, რომ საჭიროა ინგლისის ეროვნულ სასწავლო გეგმაში ცვლილებების შეტანა, რათა ბავშვები სწავლების საწყის საფეხურზე კითხვას სინთეზური ფონიქსის გამოყენების საშუალებით დაეუფლონ. აღნიშნული ცვლილება ეყრდნობა Ofsted-ს საინსპექციო დაწესებულების ყოფილი დირექტორის, ჩვენთვის ნაცნობი ჯიმ როუზის რეკომენდაციებს, რომლებიც მან ზემოხსენებულ ანგარიშში წამოადგინა. სტატიის ავტორი მასწავლებელთა ეროვნული პროფკავშირის წარმომადგენლის სტივ სინოტის შენიშვნაზე ამახვილებს ყურადღებას. სინოტი ამბობს, რომ მასწავლებლებს ნამდვილად დააბნევს ახალი რეგულაცია ფონიქსის პრიორიტეტულ გამოყენებასთან დაკავშირებით, რადგან ინგლისის სკოლებს უკვე მიღებული ჰქონდათ, ფონიქსის გამოყენების საკითხთან დაკავშირებით, შესაბამისი ინსტრუქცია. ამდენად, სინოტისათვის გაუგებარია, რატომ იყო აუცილებელი ამ დამატებითი ცვლილების დაფიქსირება. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიანიშნებს, რამდენად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა კითხვის უნარის განვითარების დაწყება ხსენებული მეთოდით და რამდენად სერიოზულად უდგებოდნენ ამ საკითხს ბრიტანეთის განათლების სისტემის მესვეურნი და, ზოგადად, ბრიტანეთის მთავრობა. ამავე სტატიაში მოყვანილია შოტლანდიის მაგალითიც: "In the most famous experiment, in Clackmannanshire, children taught using synthetic phonics were years ahead of their contemporaries by the time they moved on to secondary school. The method is already endorsed by the Scottish Executive." (68) თუმცა, ფონიქსის მოწინააღმდეგების მთავარი არგუმენტი ისაა, რომ "it (იგულისხმება ფონიქსის) might teach children to read – but not necessarily to understand what they are reading". (ibid) მაგრამ როუზი აღნიშნავს, რომ "he had reached his conclusions because synthetic phonics combines both word recognition - cracking the

alphabetic code – and comprehension... This is a programme for beginner readers. This is for children starting out on the way to reading and undoubtedly the evidence shows that this is the most successful route". თუმცა, ბოლდიც არ უარყოფს, რომ "phonic work was only part of the story", (ibid)

და ბოლოს, ყურადღებას შევაჩერებთ ინგლისური ენის დაწყებითი საფეხურის (P1 დონე 6 წლის ასაკობრივი ზღვარი) ჰონკონგელი სკოლის პედაგოგების მიერ ჩატარებულ ძალზე საინტერესო კვლევაზე, ფონიქსის მეთოდის ეფექტიანობასთან დაკავშირებით. ეს კვლევა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ჰონკონგის მაგალითი წარმოადგენს ფონიქსის მეთოდის გამოყენების პრაქტიკას, როგორც ინგლისურენოვან (native), ისე არაინგლისურენოვან (nonnative) მოსწავლეთათვის ინგლისურ ენაზე წერა-კითხვის სწავლების პროცესში (რადგან ჰონკონგში ინგლისური, ჩინურთან ერთად, სახელმწიფო ენადაა აღიარებული). წარმოდგენილი შემაჯამებელი ანგარიშის შესავალ ნაწილში პედაგოგები, პირველ ყოვლისა, განმარტავენ, რატომ გაჩნდა მათ მიერ განხორციელებული კვლევის საჭიროება: "Having taught English for some years, we found that our P1 students had great problems in reading, both in pronouncing words and reading aloud. This had been the greatest obstacle for students to learn English effectively. We wanted to explore this issue, and phonics teaching was our starting point." (62, 1). მოსწავლეების მიერ ინგლისური ენის შესწავლისას განცდილი პრობლემების უფრო დაწვრილებით ჩამოთვლისას, პედაგოგები, პირველად, ასახელებენ იმას, რომ მოსწავლეებს არა აქვთ ბგერების წაკითხვისა და დეკოდირების უნარი. რასაკვირველია, წამოჭრილია მართლწერასთან დაკავშირებული პრობლემაც და ზოგადად ის, რომ "students lacked confidence in reading and learning the language. "
(Ibid, 1)

საინტერესოა, რომ, აღნიშნულ პრობლემებთან ერთად, ანგარიშის ავტორები ყურადღებას ამახვილებენ პედაგოგთა არასათანადო გაცნობიერებულობასა და მზაობაზეც ფონიქსის მეთოდით სწავლების პრაქტიკასა და მეთოდიკასთან

მიმართებით. იგივე შეიძლება ითქვას ქართველ პედაგოგებზეც. ჰონკონგელი პედაგოგები ერთი წლის განმავლობაში, კერძოდ, 2000-2001 წლებში, ასაწვლიდნენ მოსწავლეებს ფონიქსის მეთოდით. მიღებული შედეგები შეჯამებულია კვლევის საბოლოო დოკუმენტში. კერძოდ, ანგარიშის დასკვნით ნაწილში (Major findings (2nd term), ვკითხულობთ:

“ * Students’ performance in both the pre-test and post-test was greatly improved when compared with those in the first term.

* Students’ learning of sounds and confidence level were much enhanced. Most of the students were eager to try in the last post-test.

* Class differences were not as big as before.” (62, 23)

კვლევის ავტორებმა დაასკვნეს, რომ ფონიქსის მეთოდის გამოყენება ნამდვილად რეკომენდებულია სწავლების ხსენებულ საფეხურზე. ანგარიშში, რასაკვირველია, მითითებული იყო გარკვეული სირთულეებზე, თუმცა, მთლიანობაში გამოვლინდა, რომ “The teaching of phonics was really effective in helping students learn the sounds and develop confidence in sounding out words. Students in general were able to apply the skills to read new words better and they were more willing to make guesses.” და რაც მთავარია, “All students enjoyed the activities in phonics and shared reading sessions.” (62, 24)

აქვე შევნიშნავ, რომ ძალიან გამახარა სწორედ ჰონკონგიდან მიღებულმა გამოხმაურებამ, რომელიც მოჰყვა ხელოვნებისა და მეცნიერების საერთაშორისო ჟურნალში (*International Journal of Arts & Sciences, IJAS)* 2011 წელს დასტამბულ ჩემს სტატიას “ფონიქს-გრაფონიქსის მეთოდების ინტეგრირებული გამოყენება მცირე ასაკის მოსწავლეებისათვის ინგლისურის სწავლების დაწყებით საფეხურზე” (*Integrated Application of Phonics-Graphonics Methods at a Starter Level of Teaching English to Young Learners*).

ფონიქს-გრაფონიქსის მეთოდზე დაფუძნებული ქართველი ავტორების მიერ შექმნილი სახელმძღვანელოების პილოტირებისა და სკოლებში გამოყენების შედეგების ანალიზი

ა) "გრაფონიქსის" სახელმძღვანელოს პილოტირების შედეგები

2003 – 2004 სასწავლო წელს თბილსში, ბუდაპეშტის პირველ ნომერში მდებარე კერძო სკოლასთან არსებულ ინგლისური ენის შემსწავლელ ცენტრში, 8 თვის განმავლობაში ხორციელდებოდა სახელმძღვანელო "გრაფონიქსის" პილოტირების პროცესი 6-7 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსწავლეებში. ჯგუფი აერთიანებდა 6 მოსწავლეს. მეცადინეობები ტარდებოდა კვირაში სამჯერ თითო საათი. პედაგოგი გახლდით "გრაფონიქსის" ერთ-ერთი თანაავტორი ინა ბარათაშვილი. სწავლების პროცესში გამოიყენებოდა "გრაფონიქსის" მოსწავლის წიგნი, სამუშაო რვეული და აუდიო ჩანაწერი. ასევე, დამატებითი საკითხავი "წითელქუდა". მოსწავლეებს ჯგუფში მეცადინეობების დაწყებამდეინგლისურ ენასთან, ფაქტობრივად, არაფერი აკავშირებდათ, თუ არ ჩავთვლით საბავშვო ბაღში დაზეპირებულ რამდენიმე სიტყვას და ინგლისურ ენაზე შესრულებული სიმღერების მოსმენას. პილოტირების შედეგად გამოვლინდა, რომ გარკვეული სირთულეების მიუხედავად (ზოგჯერ ბავშვებს უჭირდათ კონცენტრირება, იღლებოდნენ, ან, პირიქით, ორი მოსწავლე გამოირჩეოდა ჰიპერაქტიურობით, მასალას ცოტა მშრალად ვაწოდებდით - არ გვქონდა პოსტერები და "ფლეშ ქარდები", რაც ნამდვილად გაცილებით სახალისოს გახდიდა სწავლის პროცესს), მოსწავლეებმა საკმაო წარმატებას მიაღწიეს მათთვის უცხო - ინგლისურ ენაზე წერა-კითხვის უნარის განვითარების თვალსაზრისით. კერძოდ, სასწავლო წლის ბოლოს მათ წარმატებით დაწერეს "გრაფონიქსის" მასწავლებლის წიგნში წარმოდგენილი საბოლოო ტესტი (Final test) (იხ. დანართი 6). ისინი, ასევე, მშვენივრად ართმევდნენ თავს ე.წ. გასამეორებელ ტესტებსაც (Revision tests) (იხ. დანართი 6); წლის ბოლოს კი თავისუფლად კითხულობდნენ და რეპროდუცირებას ახდენდნენ, როგორც სახელმძღვანელოს თანმდევი დამატებითი საკითხავის, ისე კიდევ ერთი სტარტერის დონის საფეხურის ზღაპრის "Magic Cooking Pot" .

ბ) დაწყებითი საფეხურის ინგლისური ენის პედაგოგებთან და მოსწავლეების მშობლებთან ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი

ვიდრე შევუდგებით ინგლისური ენის პედაგოგებთან ინდივიდუალურად ჩაწერილი, ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს, უნდა აღვნიშნოთ, რომ კვლევის ფარგლებში გათვალისწინებული გვქონდა კითხვარის საშუალებით გამოგვეკითხა დაწყებითი საფეხურის ინგლისური ენის მასწავლებლები, ფაქტობრივად მთელი საქართველოს მასშტაბით, რადგან ჩვენი სახელმძღვანელოებით მოსწავლეები თითქმის მთელ საქართველოში სწავლობდნენ. მასწავლებელთა გამოკითხვის მიზნით, შევადგინეთ სპეციალური კითხვარი, რომლის ნიმუში თან ერთვის ნაშრომს (იხ. დანართ. 8) სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა საჭირო რაოდენობის პედაგოგთა გამოკითხვა, რადგან მათაც კი, რომლებსაც კითხვარი მივაწოდეთ, რატომღაც ან თავი აარიდეს, ან ძალზე ზედაპირულად უპასუხეს კითხვებს. ამიტომ ვარჩიეთ, შემოვფარგლულიყავით ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზით. ამას, რასაკვირველია, თავისი ობიექტური მიზეზები აქვს. კითხვარების დარიგება 2010 წელს დავიწყეთ. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ სწავლების პირველ ექვს (1-6 კლასები) კლასში სავალდებულო გახდა ინგლისური გამომცემლობა მაკმილანის მიერ გამოცემული 6-საფეხურიანი კურსის “English World” გავლა. მასწავლებლების ნაწილმა ინტერესი დაკარგა იქამდე არსებული სახელმძღვანელოების მიმართ, ნაწილი კი თითქოს ერიდებოდა სხვა სახელმძღვანელოებზე საუბარს. მივხვდით, კითხვარის საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია არ იქნებოდა საკმარისი და, თანაც, გულწრფელი, რაც ხელს შეუშლიდა რეალური სურათის შექმნას. ამიტომაც მივმართეთ ინტერვიუს ფორმას.

გამოკითხულთა შორის არიან სკოლის პედაგოგები, რომლებიც ასწავლიან ინგლისურს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებს. გამოკითხულ პედაგოგთაგან სამს უსწავლებია ფონიქს/გრაფონიქსის სახელმძღვანელოებით, ერთს კი - არა. ერთ-ერთი მათგანი სახელმძღვანელოების თანაავტორი, ეკა გოგილაშვილია. ასევე, გამოვკითხეთ ორი მშობელი, ერთ-ერთის შვილი ინგლისურს ჩვენი სახელმძღვანელოების საშუალებით ეუფლებოდა, მეორე კი ვაშინგტონში ცხოვრობს და მისმა ვაჟმა ამერიკულ სკოლაში, როგორც ინგლისურენოვანმა მოსწავლემ, წარმატებით შეისწავლა წერა-კითხვა ფონიქსის მეთოდით. პედაგოგთათვის განკუთვნილი შეკითხვები იხილეთ დანართ 9-ში.

ოთხივე გამოკითხული მასწავლებლის სტაჟი განსხვავებულია. ორ მათგანს (ეკას და ლელას) 20-წლიანი პედაგოგიური სტაჟი აქვს, ხოლო მაიამ და იამ სკოლაში მუშაობა ცოტა ხნის წინ დაიწყეს. რესპონდენტები ასწავლიან საჯარო და კერძო სკოლებში, როგორც დაწყებით, ისე ზედა კლასებში. კითხვაზე - რა სპეციფიკით ხასიათდება დამწყებ შემსწავლელბთან, ე.წ. young learners -თან მუშაობა, მათი სწავლება? - ოთხივე რესპონდენტმა ერთნაირად გვიპასუხა: "უნდა გამოგიტყდეთ, რომ ყველაზე მეტი ენერგია დაწყებით კლასებს სჭირდება. პირველ ყოვლისა, სირთულეები გვხვდება ანბანის შესწავლასთან დაკავშირებით, რადგან ფუნდამენტური განსხვავებაა ქართულ ანბანსა და ლათინურს, ანუ ინგლისურ ანბანს შორის. კითხვის დაწყება, წარმოთქმა და, პირველ ყოვლისა, მაინც, რაც ძირითადად ყველაზე დიდი სირთულეა, ეს ანბანის შესწავლაა" (ლელა).

"- კი, რა თქმა უნდა, ეს პროცესი საკმაოდ რთული და შრომატევადია. რაც შეეხება კონკრეტულ სირთულეებს, ძირითადი, რასაც მე შევხვდი ჩემს პრაქტიკაში გახლავთ ის, რომ ბავშვებს უჭირთ ასოსა და ბგერის განსხვავება, უჭირთ იმის გაანალიზება, რომ ოცდაექვსი ასო მეტყველების პროცესში რეალიზდება 44 ბგერად, რატომ შეიძლება ერთი და იგივე ასო სხვადასხვა ბგერის გარემოცვაში სხვადასხვაგვარად იკითხებოდეს. ასევე, უჭირთ აღიქვან, როგორ წაიკითხონ სხვადასხვა ასოთა შეთანხმებები და დაიმახსოვრონ მათი საწარმოთქმო თავისებურება. ეს ძალიან დიდ სტრესსა და გაუგებრობას იწვევს ბავშვებში და, ზოგ შემთხვევაში, მათ სიძულვილიც კი უჩნდებათ." (მაია)

როგორც ვხედავთ, რესპონდენტები სწორედ იმ პრობლემებს, იმ სირთულეებს ასახელებენ, რომელთა გადაჭრა-გამარტივებასაც მიზნად ისახავს ფონიქს/გრაფონიქსის მეთოდის გამოყენება სწავლებისას. ეს გახლავთ ანბანის შესწავლასთან დაკავშირებული სირთულეები, ქართულ და ინგლისურ ანბანებს შორის ფუნდამენტური განსხვავება, ასო-ბგერების გრაფიკული და ფონეტიკური ვარიანტების შეუსაბამობა, მოსწავლეთა ფონემურ-ფონოლოგიური გაუცნობიერებლობა, ასოთა სვადასხვა შეთანხმების წაკითხვასთან დაკავშირებული სირთულეები.

შეკითხვაზე, რა განაპირობებს მათ მიერ სახელმძღვანელოს არჩევას, ოთხივე რესპოდენტის პასუხია – სკოლა, ანუ ისინი ვალდებულნი არიან მხოლოდ განათლების სამინისტროს მიერ გრიფირებული სახელმძღვანელოებით ასწავლონ. შესაბამისად, კითხვაზე, რომელ სახელმძღვანელოს იყენებენ ისინი სასწავლო პროცესში, ოთხივე პასუხობს, რომ *English World* - ს, რადგან 2010 წლიდან სწორედ მაკმილანის გამომცემლობის ეს კურსი გახდა სავალდებულო საქართველოს ყველა სკოლისათვის. მასწავლებლები საუბრობენ მათ მიერ გამოყენებული სახელმძღვანელოს დადებით და უარყოფით მხარეებზე. "დადებითის მხრივ, ძირითადად, იმის თქმა შემიძლია, რომ ძალიან ბევრი ილუსტრაცია ახლავს, რაც ხელს უწყობს ვიზუალურ აღქმას, რაც შემდგომ ბავშვებს ეხმარება, უკეთ აღიქვან მოცემული მასალა. მოჰყვება პოსტერები, აქვს ბარათები, ასევე, დივიდი ფორმატის გაკვეთილები " (მაია *English World* - ის შესახებ). თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, მასწავლებლები ყურადღებას ამ კურსის პირველი ეტაპის სისუსტეზეც ამახვილებენ. კერძოდ, ლელა ამბობს: "ამჟამად მთელი საქართველო დაწყებით ეტაპზე სწავლობს *English Worlds,* რომელიც ზოგადად, შეიძლება, ძალიან კარგი სახელმძღვანელოა, მაგრამ სწავლების პირველ ეტაპზე ბევრ სირთულეს ვაწყდებით და ეს არ არის მარტო ჩემი პირადი აზრი, მე ვიცნობ ბევრ მასწავლებელს, ვხვდები ტრენინგებზე და ეს პრობლემა ყველას აწუხებს. პირველი ეტაპი, ძირითადად, ეფუძნება მასწავლებლის იმპროვიზაციასა და მის აქტიურობას, რამდენად მონდომებულია, რა მეთოდებს შეიტანს. ამ წიგნის პირველი ეტაპი არ გვაძლევს

საშუალებას, ნორმალურად და სათანადოდ შევიტანოთ ანბანი და კითხვის დაწყება გავუადვილოთ ბავშვებს.“ იას აზრით, *English Worlds* - ის პირველი საფეხური საკმაოდ რთულია ბავშვებისათვის, რადგან ლექსიკურად ზედმეტად გადატვირთულია. მაიას თქმითაც, დამწყებ მოსწავლეებს უჭირთ გრძელი და ვრცელი დიალოგების წაკითხვა, მით უმეტეს, დამახსოვრება. შესაბამისად, შეკითხვაზე, რა ცვლილებებს შეიტანდა სწავლების პროცესში, მაია პასუხობს: “უპირველესად შევცვლიდი ამ სახელმძღვანელოს, რადგანაც, როგორც უკვე აღვნიშნე, ბავშვებს უჭირთ ნახტომის გაკეთება და გადასვლა პირდაპირ გრძელი დიალოგის კითხვაზე, თუნდაც, შევქმნიდი ისეთ სახელმძღვანელოს, რომელიც ამ gap-ს, სიცარიელეს შეავსებდა, რომ ანბანიდან ნელ-ნელა მომხდარიყო გადასვლა, ჯერ კითხვა ესწავლათ კარგად, რომ თავადვე შეძლონ და თავი გაართვან მოცემულ მასალას.“

ზოგადად, უცხოური ენის, კერძოდ, ინგლისურის სწავლების ახალი მეთოდოლოგიების გაცნობის მხრივ, ვითარება საგრძნობლად გაუმჯობესდა. მასწავლებლებს მეტი საშუალება და არჩევანი ეძლევათ, გაეცნონ უკვე არსებულ თუ შედარებით ახალ მიდგომებს, უცხოური ენის სწავლების თვალსაზრისით. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ისინი ესწრებიან სხვადასხვა ტრენინგს და, ხშირად, ტრენერები უცხოელი, ე.წ. *native speaker*, სპეციალისტები არიან.

როგორც აღვნიშნეთ, ორი რესპონდენტი - ლელა და ია - ინტერვიუს ჩაწერის მომენტისათვის უკვე იცნობდნენ და იყენებდნენ გრაფონიქს-ფონიქსის სახელმძღვანელოებს. თუმცა, ფონიქსის მეთოდის შესახებ მათ ჩვენი სახელმძღვანელოებიდან შეიტყვეს. კითხვაზე - იცნობთ თუ არა ან გისწავლებიათ თუ არა ფონიქს-გრაფონიქსის სახელმძღვანელოებით? - ლელამ, გვიპასუხა: “დაახლოებით, 2006 წლიდან 2010 წლამდე ვასწავლიდი ამ სახელმძღვანელოებით. მეთოდი, რომელიც გამოიყენება ამ სახელმძღვანელოებში, ეხმარება ქართველ ბავშვებს უფრო ადვილად და ხალისიანად ისწავლონ, რადგან ბავშვები მოტივირებულნი არიან საკუთარი შედეგებით. ქართული ენის მსგავსად, ამ მეთოდის დახმარებით, ისინი კითხვას სწავლობენ მხოლოდ იმ სიტყვებით,

რომლებიც ისევე იკითხება, როგორც იწერება. ეს მიახლოებულია ქართულ ენაზე კითხვის შეთვისების პრინციპთან.“ იაც, დაახლოებით, იმავეს ამბობს: ” ბგერების და ასოების თანხვედრა ძალიან კარგად არის დალაგებული, თან ისეთი სიტყვებია მოცემული, ადვილი სიტყვები, რომლებიც უნდა იცოდეს ბავშვმა”. ფონიქს-გრაფონიქსის დადებით მხარეებზე საუბრისას, ია აღნიშნავს: “პირველ ყოვლისა, ბავშვებისათვის გაიოლებულია ანბანის შესწავლა. სხვა სახელმძღვანელოებთან შედარებით, გრაფონიქსის საშუალებით, ბავშვები გაცილებით სწრაფად ითვისებენ და ეუფლებიან მარტივი სიტყვების წაკითხვასა და დაწერას. ძალიან მომწონს, რომ ყურადღება ეთმობა კომუნიკაციურ სავარჯიშოებს. ასევე, უნდა აღვნიშნო მასწავლებლის წიგნიც, რომელიშიც ადვილად და გასაგებადაა მოწოდებული ინსტრუქციები და რჩევები.”

ფონიქსი-გრაფონიქსისა და საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში გამოყენებული სხვა სახელმძღვანელოებს შორის განსხვავებაზე საუბრისას, ლელა ამბობს: “...სახელმძღვანელოები (იგულისხმება გრაფონიქსი და ფონიქსის ორსაფეხურიანი კურსი), პირადად მე ძალიან მომეწონა. ვიცი ბევრის აზრი. ძალიან გაუადვილა ამ სახელმძღვანელოებმა არა მარტო მასწავლებლებს, ბავშვებსაც ინგლისური ენის შესწავლა. ქართველი ბავშვებისათვის გრაფონიქსის მეთოდი, როდესაც კითხულობ იმას, რასაც ხედავ და აი ეს მოკლე პატარა სიტყვებით უცხოურ ენაზე კითხვის დაწყება ყველაზე სასიამოვნო, სახალისო და, ალბათ, ადვილი მეთოდია, რაც მე შემხვედრია. და შედეგებიც იყო ბევრად უკეთესი, ვიდრე სხვა სახელმძღვანელოებით სწავლებისას. და მინდა გითხრათ, რომ მარტო ბავშვები კი არა და მშობლებიც კმაყოფილი იყვნენ. ანუ, ყველა სეგმენტი, მასწავლებელი, ბავშვი თუ მშობელი კმაყოფილი იყო ამ სახელმძღვანელოებით სწავლების პერიოდში.”

საგულისხმოა, რომ, ლელას თქმით, მშობლები ძალიან კმაყოფილი იყვნენ ამ სახელმძღვანელოთი სწავლების პერიოდში, რადგან აღნიშნავდნენ, რომ ბავშვი უფრო დამოუკიდებლად მუშაობდა, არ ითხოვდა დახმარებას და ის მშობლებიც კი, რომლებსაც არასოდეს უსწავლიათ ინგლისური, უფრო ადვილად ეხმარებოდნენ შვილებს, თუ, ვთქვათ, მათ რაიმე არ ესმოდათ. ლელას აზრით, ესეც ერთ-ერთი

მთავარი პრობლემაა ინგლისური ენის სწავლების პროცესში. რადგან, "როდესაც ბავშვი ითხოვს დახმარებას და ენის არ ცოდნის მიზეზით მშობელი ვერ ეხმარება მას, იგი იძულებულია, აიყვანოს რეპეტიტორი და ესეც, ალბათ, ერთ-ერთი კარგი მხარეა ამ სახელმძღვანელოსი, რომ დამოუკიდებლად, კლასგარეშე განსაკუთრებული დახმარების გარეშე, ბავშვი ითვისებს უცხოურ ენას და, შესაბამისად, მას უვითარდება დამოუკიდებლად მუშაობის უნარ-ჩვევები, რაც ასე აუცილებელია უცხოური ენის სრულფასოვნად შესწავლისათვის." (ლელა)

უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ მოსწავლეების მშობლებიც (მერიკო, ხათუნა), რომლებიც გრაფონიქსის სახელმძღვანელოთი სწავლობენ, ინტერვიუში იმავეს ადასტურებენ. მათი აზრით, მასალა სახელმძღვანელოში იმდენად მარტივადაა მოწოდებული, რომ ბავშვები, ფაქტობრივად, ყოველგვარი დახმარების გარეშე, ართმევენ თავს საშინაო დავალებას. და მაშინაც კი, როდესაც ისინი დახმარებისათვის მიმართავენ მშობლებს, უფროსებს არ უჭირთ მათი შველა. მერიკო განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ მისი გოგონა (ელენე) და ჯგუფის სხვა მოსწავლეებიც ხალისით მეცადინეობდნენ გრაფონიქსის სახელმძღვანელოთი.

რესპონდენტმა პედაგოგებმა ასევე დაახასიათეს მათთვის იდეალური სახელმძღვანელო: "დაწყებით საფეხურზე, აუცილებლად, სახელმძღვანელო უნდა იყოს ლამაზად ილუსტრირებული, ნახატები ფსიქოლოგების მიერ განხილული, შერჩეული და შემდგომში შეტანილი სახელმძღვანელოში. იწყებოდეს ზეპირი მეტყველებით, იყოს ბგერა-ასოების თანხვედრა, მოჰყვებოდეს ლექსები და სიმღერები ნასწავლ სიტყვებზე. სიტყვები იყოს თემატურად დალაგებული და მოჰყვებოდეს პატარა დიალოგები. აუცილებლად მინდა აღვნიშნო, სიტყვები უნდა იყოს ისეთი, რომ ადვილად დაიმახსოვრონ, ყოველდღიური, ასე ვთქვათ, ყოველდღიურად რომ სჭირდებოდეს ბავშვს, ადვილად დასამახსოვრებელი და გამოსაყენებელი... სისტემა უნდა იყოს ის, რომ პირდაპირ, a, b, c, d - ს მიხედვით, არ დაიწყონ. სჯობია, ასოების შესწავლა დაიწყონ ერთნაირი მოხაზულობის მქონე ასოებით და მიმსგავსებული იყოს წარმოთქმასთან. (ია)

“დაწყებით ეტაპზე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ინგლისური არა მარტო დედაქალაქში ისწავლება, სადაც მასწავლებელთა კვალიფიკაცია საკმაოდ მაღალია, არამედ, ისწავლება ისეთ ადგილებში, სადაც კარგი უცხოური ენის სპეციალისტის მიზიდვა ძალიან ჭირს, ამიტომ ჩემთვის იდეალური სახელმძღვანელო უნდა იყოს ისეთი, რომელიც ბავშვისთვის ინგლიური ენის სწავლებას ექვსივე მიმართულებით წარმართავს, ანუ ექვსივე მიმართულება სწორად იქნება მიწოდებული სახელმძღვანელოთი, ანუ ვგულისხმობ, რომ აღნიშნული უნარების განვითარება არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ მასწავლებლის პროფესიონალიზმსა და იმპროვიზაციის უნარზე.“ (ლელა)

და ბოლოს, აღვნიშნავ, რომ გრაფონიქს-ფონიქს სახელმძღვანელეობის გამოცემისა და გავრცელების დღიდან მასწავლებლებთან შეხვედრებისას (პირად საუბარში, ტრენინგებზე, სახელმძღვანელოების პრეზენტაციებზე, პროფესიულ შეხვედრებზე), რა თქმა უნდა მუდამ ვინტერესდებოდი, იცნობდნენ თუ არა კოლეგები ჩვენს სახელმძღვანელოებს. მეტწილად, ის მასწავლებლები, რომლებიც, ასე თუ ისე, იცნობენ აღნიშნულ სახელმძღვანელოს, დადებითად აფასებდნენ ამ სახელმძღვანელოების აგების პრინციპსა და მეთოდს (ანბანის შემოტანის პრინციპი - ერთი ბგერა - ერთი ასო, მოსწავლეებში ფონემურ-ფონოლოგიური გათვითცნობიერებულობის განვითარება, ოთხივე უნარის განვითარებაზე (წერა, კითხვა, მოსმენა, პროდუცირება-კომუნიკაცია) პარალელურ რეჟიმში მუშაობა, შესასწავლი ბგერა-ასოების, ლექსიკური ერთეულებისა და გრამატიკული კონსტრუქციების არა ერთბაშად, ქაოსურად მიწოდება, არამედ სისტემური მუშაობა, მასალის თანდათანობითი, სისტემური გართულება, მოკლე, მკაფიოდ სტრუქტურირებული გაკვეთილები, ვიზუალური გაფორმება, თანმდევი აუდიო მასალის ფორმა (ჩაწერილია შესაბამისი ასაკის ინგლისურენოვანი მოზარდების მიერ), გამოყენებული პერსონაჟები, ლექსები, სიმღერები, ტექსტები). საგულისხმოა, რომ სახელმძღვანელოს განსაკუთრებით ემადლიერებოდნენ სპეციალური სასწავლო დაწესებულების მეტყველების დეფექტის მქონე მოსწავლეების სკოლის პედაგოგები.

გ) დარგის სპეციალისტებთან ჩაღრმავებული ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი

პედაგოგებსა და მოსწავლეთა მშობლებთან ჩაწერილი ინტერვიუების გარდა, ასევე ვესაუბრე ფონიქს-გრაფონიქსის სახელმძღვანელოს თანაავტორს, სკოლის პედაგოგს, ეკა გოგილაშვილს, რომელმაც, არა როგორც სახელმძღვანელოს თანაავტორმა, არამედ როგორც პრაქტიკოსმა პედაგოგმა დაადასტურა მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში გრაფონიქსისა და ფონიქსის მეთოდების ინტეგრირებული გამოყენების დადებითი მხარეები და გამოყენებული მიდგომის პოზიტიური შედეგები.

კვლევისათვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო ინტერვიუები დარგის სპეციალისტებთან. ერთ-ერთი ასეთი საუბარი შედგა ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის თანამშრომელთან, ქალბატონ მარინე ჩხიკვაძესთან, რომელიც ამასთანავე, 2004 წლიდან ინგლისური ენის პროგრამების ხელმძღვანელი და, ასევე, პრაქტიკოსი მასწავლებელია. ზუსტად ქალბატონი მარინეს ინტერვიუ დაედო საფუძვლად ნაშრომის მე-3 თავის, 3.1.2 ქვეთავში (მეთოდის შემუშავებისა და მასზე დაფუძნებული სახელმძღვანელოების შექმნის წინაპირობები) წარმოდგენილ ინფორმაციას.

ჩვენთვის, ასევე, ძალზე საინტერესო იყო თსუ-ს პედაგოგიკის ინსტიტუტის დირექტორის, პედაგოგიკურ მეცნიერებათა დოქტორის, სრული პროფესორის ქეთევან ჭკუასელისა და ამავე ინსტიტუტის ემერიტუსის, ბატონი თამაზ კარანაძეს მიერ გამოთქმული მოსაზრებები დაწყებით ასაკში ინგლისურის, როგორც მეორე ენის, სწავლების თაობაზე. შესაძლოა, ეს საკითხი ჩვენი ნაშრომის საკვლევ პრობლემას უშუალოდ არ უკავშირდება, მაგრამ ჩვენი ინტერესის სფეროში სწორედ უცხოური ენის შესწავლის პირველი ეტაპი შედის, როდესაც მოზარდები შესასწავლ ენაზე წერა-კითხვას ეუფლებიან, ამიტომ ძალზე მნიშვნელოვანია, სწორად შეირჩეს ბავშვის ასაკი, სწავლების წელი - საფეხური, რათა მაქსიმალურად ეფექტიანად მოვახერხოთ ჩვენ მიერ არჩეული მეთოდის გამოყენება. ორივე რესპოდენტს, ქალბატონ ქეთევანსა და ბატონ თამაზს ერთნაირი

დამოკიდებულება აქვთ ამ საკითხისადმი. კერძოდ, ბატონი თამაზის თქმით, "ადრეულ ასაკში, წერა-კითხვის შესწავლის საწყის ეტაპზე, ორი სირთულის (წერა-კითხვის შესწავლა მშობლიურ და უცხოურ ენებზე) ერთად/ერთდროულად მიწოდება არ შეიძლება. ამასვე ადასტურებს კლასიკოსების შეხედულებებიც ამ საკითხზე. თუ ფუძე არ არის (მშობლიური ენა), დაშენება რთულია, თითქმის შეუძლებელი. მოსწავლე, მინიმუმ, ექვსი თვე მაინც უნდა იყოს მშობლიური ენის შესწავლით დაკავებული და მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება, ის თანდათანობით ეზიაროს უცხოურ ენას". აღნიშნულ შეხედულებას იზიარებს ქალბატონი ქეთევანიც, რომელიც დარწმუნებულია, რომ პირველ კლასში, როდესაც მოზარდებს გაცნობა უწევთ ორ ანბანთან - მშობლიურ ენასა და მათემატიკასთან, რაც თავისთავად საკმაოდ რთულია მათთვის (ჩვენ ვერც ერთზე და ვერც მეორეზე ვიტყვით უარს, რადგან მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის შესწავლა ვერბალური გავნითრების საფუძველია, ხოლო მათემატიკის შესწავლა - რაოდენობრივი განვითრებისა), ბავშვის ფსიქო-ფიზიკური განვითარებისათვის დიდი დაძაბვა იქნება პარალელურად, კიდევ მესამე, უცხო ანბანის შესწავლის დაწყება. "როდესაც ბავშვს ჯერ არ აქვს განვითარებული და ჩამოყალიბებული ვერბალური აზროვნება მშობლიურ ენაზე, ზედმეტია საუბარი მეორე ენაზე. მით უფრო გასათვალისწინებელია სწავლის დაწყების ასაკი - 6 წელი. რომ აღრაფერი ვთქვათ, იმ შეთხვევაზე, როდესაც 6 კი - არა, 5 წელი სახელდება სწავლის დაწყების ასაკად. სწორედ ამ დროს ითვისებს ბავშვი მთელ რიგ ზოგად უნარებს და კიდევ დამატებითი გადატვირთვა, რისთვისაც ბავშვს არ აქვს ფსიქოფიზიოლოგიური მზაობა, იწვევს მოზარდის ფსიქიკურ გადაღლას, რაც, საბოლოოდ, აუცილებლად აისახება მის ჯანმრთელობასა და ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ორი ენის (მშობლიური და უცხოური ენები) ერთდროულად შესწავლის პირობებში ბავშვს ვერც ქართულ და ვერც უცხოურ ენაზე განუვითარდება სწორი, გამართული აზროვნება, რაც, თავის მხრივ, აისახება სწავლის პროცესზე ზოგადად." (ქეთევან ჭკუასელი). ქალბატონი ქეთევანის აზრით, "სწავლების საწყის ეტაპზე, ბავშვები მხოლოდ ზეპირი კომუნიკაციის დონეზე უნდა ეცნობოდნენ უცხოურ ენას და არაუადრეს მესამე კლასისა, შესაძლებელია, რომ მოსწავლეებმა დაიწყონ უცხოურ, კერძოდ, ინგლისურ ენაზე წერა-კითხვის შესწავლა."

ჩვენ, ასევე, ვესაუბრეთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პედაგოგიკის ინსტიტუტის ასოცირებულ პროფესორს იზაბელა პეტრიაშვილს. რესპონდენტმა ძალზე საინტერესოდ წარმოაჩინა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებისათვის ინგლისური ენის სწავლების საწყისი ეტაპის განსაზღვრის საკითხი. ქალბატონი იზაბელას თქმით, საკითხის ისე დასმა, დაიწყონ თუ არა პირველკლასელებმა ორი ენის - ქართულისა და ინგლისურის შესწავლა ერთდროულად, არ არის მართებული. რადგან ქართული, როგორც მშობლიური ენა, ბავშვებისათვის, მინიმუმ, 5 წელი უკვე ნაცნობი ენაა. საკითხის მეორე მხარეა: უნდა დაიწყონ ერთდროულად მშობლიურ და უცხოურ ენაზე წერა-კითხვის შესწავლა? რაზეც რესპონდენტმა ცალსახად უარყოფითად გვიპასუხა. გამომდინარე იქიდან, რომ ქართული და ინგლისური ანბანი სრულიად განსხვავებულია, ქალბატონ იზაბელას მიაჩნია, რომ უმჯობესია, მოსწავლეები, თავდაპირველად, მშობლიურ ენაზე დაეუფლონ წერა-კითხვას, რათა მათ ავაცილოთ ის სირთულეები და სტრესი, რასაც გამოიწვევდა ორი განსხვავებული ანბანის ათვისების ერთდროულად დაწყება. თუმცა, სრულიად შესაძლებელია, რომ ძალიან მალე, მას შემდეგ, რაც სწავლის საწყის ეტაპზე დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები მთლიანად აითვისებენ ქართულ ანბანს, ისინი შეუდგნენ უცხოურ ენაზე წერა-კითხვის შესწავლას მსოფლიოში აპრობირებული სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით.

რესპონდენტის აზრით, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ წერა-კითხვის გარდა, უცხოური ენის შესწავლა ლაპარაკის უნარის განვითარებასაც გულისხმობს. ამ მხრივ, ქალბატონ იზაბელას პრობლემად არ მიაჩნია ის, რომ მოსწავლეებმა პირველ კლასშივე დაიწყონ ინგლისურ ენაზე ზეპირმეტყველების უნარის განვითარება. თუმცა, ამ შემთხვევაში, ძირითადად, სწავლის პროცესი ვიზუალური მასალის, საბავშვო ლექსების, ენის გასატეხების, სხვადასხვა თამაშობისა და სიმღერის გამოყენებით უნდა წარიმართოს. რესპონდენტი დარწმუნებულია, რომ ეს ყველაფერი ბავშვს თავიდანვე გაუჩენს აღნიშნული ენის შესწავლის ინტერესს და მოტივაციასაც კი, რის დასამტკიცებლადაც ის საკუთარ

გამოცდილებასაც გვიზიარებს (სწორედ საბავშვო ბაღში ჩასახულმა ინტერესმა ინგლისური ენის მიმართ განსაზღვრა შემდგომში ქ-ნი იზაბელას პროფესია).

სრულიად ვეთანხმებით რესპონდენტს, როდესაც ის კითხვას სვამს არა ისე - ისწავლებოდეს თუ არა ინგლისური პირველი კლასიდან? – არამედ ასე - როგორ უნდა ისწავლებოდეს? ქ-ნი იზაბელა იზიარებს ჩვენ მიერ ნაშრომის მესამე თავში (3.1.1) გამოთქმულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ დღეს ინგლისური ენა სულ უფრო პოპულარულია და ფართოდ ვრცელდება საქართველოში. ამიტომ, ჩვენი ბავშვები, რომლებსაც, შეიძლება ითქვას, ადრეული ასაკიდანვე "ესმით" ინგლისური, და, შესაბამისად, თავისდაუნებურად განიცდიან ინგლისური ენის გავლენას, გაცილებით ადვილად იწყებენ ენის ათვისებას. სწორედ ამას გულისხმობს რესპონდენტი, როდესაც ამბობს: "ჩვენ დღეს განსხვავებულ რეალობაში ვცხოვრობთ - განვითარებულ, გლობალიზებულ გარემოში და ამ პირობებში ბავშვებიც უკვე სხვანაირი არიან, მათ თავიანთი გონებრივი პოტენციალის რეალიზების მეტი საშუალება აქვთ და მათ უნდა შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ თავიანთი გონებრივი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება შეძლონ".

და ბოლოს, ყურადღებას შევაჩერებთ სახელმძღვანელოების შერჩევის პროცესში უნიფიცირებული მიდგომის გამოყენების მართებულობაზე. ამ საკითხთან დაკავშირებითაც რესპოდენტს გამოკვეთილი პოზიცია აქვს. კერძოდ, მას ასეთი დამოკიდებულება უმართებულო ჰგონია და მიიჩნევს, რომ მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ლავირების, არჩევანის საშუალება, რა თქმა უნდა სწავლების საფეხურისა და დონის შესაფერისი მასალის ფარგლებში.

დ) ფონიქს-გრაფონიქსის მეთოდზე დაფუძნებული სახელმძღვანელოების გავრცელების ტენდენციები და არეალი


კვლევის ფარგლებში განვახორციელეთ რიგი აქტივობები საქართველოს მასშტაბით ფონიქს-გრაფონიქსის მეთოდზე დაფუძნებული სახელმძღვანელოებით სწავლების ეფექტიანობის დასადგენად. კერძოდ, მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიერ ფონიქს-გრაფონიქსის მეთოდზე დაფუძნებული სახელმძღვანელოების მოხმარების ტენდენციების გარკვევისთვის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრსა და გამომცემლობა "დიოგენედან" გამოვითხოვეთ მონაცემები ხსენებული სახელმძღვანელოების მოხმარება/გავრცელების არეალისა და მათი გაყიდული რაოდენობის შესახებ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრიდან მიღებულმა ინფორმაციამ ცხადყო, რომ 2010 წლის მონაცემებით ჩვენი ავტორობით გამოცემული ფონიქსის სახელმძღვანელოებით (დ1 და დ2 დონე) მოსწავლეები, ფაქტობრივად, მთელი საქართველოს მასშტაბით შეისწავლიდნენ ინგლისურს (ბათუმი, ქობულეთი, ქუთაისი, ზესტაფონი, ჩოხატაური, ჭიათურა, ხარაგაული, ხელვაჩაური, ყვარელი, ზუგდიდ, აბაშა, ოზურგეთი, ლანჩხუთი, მარტვილი, ახალქალაქი, წალკა, ქედა, ახალციხე, გორი, ქარელი, საგარეჯო, გურჯაანი, თელავი, თერჯოლა, გარდაბანი, ახმეტა, წალენჯიხა, თეთრი წყარო, რუსთავი, მცხეთა, თბილისი - გლდანი, ვაკე-საბურთალო, ისანი, დიდუბე, მთაწმინდა).




იმავეს ადასტურებს "დიოგენეს" მიერ მოწოდებული ინფორმაციაც. ამასთანავე, გამომცემლობის მონაცემებით, სახელმძღვანელოების მოხმარების მხრივ (გაყიდვების მონაცემები), 2007-2010 წლებში გამოიკვეთა ზოგადად ზრდის ტენდენცია.

სახელმძღვანელოების გაყიდვების რაოდენობა



	2006	2007	2008	2009	2010
Graphonics	1066	1119	1196	912	820
Phonics Starter			3622	3839	4065
Phonics Elementary				2979	4326

სახელმძღვანელოების გაყიდვების რაოდენობა



გრაფონიქსისათვის 2006 წელი – 1066 ცალი; 2007 წელი – 1119 ცალი, 2008 წელი – 1196 ცალი. (მართლაც, რომ საყურადღებოა გრაფონიქსის მიერ ასეთი პოზიციის შენარჩუნება და გაუმჯობესებაც კი, როდესაც სახელმძღვანელოს არ ჰქონდა მინიჭებული ოფიციალური გრიფი).

-იცნობდით თუ არა ფონიქსის მეთოდს გრაფონიქსის-ფონიქსის სახელმძღვანელოების არჩევამდე?

- არა, არასოდეს არ გამიგია. ძალიან დავინტერესდი, მოვიძიე მასალა. აღმოჩნდა უამრავი მასალა ამ საკითხზე. და აღმოჩნდა, რომ ეს მეთოდი კარგად მუშაობს არა მარტო არაინგლისურენოვან, ანუ უცხო ენაზე მოლაპარაკე მოსწავლეების შემთხვევაში, არამედ თვითონ ინგლისურენოვან ქვეყნებში. დასავლეთის ინგლისურენოვან ქვეყნებში საუკუნეების ისტორია ჰქონია ამ მეთოდს და შედეგები ბევრად უკეთესია და თვითონ ინგლისურად მოლაპარაკე ქვეყნები არჩევენ ამ მეთოდით შეიტანონ ანბანი და დააწყებინონ წერა-კითხვა…

- რა დადებითს და სისუსტეს გამოჰყოფდით ფონიქს გრაფონიქსის სახელმძღვანელოებით სწავლებისას?

- ის მეთოდი, რომ სიტყვები იკითხება, როგორც იწერება, ეს მეთოდი მიახლოებულია ქართულ ენაზე კითხვის ათვისების პრინციპთან. ნუ, ეს ყველაზე დიდ დადებითია ჩვენთვის. სხვა დადებითზე მე უკვე ვისაუბრე. რაც შეეხება, სისუსტეებს, ალბათ ცოტა დასახვეწია სახელმძღვანელო რომლითაც მე ვასწავლიდი. ზეპირმეტყველებაში უფრო მეტი მასალა იქნებოდა სასურველი, რადგან გამოთქმასთანაც ისეთივე სირთულეები აქვთ ქართველ ბავშვებს და მეტ მუშაობას მოითხოვს, როგორც ანბანი. აი ასეთი შენიშვნა მექნებოდა.

სხვათაშორის, მშობლები ძალიან კმაყოფილები იყვნენ ამ სახელმძღვანელოთი სწავლების პერიოდში, რადგან აღნიშნავდნენ, რომ ბავშვი უფრო მეტად დამოუკიდებლად მუშაობდა, არ ითხოვდა დახამრებას და ის მშობლებიც კი, რომლებსაც არასაოდეს არ უსწავლიათ ინგლისური უფრო ადვილად ეხმარებოდნენ თუ ვთქვათ მათ რაიმე არ ესმოდათ. მე მინდა ვთქვა, რომ ესეც მთავარი პრობლემა არის ინგლისური ენის სწავლების პერიოდში. ვინაიდან, როდესაც ბავშვი ითხოვს დახამრებას და მშობელი ვერ შეძლებს, იგი იძულებულია აიყვანოს რეპეტიტორი და ესეც ალბათ ერთერთი კარგი მხარეა ამ სახელმძღვანელოსი, რომ დამოუკიდებლად, ყოველგვარი

დახმარების გარეშე, ბავშვი ითვისებს უცხო ენას და უფრო მეტი მოტივაცია მოდის ბავშვისგან.

- როგორ დაახასიათებდით თქვენთვის იდეალურ სახელმძღვანელოს ამ ასაკობრივი ჯგუფის სწავლებისას?

- დაწყებით ეტაპზე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ინგლისური არა მარტო დედაქალაქში ისწავლება, სადაც მასწავლებელთა კვალიფიკაცია საკმაოდ მაღალია, ისწავლება ისეთ ადგილებში, სადაც კარგი უცხო ენის სპეციალისტის მიზიდვა ძალიან ჭირს, ამიტომ ჩემთვის იდეალური სახელმძღვანელო უნდა იყოს ისეთი, რომელიც ბავშვისთვის ინგლიური ენის სწავლებას ექვსივე მიმართულებით წარმართავს, ანუ ექვსივე მიმართულება სწორად იქნება მიწოდებული სახელმძღვანელოთი, ანუ ვგულისხმობ, რომ აღნიშნული უნარების განვითარება არ უნდა იყოს დამოკიდებული მხოლოდ მასწავლებლის პროფესიონალიზმზე და იმპროვიზაციის უნარზე.

- დიდი მადლობა ძალზე საინტერესო ინტერვიუსათვის.

- პირიქით, მოხარული ვიქნები თუ მომავალში გვექნება ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებიც დაგვეხმარება უკეთესად, უფრო შედეგიანად ვასწავლოთ ბავშვებს.

ინტერვიუ 2 ეკა, სკოლის მასწავლებელი, სახელმძღვანელოს თანაავტორი

- თქვენ, როგორც სახელმძღვანელოს ავტორი და ასევე პრაქტიკოსი სკოლის პედაგოგი, რომელიც თქვენი თანაავტორობით შექმნილი სახელმძღვანელოთი ასწავლით, რას გვეტყოდით?

- წლების მანძილზე სწავლების პირველი ეტაპი ყოველთვის წარმოადგენდა სირთულეს და მოითხოვდა დიდ ძალისხმევას მასწავლებლისგან. ზეპირი მეტყველება, რომელიც გამოყენებული იყო პრაქტიკაში სწავლების პირველ წელს ბავშვისათვის იყო ძალიან სასიამოვნო პროცესი, მაგრამ მერე იწყებოდა მათთვის ის ტანჯვა, რასაც ჰქვია ანბანი და კითხვის დაწყება. უამრავი წესი, გამონაკლისი, შეუსაბამობა, რაც ქმნიდა ბარიერს და აბნევდა მოსწავლეებს და უკარგავდა მათ სწავლის სურვილს.

როდესაც პირველად გავეცანი ამ მეთოდს, მივხვდი, რომ არსებობს გამოსავალი ქართველი ბავშვებისათვის და მასწავლებლებისათვის. და მართლაც, პრაქტიკამ დაადასტურა, რომ ფონიქს-გრაფონიქსის ინტერგრირებული მეთოდით სწავლება მართლაც ეფექტურია საქართველოში. არსებობს ძალიან მდიდარი ლიტერატურა ამ მეთოდის შესახებ და აგრეთვე დამხმარე მხატვრული ლიტერატურა, ე.წ. Phonics Stories, rhymes.

- და რატომ მოხდა ისე, რომ საქართველოში არ იყო ეს მეთოდი ცნობილი?

- პირველ რიგში, დასავლეთში ეს მეთოდი გამოიყენება ე.წ. native speaker - მოსწავლეების სწავლებისას. და მეორე, მიუხედავად ბოლო დროს სიტუაციის შედარებით გაუმჯობესებისას ქართველი პედაგოგები არ იყვნენ განებივრებული საკვალიფიკაციო ტრეინინგებით ენების სწავლების მეთოდოლოგიების გასაცნობად. და აქვე მინდა ვთქვა, რომ ჩვენი სახელმძღვანელოს ოპტიმალურად გამოყენებისათვის აუცილებელია პოპულარიზაცია გაეწიოს ამ მეთოდს და მასწავლებლებისათვის შემუშავდეს მეთოდის და მასზე დაფუძნებული სახელმძღვანელოების გასაცნობი ტრეინინგი.

ინტერვიუ 3 მაია ტურიაშვილი, სკოლის მასწავლებელი

- რამდენი ხანია რაც ასწავლით ინგლისურს?

- სკოლაში ინგლისურს ვასწავლი ერთი წელია, თუმცა კერძო მოსწავლეები მყავს რომლებსაც ვასწავლი ხუთი ექვსი წლის განმავლობაში.

- რომელ სასწავლო დაწესებულებაში ასწავლით?

- ვასწავლი კერძო სკოლაში, სკოლა ლიცეუმი ლამპარი.

- რომელ ასაკობრივ ჯგუფს ასწავლით?

- მყავს დაწყებითი კლასები - პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე.

- რა სპეციფიკა ახასიათებს დამწყებ შემსწავლელებთან, ე.წ. young learners მუშაობას, მათ სწავლებას, არის თუ არა სირთულეები?

- კი, რა თქმა უნდა, ეს პროცესი საკმაოდ რთული და შრომა ტევადია. უპირველესად ჩვენი, მასწავლებლის ფუნქციაა მოსწავლეებს შევუქმნათ მოტივაცია, ჩამოვუყალიბოთ რწმენა, პოზიტიური დამოკიდებულება ახალი ენისადმი, რომ ისინი თავად გაართმევენ თავს და ხალისით დაეუფლებიან ახალ უცხოურ ენას.

რაც შეეხება კონკრეტულ სირთულეებს, ძირითადი რასაც მე შევხვდი ჩემს პრაქტიკაში გახლავთ ის რომ უჭირთ ასოსა და ბგერის განსხვავება, უჭირთ იმის გაანლიზება, რომ ოცდაექვის ასო მეტყველების პროცეში რეალიზდება 44 ბგერად, რატომ შეიძლება ერთი და იგივე ასო სხვადასხვა ბგერების გარემოცვაში სხვადასხვაგვარად იკითხებოდეს. ასევე უჭირთ აღიქვან, როგორ წაიკითხონ სხვადასხვა ასოთა შეთანხმებები და დაიმახსოვრონ მათი საწარმოთქმო თავისებურება. ეს ძალიან დიდ სტრესს და გაუგებრობას იწვევს ბავშვებში და ზოგიერთ შემთხვევაში სიძულვილიც კი უყალიბდებათ.

- რომელ სახელმძღვანელოებს იყენებთ სკოლაში?

- სკოლაში ვიყენებთ ძირითადად English World, მაკმილანის გამომცემლობის. ასევე, მე თვითონ ინდივიდუალურად ვარჩევ დამატებით მასალას. ეს იქნება გრამატიკის სახელმძღვანელო, თუ რაიმე მხატვრული ლიტერატურა. გრამატიკისათვის ძირითადად ვიყენებ Round-up- ს და მხატვრულ ლიტერატურას ასაკობრივი სპეციფიკიდან გამომიდინარე.

- რა განაპირობებს თქვენს მიერ სახელმძღვანელოს არჩევანს?

- სკოლაში, სკოლა თვითონ გვისაზღვრავს ძირითად სახელმძღვანელოს და დანარჩენი დამატებითი მასალა, ეს ჩემზეა თვითონ დამოკიდებული. უნდა ზუსტად პასუხობდეს იმ სპეციფიკას და მოთხოვნებს, რაც ახასიათებს ზუსტად young learners სწავლების სპეციფიკას.

- თქვენის საზრით აკმაყოფილებს თუ არა თქვეს მიერ გამოყენებული სახელმძღვანელოები (სკოლას ვგულისხმობ) თქვენსა და თქვენი მოსწავლეების საჭიროებებს?

- სასკოლო სახელმძღვანელოებს რაც შეეხება მეტნაკლებად. ასე ვთქვათ, აქვს დადებითი და უარყოფითი მაარეები. დადებითის მხრივ, ძირითადად შემიძლია იმის თქმა, რომ ძალიან ბევრი ილუსტრაცია აქვს, რაც ხელს უწყობს ვიზუალურ აღქმას, რაც შემდგომ ბავშვებს ეხამრებათ უკეთესად აღიქვან მოცემული მასალა. მოყვება პოსტერები, აქვს ბარათები, ასევე დივიდი ფორამტის გაკვეთილები, რაც ეხმარება ბავშვებს, თუმცა აქვს უარყოფითი მხარეებიც. ანბანიდან პირდაპირ იწყება დიდ ტანიანი დიალოგები, რომლებშიც გრამატიკა არის ჩართული და გამოყენებული და იგივე არც იციან ბავშვებმა მშობლიურ ენაზე და ძნელია უცხო ენაზე გაიგონ და აღიქვან და ეს იწვევს ხოლმე დიდ გაუგებრობას და ეს არ მომწონს ამ წიგნის და მიმაჩნია უარყოფით მხარედ.

- რა ცვლილებებს შეიტანდით სწავლების პროცესში?

- უპირველესად შევცვლიდი ამ სახელმძღვანელოს, რადგანც როგორც უკვე აღვნიშნე, ბავშვებს უჭირთ ნახტომის გაკეთება და გადასვლა პირდაპირ დიდტანიანი დიალოგის კითხვზე, და თუნდაც შევქმნიდი ისეთ სახელმძღვანელოს, როემლიც ამ gap-ს, სიცარიელეს შეავსებდა, რომ ანბანიდან ნელნელა მისულიყვნენ, ჯერ კითხვა ესწავლათ შესაბამისად კარგად, რომ თავადვე შეძლონ და თავი გაართვან მოცემულ მასალას.

- როგორ ეცნობით ხოლმე ინგლისური ენის სწავლებაში უკვე არსებულ მეთოდოლოგიებსა და ასევე სიახლეებს ენების სწავლების მეთოდიკაში?

- ძირითადად ვეცნობი ტრეინინგების საშუალებით, ან მეთოდოლოგიის შესახებ სახელმძღვანელეობის საშუალებით.

- გსმენიათ თუ არა ფონიკს-გრაფონიკსის მეთოდის შესახებ და ამ მეთოდზე დაფუძნებული სახელმძღვანელოების შესახებ?

- არა. არც მეთოდზე და არც წიგნზე სამწუხაროდ.

- დიდი მადლობა.

- წარმატებებს გისურვებთ.

ინტერვიუ 4 ია, სკოლის მასწავლებელი

- *რამდენი ხანია რაც ასწავლით ინგლისურს?*
- მთლიანობაში 5 წელი
- *რომელ სასწავლო დაწესებულებაში ასწავლით?*
- ამჟამად კერძო სკოლა ,,მარჯი''–ში.
- *რომელ ასაკობრივ ჯგუფს ?*
- I, III, VII კლასებს
- *რა სპეციფიკა ახასიათებს დამწყებ შემსწავლელებთან ე.წ. Young learners მუშაობას /სწავლებას? (არის თუ არა სირთულეები?)*
- მაგალითად პირველ კლასელები ისევ ბაღის მოსწავლეები არიან, არ

აქვთ ჩამოყალიბებული მოსმენის კულტურა, ამიტომ ენის შესწავლა სახალისოდ უნდა მოეჩვენოთ, რომ არ აიცრუონ გული. უნდა დავანახოთ ინგლისური ენის მნიშვნელობა, თუ რატომ უნდა ისწავლონ, ყოველთვის სემესტრის დაწყებისას ვსვამ ასეთ შეკითხვას: რატომ ვსწავლობთ ინგლისურს? ზოგის პასუხია, იმიტომ ვსწავლობთ, რომ სიმღერები ინგლისურადაა, იმიტომ რომ ტურისტებს დაველაპარაკოთ, ერთის პასუხი არასდროს დამავიწყდება, იმიტომ რომ ჩვენს პრეზიდენტს ასე სურსო... პირველი მაინც დისციპლინის პრობლემაა, ისინი ძალიან პატარები არიან. და მეორე არის მეტყველების პრობლემა. უჭირთ ისეთი ბგერების წარმოთქმა რაც ქართულში არ გვაქვს. მესამე არის მზაობა, ხშირად არ არიან ზოგადად სკოლისთვის მზად. ასაკი და გონება ერთმანეთთან თანხვედრაში არ არის. ამიტომ ესეც გასათვალისწინებელია. შეიძლება თვითონ მშობელმა უნდა გაითვალისწინოს, სანამ სკოლაში მიიყვანენ ჯგუფი უნდა იყოს იმისთვის, რომ ჯერ მარტო ქართული ისწავლონ და მერე დაიწყონ ინგლისური, ისეთი ბავშვები არიან ზოგიერთი პირველ კლსაში, რომ საერთოდ ბლუყუნებენ, ლოგოპედი სჭირდებათ ნამდვილად ასეთ ბავშვებს, დახმარება.

- *ანუ თქვენ თვლით, რომ უმჯობესია ერთი წელი ჯერ ქართულად დაეუფლონ წერაკითხვას და შემდეგ გადავიდნენ ინგლისურზე...*

- შეიძლება ასეთი რამ იყოს დავუშვათ რამდენიმე ბავშვისათვის,

უფრო სუსტი ჯგუფი შედგეს ამ ბავშვებისათვის, ინგლისურიც ისწავლონ, მე არ ვამბობ რომ არ ისწავლონ, მაგრამ ცოტა სხვანაირი მიდგომა იყოს მათთან მიმართებაში.

- *ამჟამად თქვენ რომელ სახელმძღვანელოებს იყენებთ?*
- სკოლაში English World-ს, როგორც ყველა სკოლაში, მაკმილანის.
- *რა განაპირობებს თქვენს მიერ სახელმძღვანელოს არჩევანს?*
- ისევ სკოლა და ზოგადად განათლების სისტემა.
- *აკმაყოფილებს თუ არა თქვენს მიერ გამოყენებული*

სახელმძღვანელოები თქვენსა და თქვენი მოსწავლეების საჭიროებებს? რას გამოყოფდით, დადებითი რა არის და რა სისუსტე ახასიათებს, თუ არის ასეთი?

- ანუ სისუსტედ მიმაჩნია უფრო სწორად, სირთულედ შეიძლება

ჩავთვალოთ ის რომ, ისეთი სიტყვები და წინადადებებია მოცემული ვფიქრობ, დაწყებით ეტაპზე სულაც არ არის საჭირო ბავშვმა იცოდეს. პირველ კლასში კითხვის თუნდაც თვალისმეხსიერებით სწავლა ზედმეტად მიმაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტში მითითებული გვაქვს. კარგი იქნებდა სახელმძღვანელო უფრო დაკონკრეტებული იყოს თემატურად. რას ვამბობ, მაგალითად ოლიმპიადაზე, რომ გადის პირველი, მეორე ... პირველი არა, მაგრამ მეორე, მესამე კლასელი და რომ შეუტანენ იქ რომ ... პროფესიები არის იმ კითხვებში მოცემული, Who is your mother? My mother is a doctor – true or false.. doctor კიდევ არაუშავს, მაგრამ driver, worker ესენი სულ არ გაუგიათ და შეტანილია და რანაერად უნდა ვასწავლო, როდესაც სახელმძღვანელო არ მიწყობს ხელს, არ არის სახელმძღვანელოში შეტანილი ასეთი სიტყვები. ანუ, თუ ოლიმპიადის ტესტებს ადგენენ, მაშინ English World-ით თუ სწავლობს მთელს გაანთლების სისტემაში ყველა სკოლა, მაშინ იმის მიხედვით შეადგინონ... მერე რა თქმა უნდა მშობელსაც პრეტენზია უჩნდება, რატომ არ ასწავლე? რატომ არ ვასწავლე კი არა და არ მიდევს სახელმძღვანელოში, რომ ვასწავლო. ამიტომ ზედმეტად, დამატებით შემაქვს ხან

ფონიქსიდან, გრაფონიქსიდან დაწყებით ეტაპზე. ხან თემატურად ვურჩევ მე ვითონ რაღაც სიტყვებს და მარტო სიტყვები შემაქვს, ან ხშირად არის ლეპტოპი მიმაქვს და ლეპტოპს ვიყენებ და თვითონ სურათებს ვანახებ, ანუ ფლეშ ქარდებს ვიყენებ ასე ვთქვათ, სულაც არ ვფიქრობ, რომ მესამე კლასელმა jellyfish თუ არ იცის და octopus და რაღაც ისეთი სიტყვები არის მაგ: crab... crab-ის ფეხი... მეც არ მახსოვს როგორ არის...

- *დიახ, გასაგებია, ანუ თქვენ თვლით, რომ ლექსიკურად ზედმეტად გადატვირთულია და აქედან გამომდინარე ცვლილებებთან დაკავშირებით, რა ცვლილებებს შეიტანდით სწავლების პროცესში, განსაკუთრებით დაწყებით საფეხურზე?*

- ცვლილება ის უნდა იყოს, რომ ქართველ ბავშვებზე უნდა იყოს

პირველ რიგში ეს სახელმძღვანელოები მორგებული. ეს English World შეიძლება ძალიან კარგია ცალკე მაგრამ, ქართველებისათვის არ არის მორგებული.

- *გასაგებია, შემდგომ უფრო დეტალურად გკითხავთ, კერძოდ წერა-კითხვის დაწყების საფეხურთან დაკავშირებით, მაგრამ სანამ ამ საკითხზე გადავიდოდეთ გვითხარით როგორ ეცნობით ინგლისური ენის სწავლებაში უკვე არსებულ მეთოდოლოგიებსა და ასევე სიახლეებს მეთოდიკაში?*

- პირველ რიგში ის რომ მე ჯერ ახალიღ დამთავრებული მაქვს

უნივერსიტეტი და მაგისტრატურა, და მასწავლებლის სერტიფიკატიც ახალი აღებული მაქვს. და ჯერეჯეროზით ის მომენტი არ დამდგარა, რომ რაღაცას ჩამოვრჩი ან ძველმოდური მეთოდებით ვასწავლი, მაგრამ ამის გარდა ჩართული ვარ მასწავლებლის სახლში და ხშირად ვესწრები უცხოელი პედაგოგების მიერ ჩატარებულ ტრეინინგებს.

- *ძალიან კარგი. გსმენიათ თუ არა ფონიქს-გრაფონიქსის მეთოდისა და ამ მეთოდზე დაფუძნებული სახელმძღვანელოების შესახებ?*

- დიახ, მსმენია, რა თქმა უნდა და ძალიან მომწონს. ზოგადად, მინდა

აღვნიშნო, რომ ეს წიგნები, ფონიქსი და გრაფონიქსი ნამდვილად გათვალისწინებულია ქართველი ბავშვებისათვის.

- *რას გულისხმობთ?*

- ანუ ფონეტიკურად გამართულად არის მასალა მოწოდებული, მაგალითად, ბგერების და ასოების თანხვედრა ძალიან კარგად არის დალაგებული, თან ისეთი სიტყვები არის მოცემული, ადვილი სიტყვები, რომელიც უნდა იცოდეს ბავშვმა.

- *ანუ ეს ერთის მხრივ სასწავლებლადაც და დასამახსოვრებლად ადვილია და მეორე არის რომ გამოსაყენებელიც არის...*

- გამოსაყენებელი სიტყვები არის კი ნამდვილად მოცემული.

- *განსახვავდება თუ არა ფონიქს გრაფონიქსის სახელმძღვანელოები თქვენს მიერ გამოყენებული სხვა სახელმძღვანელოებისაგან და რა არის ეს განსხვავება?*

- განსხვავებები: მოცულობაში, ... სტანდარტის მოთხოვნებს სხვა წიგნები არ აკმაყოფილებს, არასაჭირო სიტყვაა ბევრი. მეორე განსხვავება: ფონეტიკურ და მორფოლოგიის დონეზე. ფონიქსი უფრო დახვეწილია. მესამე: ფონიქსი და გრაფონიქსი გათვალისწინებულია და მორგებულია ქართველ ბავშვებზე. თემატურად კარგად არის დალაგებული. სახალისო თამაშებით და სიმღერებით.

- *იცნობდით თუ არა ფონიქსის მეთოდს გრაფონიქსის-ფონიქსის სახელმძღვანელოების არჩევამდე?*

- არა.

- *რა დადებითს და სისუსტეს გამოჰყოფდით ფონიქს გრაფონიქსის სახელმძღვანელოების სწავლებისას?*

- პირველ რიგში რომ ბავშვებისათვის გაიოლებულია ანბანის შესწავლა. სხვა სახელმძღვანელოებთან შედარებით, გრაფონიქსის საშუალებით, ბავშვები გაცილბით სწრაფად ითვისებენ და ეუფლებიან მარტივი სიტყვების წაკითხვასა და დაწერას. ძალიან მომწონს რომ ყურადღება ეთმობა კომუნიკაციურ

სავარჯიშოებს. ასევე უნდა აღვნიშნო მასწავლებელის წიგნიც, რომელიშიც ადვილად და გასაგებად მოწოდებული ინსტრუქციები და რჩევები.

- *როგორ დაახასიათებდით თქვენთვის იდეალურ სახელმძღვანელოს ამ ასაკობრივი ჯგუფის სწავლებისას, ვგულისხმობ Young learners?*
- დაწყებით საფეხურზე აუცილებლად სახელმძღვანელო უნდა იყოს ლამაზად ილუსტრირებული, ნახატები ფსიქოლოგების მიერ განხილული, შერჩეული და შემდგომში შეტანილი სახელმძღვანელოში . იწყებოდეს ზეპირი მეტყველებით, იყოს ბგერა-ასოების თანხვედრა, მოჰყვებოდეს ლექსები და სიმღერები ნასწავლ სიტყვებზე. სიტყვები იყოს თემატურად დალაგებული და მოჰყვებოდეს პატარა დიალოგები. და აუცილებლად მინდა აღვნიშნო, რომ სიტყვები უნდა იყოს ისეთი, რომ ადვილად დაიმახსოვრონ, ყოველდღიური ასე ვთაქვათ, ყოველდღიურად რომ სჭირდებოდეს ბავშვს, ადვილად დასამახსოვრებელი და გამოსაყენებელი. ხოლო რაც შეეხება წერის დაწყებას ძალიან მოკლე ხანში უნდათ, ასე ვთქვათ საქართველოში და ზოგადად სტანდარტშიც მოცემული ისე არის რომ, ერთ წელიწადში ბავშვმა, პირველკლასელმა უნდა დაიწყოს წერაც, კითხვაც, ვითომ თან ამბობენ რომ ასე არ არისო, მაგრამ რომ წაიკითხავთ სტანდარტს ზუსტად ის დევს , რომ მაინც წერა-კითხვა უნდა იცოდე, თორემ ვიზუალურად, ორთოგრაფიული ხატის დამახსოვრებით, ოც სიტყვაზე, 30 სიტყვაზე მეტს მაინც ვერ დაიმახსოვრებ.

- ანუ თქვენ მიგაჩნიათ რომ სანამ წერა-კითხვის შეწავლას დაიწყებენ, პირველ კლასში ზეპირმეტყველებაზე უნდა იყოს გამახვილებული ყურადღება, რაშიც ალბათ იგულისხმება მოსმენა, აუდირება, ასე ვთქვათ exposed იყვნენ ინგლისურის მიმართ… გარკვეული შესვალი ეტაპი უნდა იყოს…

- რა თქმა უნდა შესავალი ეტაპი უნდა იყოს. მოსმენით 30 სიტყვას თუ დაიმახსოვრებთ წერით, თვალის მეხსიერებით, ძალინ კარგია, მაგრამ სისტემა უნდა იყოს ის , რომ პირდაპირ a, b, c, d - ს მიხედვით არ დაიწყონ. ჯობია ასოების შესწავლა

დაიწყონ ერთნაეირი მოხაზულობის მქონე ასოებიდან და მიმსგავსებული იყოს სმენასთან.

- *ია დიდი მადლობა.*
- და რა მინდოდა დამემატებიმა, იდეალურ სახელმძღვანელოს რაც

შეეხება, აუცილებლად სახელმძღვანელოს ბოლოს უნდა იყოს მოცემული პატარა ზღაპრები, სამი გოჭი, three little kittens მაგალითად, კონკიაზე პატარა ზღაპარი, წითელქუდა, აი ასეთი ელემენტარული, პატარა ბავშვისთვის გასაგები ზღაპრები, გასაგებ ენაზე.

- *ა, ჩვენ გრაფონიქსის ბოლოს გვქონდა წითელქუდა გააკთებული,*

იმ მასალაზე რაც ისწავლეს.

- კი, ნამდვილად და მე ეს ძალიან მომწონს და დღესდღეისობით

თქვენს წიგნს რომ ვიყენებ, ზუსტად მაგ ზღაპრებს ვუკითხავ სკოლაში ბავშვებს, იმიტომ რომ ბოლო ათი დღე დაგვრჩა სემესტრის დამთავრებამდე და ყოველი დღე გვაქვს ზღაპრის განხილვა, ერთხელ წავიკითხავთ, მერე მეორედ წავიკითხავთ, ეხლა ესენი უკვე მესამე კლასელები არიან მაგრამ, ეს შეიძლება მეორე კლასშიც მოხდეს და ძალიან შედეგეიანი იქნება, იმიტომ რომ English World ნამდვილად არ აძლევს ბავშვს იმის გარანტიას, რომ ის ზღაპარს წაიკითხავს, თუნდაც ელემენტარულ დონეზე და გაიგებს.

- *კარგი ია, დიდი მადლობა, იმედია, რომ გაითვალისწინებენ ის*

პირები ვინც ამ პროგრამებს ადგენს და გარკვეული ცვლილებები შეტანილი იქნება.

- აუცილებლად უნდა შეიტანონ ცვლილებები.
- *დიდი მადლობა*
- ნახვამდის

ინტერვიუ 5 მარინა ჩხიკვაძე (ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის თანამშრომელი, ინგლსური პროგრამების ხელმძღვანელი 2004 წლიდან, პრაქტიკოსი მასწავლებელი).

- თქვენი საქმიანობა?

- გახლავართ ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრის თანამშრომელი და ამასთანავე ინგლსური პროგრამების ხელმძღვანელი 2004 წლიდან, ასევე, პრაქტიკოსი მასწავლებელი.

- რა მდგომარეობა იყო ინგლისური ენის სწავლების კუთხით რეფორმის დაწყებამდე?

- საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდში საქართველოში არ არსებობდა უცხო ენების და კერძოდ ინგლისური ენის საქართველოშივე შემუშავებული სასწავლო პროგრამები. სასწავლო პროგრამების მსგავსი სასწავლო გეგმები იქმნებოდა მოსკოვში, ისევე როგორც სახელმძღვანელოების დიდი ნაწილი და ხდებოდა ამ გეგმების პირდაპირი კოპირება. 1989 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სკოლებში ენების შესწავლის განხრით სრულმა ანარქიამ დაისადგურა. საერთოდ არ იყო განსაზღვრული ვინ რას ასწავლიდა და როგორ.

საბჭოთა პერიოდის სახელმძღვანელოები ძირითადად აგებული იყო გრამატიკული მასალის შესწავლაზე. სახელმძღვანელოებში მოცემული იყო ტექსტები თანმდევი სავარჯიშოებით (ძირითადად ტექსტისათვის დასმული კითხვები). ასევე, გრამატიკული სავარჯიშოები და სათარგმნი. სწავლების მეთოდი გახლდათ grammar translation method. მოსმენის უნარის განვითარება სრულიად უგულებელყოფილი იყო. სახელმძღვანელოებში არ იყო მოსასმენი სავარჯიშოები და შესაბამისად მათ არ ახლდათ აუდიო ჩანაწერები. საუბრის უნარის განვითარებასაც არ ექცეოდა ყურადღება. ე.წ. საშინაო კითხვის ტიპის ტექსტები ატარებდა დესკრიპტულ ხასიათს. მასწავლებელი სთხოვდა მოსწავლეებს ტექსტების ფაქტობრივად დაზეპირებას. წერის უნარის განვითარების კუთხითაც არ იყო სახარბიელო სიტუაცია. წერაში იგულისხმებოდა სავარჯიშოების წერა (კითხვით-უარყოფით ფორმაში გადაყვანა (დრილინგის ტიპის),

თარგმანი. თემების წერა მხოლოდ ეროვნული გამოცდების შემოღების შემდეგ (2003) გახდა აუცილებელი. წიგნები იყო შავთეთრი. დამხმარე ვიზუალური საშუალებები ნაკლებად გამოიყენებოდა. გაკვეთილის წარმართვის პროცესიც საკმაოდ ერთფეროვანი იყო. გაკვეთილის მსვლელობის განმავლობაში უგულებელყოფილი იყო თვითეული მოსწავლის სწავლის პროცესში ჩართულობის მომენტი და მასწავლებლის ყურადღება მიმართული იყო მხოლოდ დაფასთან მოპასუხე მოსწავლეზე. მთლიანად ჯგუფის ჩართულობას ხელს არ უწყობდა არც სახელმძღვანელოების ფორმატი და არც გაკვეთილის ჩატარების დანერგილი სტილი.

- *როგორ შეიცვალა სიტუაცია?*

- 2004 წელს შეიქმნა ჯგუფი პროექტის 'ილია ჭავჭავაძე' ფარგლებში, რომლის ამოცანას წარმოადგენდა ინგლისურის, როგორც მეორე ენის სასწავლო პროგრამების შემუშავება. 2006 წელს კი ჩამოყალიბდა ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრი, რომელმაც მუშაობა დაასრულა 2011 წელს მსოფლიო ბანკის პროექტის განხორციელების დასრულებასთან ერთად. ამჟამად, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროში ფუნქციონირებს ეროვნული სასწავლო გეგმებისა და ზოგადი განათლების დეპარტამენტი.

პირველი სტანდარტი შეიქმნა 2005 წელს, ოთხივე უნარის/მიმართულების -

მოსმენა, კითხვა, წერა, ლაპარაკი, განვითარებასთან ერთად, გაჩნდა კიდევ სამი მნიშვნელოვანი მიმართულება - კულტურათა დიალოგი, და სწავლის სწავლა. ზოგადად, შეიძლება ითქვას რომ წლების მანძილზე დამკვიდრებული გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი შეცვალა უცხო ენის სწავლების საკომუნიკაციო მეთოდმა. 2009-2011 წლებისათვის კვლავ განახლდა უცხოური ენის პროგრამაში უცხოური ენის პრაქტიკული გამოყენების კომპონენტი. 2011 წლიდან კი კვლავ საგრძნობი ცვლილება განხორციელდა - მოსწავლეები პირველი კლასიდანვე იწყებენ წერა-კითხვის ათვისების პროცესს.

ინტერვიუ 6 ქეთევან ჭკუასელ (პედაგოგიკის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის ხელმძღვანელი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი, სრული პროფესორი) და თამაზ კარანაძე (განათლების მეცნიერებათა დოქტორი, ემერიტუსი).

თამაზ კარანაძე

- რა ასაკიდან უნდა იწყებდნენ მოზარდები მეორე/უცხო ენის სწავლას?

- ადრეულ ასაკში, წერა-კითხვის შესწავლის საწყის ეტაპზე, ორი სირთულის (წერა-კითხვის შესწავლა მშობლიურ და უცხოურ ენებზე) ერთად/ერთდროულად მიწოდება არ შეიძლება. ამასვე ადასტურებს კლასიკოსების შეხედულებებიც ამ საკითხზე.

თუ ფუძე არ არის (მშობლიური ენა) დაშენება რთულია, თითქმის შეუძლებელი. მოსწავლე, მინიმუმ ექვსი თვე მაინც უნდა იყოს მშობლიური ენის შესწავლით დაკავებული და მხოლოდ ამის შემდგომ შეიძლება ის თანდათანობით ეზიაროს უცხოურ ენას.

თუ მოზარდი მშობლიურ ენაზე არ გაიტეხს გონებას, ეს ფაქტი გამოიწვევს მოზარდის აზროვნებაში ცვილელებს. უცხოურ ენაზე აზროვნების დაწყება მოზარდს ჩამოაცილებს, დაუკარგავს ეროვნულ თვისებებს.

მოზარდი იმ ენაზე იწყებს აზროვნებას, რომელზეც ენას გაიტეხს. ორი ენის აღრევით, კი მას ხელი შეეშლება სიღრმისეული, ლოგიკური აზროვნების სწორად ჩამოყალიბებაში.

ქეთევან ჭკუასელ

- პირველ კლასში მოზარდებს უწევს შეხება ორ ანბანთან - მშობლიური ენა და მათემატიკა, რაც საკამოს სირთულეს წარმოადგენს მათთვის. ჩვენ ვერც ერთზე ვერ ვიტყვით უარს, ვინაიდან მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის შესწავლა წარმოადგენს ვერბალური გავნითრების საფუძველს, ხოლო მათემატიკის შესწავლა კი რაოდენობრივი განვითრების საფუძველს.

ამდენად, როდესაც ბავშვს ჯერარ აქვს განვითრებული და ჩამოყალიბებული ვერბალური აზროვნება მშობლიურ ენაზე ზედმეტია საუბარი მეორე ენაზე. მით უფრო გასათვალისწინებელია სწავლის დაწყების ასაკი 6 წელი. რომ აღრაფერი ვთქვათ, იმ შეთხვევაზე, როდესაც 6 კი არა 5 წელი სახელდება სწავლის დაწების ასაკად. სწორად ამ ასაკში ითვისებს ბავშვი მთელ რიგ ზოგად უნარებს და კიდევ დამატებითი გადატვირთვა, რისთვისაც ბავშვს არ აქვს ფსიქოფიზიოლოგიური მზაობა იწვევს მოზრდის ფსიქიკურ გადაღლას, რაც საბოოლოდ აუცილებალდ ასისახება მის ჯანმრთელობასა და ფსიქიკურ მდგომარეობაზე.

ორი ენის (მშობლიური და უცხო ენები) ერთდროულად შესწავლის პირობებში ბავშვს ვერც ქართულ და ვერც უცხოურ ენაზე ვერ განუვითრდება სწორი, გამართული აზროვნება, რაცთავის მხრივ აისახება სწავლის პროცესზე ზოგადად.

ამიტომ სწავლების საწყის ეტაპზე ,ბავშვები მხოლოდ ზეპირი კომუნიკაციის დონეზე უნდა ეცნობოდნენ უცხო ენას. და არა უადრეს მესამე კლასისა შესაძლებელი, რომ მსწავლეებმა დაიწყონ უცხო, კერძოდ ინგლისურ ენაზე წერა-კითხვის შესწავლა.

ინტერვიუ 7 იზაბელა პტერიაშვილი (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის (პედაგოგიკის ინსტიტუტი) ასოცირებულ პროფესორი)

- *რამდენად მიზანშეწონილია, რომ ბავშვებმა ქართულისა და ინგლისურის შესწავლა ერთად დაიწყონ პირველი კლასიდანვე?*
- ვფიქრობ, რომ საკითხის იმგვარად დაყენება, დაიწყონ თუ არა პირველ კლასელებმა ორ ენის - ქართულის და ინგლისურის შესწავლა ერთდროულად არ არის მართებული. საქმე იმაშია, რომ ქართული, როგორც მშობლიური ენა, ბავშვებისათვის მინიმუმ 5 წელი უკვე ნაცნობი ენაა. საკითხის მეორე მხარეა წერა-კითხვის შესწავლა უნდა დაიწყონ თუ არა ერთდროულად მშობლიურ და უცხო ენაზე… ცალსახა პასუხია - არა.

გამომდინარე იქიდან, რომ ქართული და ინგლისური ანბანი სრულიად განსხავებულია, რასაკვირველია, უმჯობესია მოსწავლეები თავდაპირველად მშობლიურ ენაზე დაეუფლონ წერა-კითხვას, რათა მათ ავაცილოთ ის სირთულეები და სტრესი, რასაც გამოიწვედა ორი განსხვავებული ანბანის ათვისების ერთდროულად დაწყება.

თუმცა, სრულიად შესაძლებელია, რომ ძალიან მალე, მას შემდეგ რაც სწავლის საწყის ეტაპზე დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები მთლიანად აითვისებენ ქართულ ანბანს, ისინი გადავიდნენ უცხო ენაზე წერა-კთხვის შესწავლაზე მსოფლიოში აპრობირებული სხვადასხვა მეთოდების გამოყენებენის საშულებით.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ წერა-კითხვის გარდა, უცხო ენის შესწავლა გულისხმობს ლაპარაკის უნარის განვითარებასაც. მე პირადად, მიმაჩნია, რომ ამ მხრივ, მოსწავლეებისათვის არავითარი სირთულე არ იქნება პირველ კლასში დაიწყონ ინგლისურ ენაზე ზეპირმეტყველების უნარის განვითარება. ამ შემთხვევაში აქცენტი უნდა გაკეთდეს ვიზუალურ მასალზე, საბავშვო ლექსების, ენის გასატეხების, სხვადასხვა თამაშობების, სიმღერების და ა.შ გამოყენებაზე. ეს ყველაფერი ბავშვს თავიდანვე უჩენს აღნიშნული ენის შესწავლის ინტერესს და მოტივაციასაც კი. ჩემი პირადი მაგალითი რომ გავიხსენო შემიძლია ვთქვა, რომ ბაღში დაწყებულმა ინგლისური ენის შესწავლამ განაპირობა მომავალში ჩემი პროფესიის არჩევანი. თავიდანვე მოვიხიბლე ინგლისური ენის ჟღერადობით და ამ ენისადმი ინტერესი სკოლაში კიდევ უფრო გამიღრმავდა, იმდენად, რომ როდესაც აღმოჩნდა, რომ ჩემს სკოლაში უცხო ენის შესწავლას არა მეორე, არამედ მეხუთე კლსაიდან იწყებდნენ, მშობლებს დაჟინებით ვთხოვე სკოლის შეცვლა.

ვფიქრობ, რომ საკითხი უნდა დაისვას არა ისე - ისწავლებოდეს თუ არა ინგლისური პირველი კლასიდან, არამედ, თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენ დღეს განსხვავებულ რეალობაში ვცხოვრობთ - განვითრებულ, გლობალიზებულ გარემოში და ამ პირობებში ბავშვებიც უკვე სხვანაირები არიან, მათ თავიანთი გონებრივი პოტენციალის რეალიზების მეტი

საშუალება აქვთ და ჩვენც უნდა შევუქმნათ ისეთი პირობები, რომ მათ მაქსიმალური რეალიზება მოახდინონ თავიანთი გონებრივი შესაძლებლობების.

- *რას გვეტყოდით მასწავლებლის და შერჩეული სახელმძღვანელოს როლზე სწავლების პროცესის წარამტებით წარმართვის საქმეში?*
- მასწავლებლის როლი, რასაკვირველია, უმნიშვნელოვანესია. მასწავლებელმა სწორად უნდა შეაფასოს თავის მოსწავლეების შესაძლებლობები და შესაბამისად შეარჩიოს მასალა.
- *და, როგორ მიგაჩნიათ გამართლებულია უნიფიცირებული მიდგომა სახელმძღვანელოების შერჩევის პროცესში?*
- არა, ნამდვიალდ არ მიმაჩნია სწორად. მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ლავირების, არჩევანის საშუალება, რა თქმა უნდა სწავლების საფეხურის და დონის შესაფერისი მასალის ფარგლებში.

ინტერვიუ 8 მერიკო, მოსწავლის მშობელი.

- *რამდენი წლის არის თქვენი შვილი ახლა ?*
- 13 წლის.
- *რამდენი წლის იყო ინგლისური ენის შესწავლა რომ დაიწყო?*
- 6 წლის.
- *თავდაპირველად სად დაიწყო ინგლიურის შესწავლა?*
- სკოლაში, მაგრამ დიდად კმაყოფილი არ ვიყავი, ბავშვსაც ვერ ვამჩნევდი დიდ ენთუზიაზმს. გადავწყვიტე ელენე შემეყვანა ინგლისური ენის შემსწავლელ წრეზე მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში. წრეზე დადიოდა 10 ბავშვი და ძირითადი სახელმძღვანელო იყო გრაფონიქსი. მინდა გითხრათ, რომ ჩემი შვილიც და სხვა მოსწავლეებიც ხალისითა და შემართებით იყვნენ ჩართულნი სასწავლო პროცესში. მე

თავად არ ვფლობ ინგლისურს და ჩემთვის დიდ შვება იყო, რომ ელენე დამოუკიდებლად უმკლავდებოდა საშინაო დავალებას, არ წუწუნებდა, პირიქით ადვილად ითვისებდა ახალ სიტყვებს, ინგლისურ ანბანს…

- *ანუ, თქვენ თვლით რომ სახელმძღვანელოს საშუალებით თქვენს შვილს გაუმარტივდა ინგლისურ ენაზე წერა-კითხვის დაწყება?*
- დიახ, ნამდვილად. ამ წიგნით მეცადინეობა ბავშვებისთავის სახალისო და თვალსაჩინო იყო. ძალიან მომწონდა გაფორმება. ბავშვებისათვის მისაღები, მარტივი, კარგი ნახატებით დასურათებული სახელმძღვანელოა. მაგრამ, რაც მთავარია,

  ბავშვებს არ უჭირდათ წიგნში მიწოდებული მასალის დაძლევა, რომელიც არც თუ ისე მცირე მოცულობის იყო. მიდა გითხრათ, რომ მართალია სახელმძღვანელო წრის პედაგოგმა შემოგვთავაზა, ჩემმა მეგობარმაც გაუწია რეკომენდაცია და გვაჩუქა კიდეც ეს წიგნი. მისი შვილიც ინგლისურს სწორედ გრაფონიქსით ეუფლებოდა, კერძო მასწავლებელთან და იგი ძალიან კმაყოფილი იყო ამ სახელმძღვაენლოთი.
- *ახლა როგორ ფლობს თქვენო გოგონა ინგლისურს?*
- ახლა, როგორც გითხარით ელენე უკვე 13 წლის არის და რასაკვირველია, გრაფონიქსის შემდეგ მან სხვა სახელმძღვანელოებით გააგრძელა მეცადინება, თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ თავიდანვე სწორად შერჩეულმა სახელმძღვანელომ და ზოგადად მთელმა კურსმა დიდი როლი ითამაშა ელენეს შემდგომ პროგრესში ინგლისურის შესწავლის მხრივ. დღეს მას სრულიად არ უჭირს კომუნიკაცია თანატოლ ინგლისურენოვან მეგობრებთან. სკოლაშიც კარგი ნიშნები ჰყავს. ფილმებსაც უყურებს ინგლისურ ენაზე…
- *დიდი მადლობა, რომ გვესაუბრეთ.*
- წარამტებებს გისურვებთ.

(მოსწავლის მშობლის წერილი ვაშინგტონიდან)

Dear Ina,
Please see below the answers to your questions related to how kids learn reading and writing skills in the United States.
My son, Nicolas Khevsuriani, is 8 years old. He is studying in a second grade of the Bradley Hills Elementary School in Bethesda, Maryland. This is a public school that follows regular Montgomery County Public Schools Curriculum 2.0 (see the link http://www.montgomeryschoolsmd.org/curriculum/2.0/).
In the first year of school – the Kindergarten (5 y) – kids learn the alphabet (upper and lower case) and start reading and writing. In reading, a lot of effort is given to learning the sounds the letters make. For example, when asked to spell the word "cat", the kids will say 'k-e-t' (they break the word into sounds) and not [ci]-[ei]-[tee] (as is the case when kids are required to spell the words). In writing, the focus is on encouraging kids to write as much as possible (to write what they hear). No spelling rules are introduced. In this grade, a lot of attention is given to rhyming. The kids learn how to write letters and create poems. They write with lots of mistakes in traditional sense, but it is amazing to see how quickly they progress.
In the second year of school – the 1st Grade – kids continue to learn reading and writing, but this time they start building up the list of so called 'frequently used words'. Every week they are given 5-7 words and they need to memorize how to spell these words correctly. The homework includes 3 activities kids need to do to learn the spelling of these words. A sample list of the words Nicolas learned during one of the quarters in the first grade is attached.
In the 2nd Grade, the pace at which the kids memorize the spelling of the 'frequently used words' increases dramatically. Now every week they are given a list of approximately 20 words, and they have weekly tests to check how well they learned these words. A sample weekly list for the 2nd Grade is attached.
I have studied English in a traditional way, starting from grammar and spelling rules. So it is easy for me to compare the two methods, and I should admit that I am really amazed by the effectiveness of the method followed by the US schools.
To further illustrate the method, I wanted to share with you a good aid for helping kids improve their reading skills. This program is called "Learn to Read" system by Hooked on Phonics (http://www.myhookedonphonics.com/). It follows the grade requirements. First, you learn the sounds the letters make, then you move on to more challenging sounds, and, eventually, to words, reading books and stories all along the way. I used this aid to practice with Nicolas reading skills at home and was very happy with it.
I hope you will find this useful. Please feel free to contract me should you require any further clarifications.
Best regards,
Anna Akhalkatsi